

საზოგადოების კვლევის ცენტრი

სოციალური კაპიტალის როლი
საქართველოს სოფლის
განვითარებაში



საზოგადოების პლატფორმის ცენტრი

მარინა მუსეევიშვილი,
ლია მეზორიშვილი, გერა ნაცვლიშვილი,
მარიამ ელიზბარაშვილი

სოციალური კაპიტალის როლი

საქართველოს

სოცლის განვითარებაში



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2012

The present study was conducted with the support of the Academic Swiss Caucasus Net (ASCN). ASCN is a programme aimed at promoting the social sciences and humanities in the South Caucasus (primarily Georgia and Armenia). Its different activities foster the emergence of a new generation of talented scholars. Promising junior researchers receive support through research projects, capacity-building trainings and scholarships. The programme emphasizes the advancement of individuals who, thanks to their ASCN experience, become better integrated in international academic networks. The ASCN programme is coordinated and operated by the Interfaculty Institute for Central and Eastern Europe (IICCE) at the University of Fribourg (Switzerland). It is initiated and supported by Gebert Rüf Stiftung.

© საზოგადოებრივი პლატფორმის ცენტრი, 2012
© გ. მუსხელიშვილი, ლ. მეტვრიშვილი, ბ. ნაცლიშვილი,
მ. ქლიუბარაშვილი, 2012
გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, თე: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-879-5

სარჩევი

შესავალი.....	4
თავი 1. ქართული სოფელი - ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნების 20 წელი	6
1.1. საბჭოთა ეპოქა.....	6
1.2. დამოუკიდებლობის შემდეგ	9
1.3. ვარდების რევოლუციის შემდეგ	14
თავი 2. სოციალური კაპიტალი, თეორიული ხედები	22
2.1. სოციალური კაპიტალი	23
2.2. სოციალური კაპიტალის თეორიული მოდელი	35
2.3. ემპირიული კვლევა	43
თავი 3. სოფლის რესურსები და თანამშრომლობის ფორმები	45
3.1.ქერძო რესურსები, ქსელური ურთიერთობები, გაცვლა.....	45
3.2. ეკონომიკური კოოპურირება, რესურსების აკუმულირება	51
3.3. სოფლის საერთო სიკეთე, რესურსების აგრეგირება	55
თავი 4. სოფლის სოციალური კაპიტალი.....	59
4.1. სოფლების კლასტერიზაცია მათი შეკრულობის ინდექსისა და ინდივიდუალური სიმდიდრის მიხედვით	60
4.2. საერთო რესურსები, თემის შეკრულობის განხომილება..	66
4.3. განზოგადებული ნდობა.....	69
4.4. ჯგუფური ლიოალობა, რეპუტაცია	75
თავი 5. სოფლად არსებული გაერთიანებები: ინსტიტუციური ანალიზი	81
5.1. არაფორმალური კოოპერაცია.....	82
5.2. ფორმალური გაერთიანებები	86
თავი 6. დასაგნები და რეკომენდაციები შემდგომი რეფორმებისთვის	101
6.1. კვლევის შედეგების მოქლე შეჯამება	101
6.2. რეკომენდაციები შემდგომი რეფორმებისთვის	104
ბიბლიოგრაფია	108
დანართი 1. 20 სოფლის გამოკითხვა, ანალიზის დროს გამოყენებული მონაცემები (სისმირული განაწილება)	114
დანართი 2. გამოკითხული სოფლები.....	130

შესაგალი

ბოლო ოცი წლის განმავლობაში განხორციელებული პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნების მიუხედავად - თუ მათ შედეგად - ქართულმა სოფელმა ეკონომიკური დეგრადაცია განიცადა. უმუშევრობის მაღალი დონე, სიდარიბე, უფლებრივი დაუცველობა და ახალგაზრდობის გადინება - სოფლის ცხოვრების მოუწესრიგებლობაზე მეტყველებს. ინსტიტუციური რეფორმების 20-წლიანმა პერიოდმა ვერ შექმნა სოფლის განვითარებისთვის ხელსაყრელი ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო. გარდაქმნების წარუმატებლობამ გააჩინა მოსაზრება, რომ პრობლემის საწყისი არა ინსტიტუციურ გარემოში, არამედ თავად საზოგადოებაშია. ამ ხედვის მიხედვით, სოფლის მცხოვრებლები ვერ ახერხებენ ახალი წესებით განსაზღვრულ თანამშრომლობას, რადგან სოფელს აკლია სოციალური კაპიტალი: ურთიერთნობა, შეკრულობა და ინიციატივა, რაც ადგილობრივ ცხოვრებას გამოაცოცხლებდა.

მოცემული კვლევა მიზნად ისახავს ამ ხედვის ანალიზს. ის სწავლობს სოფლად არსებულ ეკონომიკურ ურთიერთობებს, მათ ინტენსიონას, სახეობებსა და განმაპირობებელ ფაქტორებს. მისი მთავარი კითხვაა - ქართული სოფელი ატომიზირებული ინდივიდების ერთობლიობაა, რომელსაც არ შესწევს დამოუკიდებელი ფუნქციონირების უნარი, თუ სოფლად არსებობს სოციალური კაპიტალი, რომლის შესაძლო პოზიტიური ზეგავლენა სოფლის განვითარებაზე შეზღუდულია სხვა, უფრო ძლიერი ფაქტორების მიერ.

კვლევა ჩატარდა 2010-2012 წლებში. მისი შედეგები ეყრდნობა სოფლების შესწავლას, თვისობრივი და რაოდგნობრივი ხასიათის მონაცემების შეგროვებას, სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად მოპოვებული მონაცემების სტატისტიკურ კვლევას, ურთიერთობების ველის ინსტიტუციურ ანალიზს.

წინამდებარე ნაშრომის სტრუქტურა არის შემდეგი: ნაშრომის პირველი თავი მოკლედ მიმოხილავს იმ სოციოეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებს, რომლებმაც სოფლის დღევანდელი მდგრამარეობა განსაზღვრა; მეორე თავი აანალიზებს სოციალური კაპიტალის ცნებას და აყალიბებს მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, რომლებსაც ეყრდნობა ნაშ-

რომი; მესამე და მეოთხე თავებში გადმოცემულია პვლევის ძირითადი შედეგები, აღწერილია სოფლად არსებულ კოოპერატორები და გაანალიზებულია სოციალური კაპიტალი; მეხუთე თავი ეძღვნება სოფლად არსებული გაერთიანებების ინსტიტუციურ ანალიზს; მექვესე თავი აჯამებს პვლევას, წარმოადგენს დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

კვლევა განახორციელდა ინტერდისციპლინარულმა ჯგუფმა, საზოგადოების კვლევის ცენტრის ბაზაზე. საზოგადოების კვლევის ცენტრი არის არასამთავრობო დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელსაც სოციალურ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში, ძირითადად პოლიტიკურ მეცნიერებაში, მრავალი აკადემიური და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული.¹

პროექტის კვლევითი ჯგუფი მადლობას უხდის შვეიცარულ-კავკასიურ აკადემიურ ქსელს (ACSN) პროექტის დაფუნისებისთვის. კვლევითი ჯგუფი ასევე მადლობას უხდის ეველინ ბაუმანს (Eveline Baumann, UMR 201 Développement et Sociétés (IRD-Université Paris I)) კვლევის პროცესში განახორცილებული კონსულტირებისთვის, და ვანო კეჭავმაძეს, რომელმაც განახორციელდა რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკური ანალიზი. კვლევით ჯგუფს დაუფასებელი დახმარება გაუწიეს ცენტრის თანამშრომლებმა უტა ბიწაძემ და მამუკა კოკორაშვილმა, რომლებმაც სოფლების შესწავლაში მიიღეს მონაწილეობა, ასევე უკელა იმ ექსპერტმა, სპეციალისტმა, სტუდენტმა თუ ადგილობრივმა მოქალაქემ, ვინც დრო არ დაზოგა და თავისი ცოდნა გაგეოზიარა.

¹ ცენტრის ვებსაიტის მისამართია : www.cssge.ge/site/

თავი 1.
**შპს „სოფელი“ - ეკონომიკური და
კოლოფიკური ბარღამმნების 20 წელი**

1.1. საბჭოთა მარშა

საბჭოთა კავშირის დანგრევის მიჯნაზე საქართველოს სოფელში აგრარული ეკონომიკა ორი განსხვავებული სისტემის ნაზავს წარმოადგენდა. საბჭოთა გეგმური ეკონომიკის პარალელურად არსებობდა კერძო საკუთრებაც, რომელიც საბაზრო ეკონომიკის მსგავს საგაჭრო ურთიერთობებზე მონაწილეობდა.

XX საუკუნის ოციანი წლების ბოლოს, ოცდაათიანი წლების დასაწყისში საქართველოში, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, დაიწყო კოლექტივიზაციის პროცესი. სოფლიდ შეიქმნა კოლმეურნეობები. მიუხედავად გლეხების წინააღმდეგობისა, 1927-32 წლების რეპრესიებმა მთლიანად მოაშორ შეძლებული გლეხებია და საკოლმეურნეო სისტემა დამკვიდრდა. დროთა განმავლობაში კოლმეურნეობებმა როგორც სამეურნეო აღმინისტრაციული, ისე მმართველობითი ფუნქცია შეიძინა. „სოფლებში ადგილობრივ ხელისუფლებას ფორმალურად სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭო ახორციელებდა, რომლის აღმასრულებელ ხელისუფლებას ფაქტიურად კოლმეურნეობის გამგეობა წარმოადგენდა“ (მელუა, 2000, გვ.15).

საქართველოში, მიუხედავად კოლექტივიზაციისა, გარეგული ეკრძო საკუთრების ფორმები შენარჩუნდა. მთავრობამ გლეხებს საკუთრებაში 0.25 ჰა მიწა დაუტოვა მეგკვიდრეობით გადაცემის უფლებით და ნება დართო კერძო საკუთრებაში პეილოდა მინიმალური რაოდგნობის პირუტყვი და ფრინველი. მთის რეგიონებში კოლექტივიზაცია თავიდან ნაკლებად ინტენსიურად წარიმართა, ვიდრე ბარში. მოსახლეობაც მეტ-ნაკლებად ინარჩუნებდა მათ საკუთრებაში არსებულ პირუტყვს. მაგრამ 50 წლებიდან დაიწყო ამ რეგიონების სრული კოლექტივიზაცია, რამაც ქალაქებისექნ 50-იან წლებში პირველი, ხოლო 60 -იან წლებში მეორე შიდამიგრაციული ნაკადი გამოიწვია. მთა თითქმის დაიცალა მოსახლეობისგან (კოლუაშვილი, 1998).

50 წლების ბოლოს საბჭოთა კავშირში დაიწყო კოლექტიური მეურნეობების ტრანსფორმაცია საბჭოთა მეურნეობებად. ოუმცა საქართველოში ძირითადად კოლმეურნეობები შენარჩუნდა. კოლმეურნეობის შემთხვევაში, მისი კუთვნილი ქონება ფორმალურად კოლექტიურ საკუთრებას წარმოადგენდა და და შექმნილი იყო მისი წევრების საკუთრებაში არსებული მიწისა და მატერიალურ -ტექნიკური რესურსების გაერთიანების საფუძველზე. შრომის ანაზღაურება გაწეული სამუშაოს მოცულობის შესაბამისად ხდებოდა. ძირითად საკიონებს კი, თავმჯდომარის არჩევის ჩათვლით, წევრთა საერთო კრება წყვეტდა. საბჭოთა მეურნეობა პირდაპირ სახელმწიფოს გამგებლობის ქვეშ იყო და მისი ხელმძღვანელი რაიონის ხელისუფლების მიერ ინიშნებოდა. მეურნეობის საკუთრება სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა. შრომის ანაზღაურება ხდებოდა ფიქსირებული ხელფასის საფუძველზე. საქართველოში საბჭოთა მეურნეობებმა (შესაძლოა, ქართველი გლეხის მესაკუთრე ბუნების გამო), ვერ პპოვეს ფართო გაგრცელება. 1990 წლისთვის საქართველოში მხოლოდ 60 საბჭოთა მეურნეობა იყო (მელუა, 2000).

70-80-იან წლებში კოლმეურნეობებმა საქართველოში თავისი სიძლიერის ზენიტს მიაღწიეს. ამ დროისთვის საქართველოში 100-მდე ისეთი კოლექტიური მეურნეობა იყო, რომელთა საბანკო ანგარიშზე წლიურად მიღიონი საბჭოთა მანეთი ირიცხებოდა.² შესაბამისად, გაიზარდა კოლმეურნის შემოსავალიც. 1978 წლისთვის იგი საშუალოდ 4300 საბჭოთა მანეთს შეადგენდა (მელუა, 2000). წარმოების ზრდას საბჭოთა კავშირის უზარმაზარი ბაზარი და ცენტრალური საბიუჯეტო სუბსიდიები განაპირობებდა. საქართველოს კლიმატური მდებარეობის გამო, განსაკუთრებით ინდუსტრიული კულტურები: ჩაი, ციტრუსი, ღვინო საბჭოთა ბაზარზე დიდ მოთხოვნით სარგებლობდნენ. ცენტრალური ხელისუფლება კი ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სუბსიდიებს არ იშურებდა.

² მათ მერ ყოველწლურად იწარმოებოდა 594,9 ათასი ტონა ჩაი, 436,9 ათასი ტონა ციტრუსი, 703,2 ათასი ტონა ფურქები, 715,3 ათასი ტონა მარცვლული. საკოლმეურნეო საკუთრებაში ირიცხებოდა 585 ათასი სული მსხვილფეხა და 3 მილიონად წვრილფეხა პირუტევი.

თანდათან დაიწყო ზრუნვა სოფლების კეთილმოწყობაზე: აშენდა სკოლები და ბაგა-ბაღები, სპორტული დარბაზები და კულტურის სახლები. ამგარი სოციალური პროგრამების განხორციელებას კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება ედო საფუძვლად. პარტია თანდათან იწყებდა მოსახლეობის სოციო-კულტურულ განვითარებაზე ზრუნვას. გადაწყვეტილება მიიღებოდა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ხოლო კოლმეურნეობა, როგორც პარტიის ადგილობრივი გაგრძელება, ახორციელებდა მას.

ქვეყანაში კეთილდღეობის ზრდის პარალელურად იზრდებოდა მოთხოვნა სასოფლო-სამურნეო პროდუქტზე. საპასუხოდ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა სხვადასხვა მეთოდებით ცდილობდა კერძო ინიციატივის წახალისებას. მაგალითად გლეხებს მიეცათ თავიანთ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ინდუსტრიული კულტურების გაშენების უფლება, რომლის სახელმწიფოს მიერ შესასყიდო ტარიფი 30% -ით მაღალი იყო, ვიდრე საკოლმეურნეო მიწაზე მოყვანილი პროდუქტისა.

თანდათან იზრდებოდა წარმოების ხარჯები. რადგან კოლმეურნეობის ეკონომიკურ საფუძველს სახელმწიფო სუბსიდიები წარმოადგენდა, განსხვავება წარმოების ხარჯებსა და სახელმწიფო შესახებ ფასს შორის სახელმწიფო დოტაციებით იფარებოდა. შესაბამისად გაჩნდა სტიმული სხვადასხვა პრაქტიკებისა, რომლის საფუძველზეც, როგორც საკოლმეურნეო მიწაზე, ისე საოჯახო მეურნეობებში მოყვანილი პროდუქტი სახელმწიფო სარეალიზაციო-გამანაწილებელი სისტემის გვერდის ავლით ქალაქის ბაზრებზე ხვდებოდა, სადაც ის ორჯერ ძვირად იყიდებოდა. სახელმწიფო სუბსიდიები და ფასთვარმოქმნის ამგარი სისტემა ქმნიდა სტიმულს კოლმეურნეობის საკუთრების მითვისება-მიტაცებისა, როგორც რიგითი გლეხის, ასევე საკოლმეურნეო ბიუროკრატიის მიერ (მელუა, 2000).

ამ პროცესებმა ძირფესვიანად შეცვალა გლეხის ცნობიერება. ამ პერიოდის ბოლოსთვის სოფელი მთლიანად კერძო ინტერესებზე იყო ორიენტირებული. გლეხი უკვე საკუთარი პროდუქტის ამონაგების გაზრდაზე ზრუნვადა, რამაც უფრო გაზარდა ქალაქის ბაზრის მნიშვნელობა.

1.2. დამოუკიდებლობის შემდეგ

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სოფლის მეურნეობის გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და მმართველობის საბჭოური ფორმების სრულფასოვანი თითმმართველობით ჩანაცვლება დიდ სირთულეებს წააწყდა.

1991 წელს საქართველომ რეფერენცუმის საფუძველზე დამოუკიდებლობა გამოაცხადა. საბჭოთა კავშირის დაშლის ფონზე გამტვავდა მდგომარეობა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას და ორ ავტონომიურ რეგიონს: აფხაზეთსა და სამხერეთ ოსეთს შორის, რაც ძალიან მაღალ შეიძლებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ამ პროცესს დაერთო დაძაბულობა ქვეყნის ხელისუფლებასა და ოპოზიციურად განწყობილ ძალებს შორის, რომელიც სამოქალაქო ომითა და ხელისუფლების ძალისმიერი ცვლილებით დაგვირგვინდა.

პარალელურად მიმდინარეობდა მძიმე ეკონომიკური ტრანსფორმაცია. დაიწყო დაგეგმვითი ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. ფასთწარმოქმნის პროცესი საბაზრო პრინციპებს დაექვემდებარა. იმავდროულად, დამოუკიდებლობის შემდეგ, ქვეყანა მოწყდა ერთიან საბჭოთა ეკონომიკურ სივრცეს, რამაც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საგრძნობლად გააუარესა. 1990 წლიდან 1994 წლამდე მთლიანი ეროვნული პროდუქტი 45%-ით შემცირდა (Revishvili, 2004). მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სოფლის მეურნეობა. ეთნიკური კონფლიქტებისა და რუსეთ-საქართველოს შორის არსებული დაძაბულობის ფონზე ქართულმა სოფლის მეურნეობის პროდუქტმა თავისი ტრადიციული ბაზარი დაკარგა. პარალელურად, მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობდა ინდუსტრიის სექტორის ჩამოშლაც, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა აგრარულ სექტორში შექმნილი მდგომარეობა. საგრძნობლად შემცირდა სასოფლო სამეურნეო პროდუქტების წარმოება. 1990 წლიდან 2000 წლამდე სასოფლო სამეურნეო წარმოება 2,6-ჯერ შემცირდა (Revishvili 2004).

საქართველოში აგრარული ეკონომიკის გარდაქმნა 1992 წელს დაიწყო. გამოცხადდა მიწის ფართო პრივატიზება. პირველ ეტაპზე გლეხებს მიწა უვადო სარგებლობაში,

გაყიდვის უფლების გარეშე გადაეცათ. გლეხებს, რომლებიც ფლობდნენ მიწის საკარმილამო ნაკვეთებს, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ამ ნაკვეთების ფართი გაუზარდეს 1.20 ჰა-მდე სამეურნეო საქმიანობის განსახორციელებლად. რეფორმის საწყისს ეტაპზე მოხდა კოლმეურნეობების შენარჩუნება. მაგრამ სახელმწიფო სუბსიდიების არარსებობისა და დავალიანების ფონზე მათ მაღლევე შეწყვიტეს არსებობა. დარჩენილი საკოლმეურნეო მიწა და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა უნდა დარჩენლიურ კოლმეურნეობის ბაზაზე ჩამოყალიბებული კოოპერტიული მეურნეობების საკუთრებაში, სადაც გლეხები მეპაიების სტატუსით განკარგავდნენ მას (კოლუაშვილი 1998). რეფორმის ამ ნაწილს განხორციელება არ ეწერა. შექმნილი კრიზისული მდგრმარეობის ფონზე ადგილობრივი საზოგადოება უუნარო აღმოჩნდა გაეკონტროლებინა რესურსების სამართლიანი განაწილება.

1996 წლის მარტიდან „სახოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონით საქართველოს მოქალაქეთავის გადაცემული მიწა გამოცხადდა მათ კერძო საკუთრებად. ამავე ღროს მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების შესაქმნელად „სახოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ“ კანონის საფუძველზე, საქართველოს მოქალაქეებს, სამეურნეო საქმიანობისათვის, უფლება მიეცათ იჯარით აეღოთ მიწა (დიდებულიძე 1997).

პრივატიზაციის ამ პროცესის შედეგად 690 ათასი ჰექტარი მიწა 772000 სახოფლო და 338000 ურბანული შინამეურნობის კერძო მფლობელობაში გადავიდა, საშუალოდ ერთ შინამეურნეობაზე 0.89 ჰექტრის გათვალისწინებით. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ შინამეურნეობების საკუთრებაში არსებული მიწა ხშირად დაქსაქსული იყო 2-3 ნაკვეთად. რაც შეეხება იჯარას, 32 000 კერძო პირმა იჯარით აიღო 492000 ჰა მიწა, საშუალოდ 15.6 ჰა. ხოლო 3573 იურიდიულმა პირმა იჯარით აიღო 404000 ჰა მიწა, საშუალოდ 113 ჰა. 2003 წლისთვის პრივატიზებული მიწის უმრავლესობა საშუალოდ 1 ჰექტრიან ნაკვეთებზე მოდიოდა, რაც მთელი სასოფლო სამეურნეო მიწის 25% და სახნავი მიწის 55% შეადგენდა. შესაბამისად, უმრავლესობა გრძელვადიანი იჯარის სახით აღებული მიწისა მოქცეული იყო მცირე რაო-

დენობის ფიზიკური და იურიდიული პირის ხელში (Revishvili 2004).

მიუხედავად იმისა, რომ მიწის ბაზარი მეურნეობების გამსხვილების საშუალებას იძლეოდა, წვრილ შინამეურნეობებს არ გააჩნდათ ფინანსური სახსრები დამატებით დიდი ფართობის იჯარით აღებისა და მხოლოდ მცირედი ფართობების იჯარით აღებით შემოიფარგლებოდნენ (Gogodze 2005). გარდა ამისა, ხშირი იყო შემთხვევები დიდი რაოდენობის მიწის ფართობის კორუფციული გარიგების შედეგად კონტაქტიური და პოლიტიკური “ელიტის” მიერ მითვისებისა.

შედეგად სოფლის მეურნეობაში ჩამოყალიბდა ორი განსხვავებული ტიპის მეურნეობა: დიდი რაოდენობა კონტაქტიური სუბიექტებისა, რომლებიც ნატურალურ მეურნეობას ეწეოდნენ, და მცირე რაოდენობა მსხვილი კომერციული აგრარული ორგანიზაციებისა (Revishvili 2004).

საქართველოში 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერამ აჩვენა, რომ სასოფლო სამეურნეო მიწების მქონე შინამეურნეობების 43,2%-ს ჰქონდა 0,5 ჰა-ზე ნაკლები; 0,5-0,99 ჰა მიწა ჰქონდა 32%-ს მეურნეობებისა, ე.ო. 1 ჰა-ზე ნაკლები ჰქონდა 75,2%-ს მეურნეობებისა; 1-1,99 ჰა-მდე ჰქონდა მხოლოდ 18,3%-ს მეურნეობებისა; 2-2,99 ჰა – 3%-ს და 3-4 ჰა კი 1,4 %-ს შინამეურნეობებისა. ადსანიშნავია, რომ ეს მეტად მცირე ზომის ფართობიც დანაწევრებული იყო და გაბნეული 2-3 და რიგ რეგიონებში უფრო მეტ ნაკვეთად. შინამეურნეობების ტექნიკური აღჭურვილობის დონე მეტად დაბალი იყო. ნაკვეთების დაქსაქსულობის, სამუშაოების არაერთდროულად ჩატარების გამო, იხარჯებოდა მეტი საწვავი, ტექნიკა გამოიყენებოდა არაეფექტურად. იკვეთებოდა ტენდენცია, მექანიზირებული სამუშაოების შემცირებისა და ცოცხალი გამწევი ძალით (ხარი, ცხენი) თუ ხელის იარაღებით შრომის მოცულობის გაზრდისა (რევიშვილი 2011).

ეკონომიკური სტაგნაციის და ინდუსტრიული საწარმოების გაჩერების შედეგად მასობრივად უმუშევრად დარჩენილი მოსახლებისთვის, წვრილ მეურნეობებზე გადანაწილებულმა მიწამ ოჯახების გამოკვების შესაძლებლობა შექმნა. შედეგად, ნაცვლად იმისა რომ გამსხვილებულიყო და ჩართულიყო აგრარული კონტაქტის ფორმირებაბში, წვრილი გლეხური მეურნეობა გადაიქცა უმუშევარი მოსახლეობის

საკვებით უზრუნველყოფის წყაროდ და მეტწილად ნატურალური მეურნეობის ერთეულად ჩამოყალიბდა.

2003 წლისთვის სასოფლო სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი მოსახლეობის 30%-სთვის შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენდა. თუ გავითვალისწინებთ ოჯახების შემოსავლების სტრუქტურას, დავინახავთ რომ ეს 30%-იც ვერ ჩამოყალიბდა სრულფასოვან ფერმერულ მეურნეობად. 2003 წლისთვის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი ოჯახის საერთო შემოსავლის მხოლოდ 44% წარმოადგენდა, არასასოფლო- სამეურნეო დაქირავებული საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავალი 26% -ს, სოციალური დახმარება და პენსია 14%-ს, არასასოფლო-სამეურნეო სამრეწველო საქმიანობა 9%-ს, ხოლო 7% კი კერძო გზაგნილებზე მოდიოდა (Gogodze 2005).

2004 წლის სტატისტიკური მონაცემების თანახმად მეურნეობათა 82% აწარმოებდა ძირითადად საკუთარი მოხმარებისთვის, ხოლო 18% ძირითადად გასაყიდად (საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, 2005).

მცირემიწიანი გლეხური შინამეურნეობების სასოფლო - სამეურნეო სპეციალიზაციისა და საბაზრო ურთიერთობებში სრულფასოვანი ჩართვისათვის ხელ შემშლელ ფაქტორს ტრანსაქციის მაღალი ხარჯები წარმოადგენდა³. გლეხურ შინამეურნეობებს არ მიუწვდებოდათ ხელი კვალიფიციურ აგრარულ და ვეტერინარულ კონსულტაციაზე. არ გააჩნდათ საკუთარი ტექნიკა. განიცდიდნენ პესტიციდებისა და მინერალური სასუქების ნაკლებობას. მაღალი საპროცენტო განაკვეთების გამო არ მიუწვდებოდათ ხელი კრედიტებზე. აგრარული პროდუქტების სარეალიზაციო ადგილებამდე მაღალი სატრანსპორტო ხარჯების გამო, მიწაზე მოყვანილი მცირეოდენი პროდუქტის გაყიდვა კი, ხშირად, აზრს კარგავდა.

³ ტრანსაქციული ხარჯები ის ხარჯებია, რომლებიც ეკონომიკურ სუბიექტს საბაზრო ურთიერთობებში ჩართვისას (ყიდვა, გაყიდვა, ქირაობა, გაცვლა) ექმნება ინფორმაციის მოპოვების, ტრანსპორტის, შეთანხმების მიღწევისა და შესრულების ხარჯების სახით, ეკონომიკური ტრანსაქციის დროს გაურკვეობისა და მოუღონებელობების თავიდან ასაცილებელად. ტრანსაქციის ხარჯების შემცირება შესაძლებელია ინსტიტუტების ჩამოყალიბების გზით. ტრანსაქციის ხარჯებთან დაკავშირებით იხილეთ: (Coase, 1937), (North, 1992).

ამ მდგომარეობიდან გამოსავალი რესურსების გაერთიანება და კოოპერატიულ მეურნეობების ჩამოყალიბება იქნებოდა. გაერთიანების შედეგად შემცირდებოდა პროდუქციისა და ტრანსაქციის ხარჯები და გლეხური მეურნეობები შეძლებდნენ ერთიანი ძალებით ჩამოყალიბებულიყვნენ საბაზრო ეკონომიკის სრულფასოვან სუბიექტებად. სხვადასხვა მიზეზების გამო ამგვარი კოოპერირება ვერ შედგა, მათ შორის სახელმწიფო ორგანიზაცია არც ვარდების რევოლუციამდე და არც მის შემდეგ არ იყო ამ პროცესის სტიმულირებაზე ორიენტირებული (ნაცვლიშვილი, 2011).

გარდა ეკონომიკური პრობლემებისა, სოფელს აწესებდა სოფლის მმართველობის მექანიზმების არარსებობა. კოლმეურნეობების გაქრობის შემდეგ ადგილობრივი ხელისუფლების თვალსაზრისით შეიქმნა ერთგვარი ვაკუუმი.

1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კონსტიტუცია, რამაც ერთგვარი სტაბილურობა შეიტანა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მოუგვარებელი ტერიტორიული კონფლიქტების გამო რეგიონალური დაყოფის საკითხი კონსტიტუციით არ განსაზღვრულა. სამაგიეროდ, კონსტიტუციის საფუძველზე განისაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესი, უფლებამოსილება და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობის ფორმა. კონსტიტუციის მიღების შემდეგ, 1997 წელს, მიღებულ იქნა კანონები „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“, „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“, „ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ“.

1998 წლის ნოემბერში საქართველოში პირველად ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების – საკრებულოების არჩევნები. კანონის თანახმად, თვითმმართველობის ტერიტორიულ საფუძვლებად დადგენილ იქნა სოფელი, თემი, დაბა და ქალაქი (რომლებიც შედიოდნენ რაიონის შემადგენლობაში). საქართველოს დედაქალაქი – თბილისი, აგრეთვე რაიონები და ქალაქები, რომლებიც არ შედიოდნენ რაიონის შემადგენლობაში, გამოცხადდა ადგილობრივი მმართველობის დონედ. ეს იყო მმართველობა-თვითმმართველობის ერთგვარი ეკლექტური სისტემა, ვინაიდან ადგილობრივი ორგანოები რაიონულ და დიდი ქალაქების შემადგენლობაში მდგრადი განვითარების მიზანით დაგენერირდა.

ბის დონეზე ერთდროულად ასრულებდნენ როგორც სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციებს (ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი, 2009). რაიონების და დიდი ქალაქების აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელები – გამგებლები და მერები თანამდებობებზე ინიშნებოდნენ საქართველოს პრეზიდენტის მიერ.

ამ ინოვაციის მიუხედავად, მოცემულ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის მოწესრიგება ვერ მოხერხდა. საჯარო უფლებამოსილებები და შესაბამისი რესურსები კვლავაც ცენტრალური ხელისუფლების ხელში იყო კონცენტრირებული. ადგილობრივი ხელისუფლება განიხილებოდა არა როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტი, არამედ როგორც ცენტრალური ხელისუფლების გაგრძელება. არ განხორციელებულა არც ფისკალური და არც საჯაროების უფლებათა დეცენტრალიზაცია. შესაბამისად, წვრილი თვითმმართველი ერთეულები დარჩნენ იმ რესურსების გარეშე, რომლებიც მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის იყო საჭირო. არ მომხდარა რაიონულ ხელისუფლებებსა და რაიონში შემავალ თვითმმართველ ერთეულთა შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნა. ყველა მნიშვნელოვანი ადგილობრივი საზოგადოებრივი მომსახურების გაწევა კვლავაც ხორციელდებოდა რაიონის ხელისუფლების მიერ.

განხორციელებულმა რეფორმებმა ვერ შექმნა ადგილებზე ის საჯარო სივრცე, რომელიც საზოგადოების ჩართულობისა და მონაწილეობის საფუძველზე საერთო მოხმარების რესურსებისა და საჯარო სიკეთეების განკარგვას უზრუნველყოფდა.

1.3. გარდების რეგოლუციის შემდეგ

2003 წლის მოვლენების შედეგად, რომელიც ვარდების რეგოლუციის სახელით არის ცნობილი, ხელისუფლებაში მოვიდა მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი “ნაციონალური მოძრაობის” სახით.

ახალმა ხელისუფლებამ განახორციელა როგორც მმართველობის, ისე ეკონომიკური რეფორმები.

მმართველობის რეფორმამ, მიუხედავად გაცხადებული დემოკრატიული მიზნებისა, ძალაუფლების ცენტრალიზაცია და კონცენტრაცია, მისი ვერტიკალური და ჰორიზონტალური დაყოფების შესუსტება მოიგანა. მიუხედავად 2004 წელს განხორციელებული კონსტიტუციური რეფორმებისა, რომლის გაცხადებული მიზანი ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობის ფორმირება იყო, მთელი ძალაუფლება ფაქტობრივად პრეზიდენტის ხელში აღმოჩნდა კონცენტრირებული. ძალაუფლების კონცენტრაციას შემდგომში დაემატა მთელი რიგი ადამიანის უფლებების დარღვევები, კანონის უზენაესობის დაკნინება და დემოკრატიული ინსტიტუტების ეროვნია. ამ გარემობას დაერთო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგრმარეობის გაუარესება⁴.

მმართველობის რეფორმა შეეხო დეცენტრალიზაციის არსებულ ფორმასაც. რეფოლუციამდელი თვითმმართველობის სისტემის არაეფუქტურობის გამოცდილების საფუძველზე, პოსტრევოლუციურმა ხელისუფლებამ გაამსხვილა თვითმმართველი ერთეულები. იგულისხმებოდა, რომ უფრო მსხვილი ტერიტორიული ერთეულები, აღჭურვილი მეტი რესურსებითა და მეტი ავტონომით, მოსახლეობის საჭიროებების მომსახურეობას უკავესად უზრუნველყოფდა.

2005 წლის რეფორმის შედეგად, თვითმმართველი ერთეულების გამსხვილების მიზნით, საქართველოში მანამდე არსებული 1000-ზე მეტი თვითმმართველი ერთეულის ბაზაზე შეიქმნა 64 თვითმმართველი მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტი ყოფილი რაიონების შემადგენლობაში შემავალი თვითმმართველი ერთეულების (ქალაქი, დაბა, თემი, სოფელი) სამართალმექანიზრებს წარმოადგენდა. გამსხვილების პროცესში სოფელი დარჩა როგორც თვითმმართველობის, ასევე იურიდიული სტატუსის და საკუთრების გარეშე. მუნიციპალიტეტის საკრებულოში თემი გახდა წარმოდგენილი თითო წარმომადგენლით, ხოლო საკრებულო სოფლის აღმინისტრირებას დანიშნული რწმუნებულის მიერ ახორციელებდა.

2010 წლის 8 აგვისტომდე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაუცემელი „საძოვრები“ განეპუთვნებო-

⁴ საქართველოში ჯინის კოეფიციენტი 2011 წელს 40,8 პროცენტს შეადგენდა. იხილეთ: *Georgian Economic Outlook. EPRC 2011*.

და სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთადერთ კატეგორიას, რაც ადგილობრივი ხელისუფლების საკუთრებად ითვლებოდა. ოქმცა, 2010 წელს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესული ცვლილებებით, კანონის 47-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის ჩამონათვალს (სადაც განსაზღვრულია სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ის კატეგორიები, რომელიც თვითმმართველობებს არ გადაუცემა) დაემატა „საძოვარიც“, ამდენად, ადგილობრივი ხელისუფლება სასოფლო-სამეურნეო მიწების გარეშე დარჩა (ლოსაბერიძე და სხვ., 2011).

მიუხედავად იმისა, რომ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები ერთმნიშვნელოვნად თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად გამოცხადდა, მათი თვითმმართველი ერთეულისათვის გადაცემის პროცედურის განსაზღვრის პრეროგატივა საქართველოს მთავრობამ შეინარჩუნა. ამნიშნულმა გარემოებამ მნიშვნელოვნად შეაფერხა თვითმმართველ ერთეულებზე არასასოფლო-სამეურნეო მიწების გადაცემის პროცესი. ანალოგიური მდგომარეობაა თვითმმართველ ერთეულებზე ბუნებრივი რესურსების გადაცემის თვალსაზრისით. იმავდროულად, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტს თვითმმართველი ერთეულის ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით გასხვისების ექსკლუზიური უფლება მიენიჭა, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა კონკრეტული ქონება საკრებულოს მიერ დამტკიცებულ საპრივატიზებო ქონების ნუსხაში.

ტრანსფერი ცენტრალური ბიუჯეტიდან თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის მთავარ წეაროს წარმოადგნდა. ასე, თვითმმართველობების ბიუჯეტის შემოსავლებში საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლები 2009 წელს ბიუჯეტების შემოსავლების მხოლოდ 24,7%, ხოლო 2010 წელს – 23,4% -ს წარმოადგენდა. დანარჩენი ნაწილის ფორმირება ცენტრალური ხელისუფლებიდან მიღებული ტრანსფერების ხარჯზე ხორციელდებოდა (ლოსაბერიძე და სხვ., 2011).

შეზღუდული ფუნქციებისა და უფლებამოსილების მქონე თვითმმართველი ერთეულები კვლავაც ცენტრალური ხელისუფლების დანამატად ჩამოყალიბდა და მოსახლეობის უფრო სერვისების მიწოდების ინსტანციებად გადაიჭირდა.

ცა, ვიდრე ადგილობრივი დემოკრატიის განხორციელების ადგილებად.

გამსხვილების შედეგად დეცენტრალიზაციის პროცესი ცენტრალიზებისკენ წავიდა. 2006 და 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნებმა კიდევ უფრო გაამყარა ეს გარემოება. მმართველი პარტია, “ნაციონალური მოძრაობა”, ორივე არჩევნების შედეგად თითქმის ყველა საკრებულოში უმრავლესობით მოვიდა. იურიდიულად თვითმმართველი მუნიციპალიტეტები რეალობაში პრეზიდენტის მიერ დანიშნულ გუბერნატორს დაექვემდებარა.

გარდა მმართველობის რეფორმისა, ვარდების რევოლუციის შემდეგ ეკონომიკური რეფორმაც გატარდა. ახალმა ხელისუფლებამ ეკონომიკური სტრატეგია ეკონომიკის ლიბერალიზაციასა და ინვესტიციების მოზიდვაზე დააფუძნა. ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის გასაუმჯობესებლად გატარებული რეფორმების შედეგად, მსოფლიო ბანკის ბიზნესის კოოპერაციების სიმარტივის ინდექსის რეიტინგში, საქართველომ სულ მაღალ მოწინავე ადგილი დაიმკვიდრა (მუსხელიშვილი, 2011). გატარებული რეფორმები საქმარისი არ აღმოჩნდა ვითარების გაუმჯობესებისთვის. საქართველო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის 2007 წლის მონაცემებით 151 ქვეყნიდან მხოლოდ 102 ადგილზე იმყოფებოდა⁵. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ კიდევ უფრო შემცირდა ინვესტიციების ნაკადი⁶. ამას ობიექტური მიზეზებიც ჰქონდა. გლობალური კონკურენციარიანობის ინდექსის მიხედვით 139 ქვეყნას შორის საქართველო 93-ე ადგილს იკავებდა. განსაკუთრებით უარყოფითი მაჩვენებელი მას მაკროეკონომიკური სტაბილურობის თვალსაზრისით ჰქონდა. აქ ის მხოლოდ 130-ე ადგილზე იყო⁷.

მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის არსი კარგიდ გამოიხატა პრეზიდენტის მიერ 2009 წელს ინიცირებული “თავისუფლების აქტში”. მის საფუძველზე 2010-2011 წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების თანახ-

⁵ <http://unctad.org>

⁶ http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/FDI_2011%20adjust_ed%20-%20GEO.pdf

⁷ http://www.3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2010-11.pdf

მად, ბიუჯეტის მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდება უნდა ყოფილიყო არა უმეტეს 30%-ისა, ბიუჯეტის დეფიციტის მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდება კი არაუმეტეს 3%-ისა (მუსხელიშვილი, 2011). განხორციელებულმა ცვლილებებმა უპყევ კანონით შეზღუდა სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირება და ისეთი კრიზისული დარგი, როგორიც სოფლის მეურნეობაა, საბაზრო მექანიზმების ამარა დატოვა.

ლიბერალიზაციის პოლიტიკის შედეგად მოიხსნა ბარიერები სოფლის მეურნეობის იმპორტზე. შედეგად ქვეყანაში გაიზარდა იმპორტირებული აგრარული პროდუქტის მოცულობა. მაგალითად, 2010 წლისთვის, ქვეყანაში მოხმარებული სასურსათო კალათის მოცულობაში იმპორტირებული სოფლის მეურნეობის პროდუქტის წილი 2/3-ს შეადგენდა (არჩვაძე, 2010). ამ გარემოებამ შეაფერხა ადგილობრივი სასოფლო სამურნეო პროდუქციის განვითარება.

იმავდროულად, მნიშვნელოვანი სახსრები მოხმარდა რეგიონების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას: დაიგო გზები, გავიდა გაზი, გამოსწორდა ელექტროენერგიის მიწოდება. სამაგიეროდ, აგრარული პოლიტიკა შორს იყო კომპლექსური მიდგომებისგან და მხოლოდ ერთჯერადი, ლოკალური ჩარევებით შემოიფარგლებოდა. ეს კარგად ჩანდა სოფლის მეურნეობაზე გამოყოფილ სახელმწიფო საბიუჯეტო ასიგნირების რაოდენობით. 2011 წელს სოფლის მეურნეობაზე გამოყოფილი თანხა საბიუჯეტო ხარჯების 1,14 %-ს წარმოადგენდა. 2012 წელს ეს მაჩვენებელი გაიზარდა 1.83 %-მდე⁸, მაგრამ ასეთი უმნიშვნელო მატების ფონზე, საერთო სურათი არ შეცვლილა. ქვეყანაში შემოსული ინვესტიციები სოფლის მეურნეობას პრაქტიკულად არ მოხმარდა. მაგალითად: აგრარულ სექტორში ინვესტიციის სახით 2010 წელს შემოვიდა 457.8 მილიონი ლარი, რაც ამ წელიწადში განხორციელებული ინვესტიციების 11.4 %-ა. ძეგლან, მხოლოდ 1.9 % მოდიოდა უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებზე⁹. ცალსახა იყო ინგესტორების, განსაკუთრებით უცხოელების, აგრარული სექტორის მიმართ დაბალი ინტერესი.

⁸ დაანგარიშებულია ფინანსთა სამინისტროს მონაცემთა საფუძველზე.

⁹ დაანგარიშებულია საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემთა საფუძველზე.

ამ პერიოდში კიდევ უფრო დაეცა სოფლის წარმოებითუნარიანობა. სოფლის მეურნეობაში ერთ დასაქმებულზე 2010 წლისთვის თვეში იქმნებოდა დაახლოებით 70 აშშ დოლარის ეკვივალენტური დამატებული ღირებულება, რაც შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმზე დაახლოებით 7%-ით ნაკლები იყო. ოჯახური შინამეურნეობების ფულად შემოსავლებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის რგალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილად მოდიოდა მხოლოდ 21%, ხოლო ამ შინამეურნეობათა აგრარული სექტორიდან მიღებული შემოსავლების მხოლოდ 28% ღებულობდა საქონლურ სახეს, დანარჩენი 72 % - ნატურალური შემოსავლები იყო. თუ ამ მაჩვენებელს შევადარებოთ 1980-იანი წლების მონაცემებს, სადაც მოსახლეობის პირად დამხმარე მეურნეობებში წარმოებული პროდუქციის 45% ღებულობდა სასაქონლო ფორმას, დავინახავთ, თუ რაოდენ დაეცა შინამეურნეობების მიერ წარმოებული პროდუქციის დასაქონლიანების დონე (არჩვაძე, 2010). შესაბამისად შემცირდა სოფლის მეურნეობის წილი მთლიან ეროვნულ შიდა პროდუქტში¹⁰. თუ გავითვალისწინებთ, რომ სოფლად აქტიური მოსახლეობის (1944.9 ათასი კაცი) თითქმის 3/5 ცხოვრობს¹¹, უფრო ნათელი გახდება აგრარულ სექტორში შექმნილი საგალალო მდგომარეობა.

სოფლის მოსახლეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ხელისუფლებამ 2004 წლიდან განახორციელა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც წერილ გლეხურ მეურნეობებს სახელმწიფოს მიმართ ვალდებულებებისგან ათავისუფლებდა. სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოებული პროდუქტი, თუკი წლიური ბრუნვა არ აღემატებოდა 100000 ლარს (2010 წლიდან ეს ზღვარი გაიზარდა 200000 ლარამედე), გათავისუფლდა როგორც დამატებული ღირებულების, ასევე მოგების გადასახადისგან.

ამ ვითარებამ პოზიტიურთან ერთად ნეგატიური შედეგი გამოიღო: მან ერთგარად შეასუსტა გლეხებს შორის კოპერირების სტიმული, ვინაიდან მეურნეობის გამსხვილება იწ-

¹⁰ იგი 2000 წელს 20.6 % შეადგენდა (რევიშილი, 2011), 2009 წელს 8.4 %, 2010 წელს მან 8.4 %, ხოლო 2011 9.4 % შეადგინა. დაანგარიშებულია საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემთა საფუძველზე.

¹¹ www.geostat.ge

ვევდა ტრანსაქციული ხარჯების ზრდას, მათი შემცირების ნაცვლად. მსხვილი საწარმოებისთვის კი შექმნა შესაძლებლობა, რომ ბრუნვის დიდი ნაწილი განეხორციელებინათ ჩრდილში, რათა მეტი მოგება მიეღოთ. იმის გათვალისწინებით, რომ მეურნეობათა 80 % ნატურალურ მეურნეობას ეწეოდა (გოგონია, 2011), აგრძარულ სექტორში შეიქმნა ერთგარი თრდონიანი ეკონომიკა, რომელიც ფორმალური, ან ნახევრად ფორმალური და ჩრდილოვანი ეკონომიკის სიმბიოზს წარმოადგენდა. ერთ მხარეს იყვნენ მსხვილი ფერმერული მეურნეობები, რომლებიც, საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, მოგების გაზრდის მიზნით, მოქმედებდნენ როგორც ჩრდილოვან, ისე ფორმალურ სექტორში. მეორე მხარეს იყვნენ წვრილი საოჯახო შინამეურნეობები, რომლებიც რაციონალურად ისევ არაფორმალი ხელშესახსრების სახით დარჩენას ამჯობინებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ კოოპერირების შედეგად მეურნეობათა გამსხვილებისა და საქმიანობის ფორმალიზების შემთხვევაში გაიზრდებოდა მათი სამოქმედო არეალი, ეს პროცესი მეტ რისკებსა და პასუხისმგებლობასთან იყო დაკავშირებული, როგორც ბიზნეს პარტნიორებსა და ბანკობან, ისე სახელმწიფოსთან მიმართებაში, რაც ამ უკანასკნელის შემთხვევაში ერთგვარ პატრონ-კლიენტურ ურთიერთობებში ჩართვის აუცილებლობას არ გამორიცხავდა.

ამ ორიდან, მსხვილი და წვრილი მეურნეობებიდან, ხელისუფლებამ აგრძარული განვითარება 2010 წლიდან მსხვილ მეურნეობებს დაუკავშირა. მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისმევისა¹², რომელიც აგრძარული კოოპერატივების ხელშეწყობაზე იყო მიმართული, მთავრობამ სხვა გზა აირჩია. მიწის მასიური პრივატიზებით ხელისუფლებამ დაიწყო აგრძარულ სექტორში ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

2010 წელს მიღებული კანონის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებების მოზიდვა.

¹² ევროგაერთიანების ელჩი საქართველოში პეტ ეკლუნდი წერდა: „ჩემი აზრით არახელსაყრელი მდგრიმარეობა, რომელიც საქართველოში განხილულია პატარა და ფრაგმინტირებული ფერმების არსებობით, შეიძლება ყველაზე უკეთესად გადალახულ იყოს აგრძარული კოოპერატივების შექმნით და ეს არის ყველაზე სწრაფი ალტერნატივა“.

http://www.messenger.com.ge/issues/2227_november_3_2010/2227_eklund.html

ლების მიწის გასაყიდი საწყისი ნორმატიული ფასი საგრძნობ-ლად გაზარდა. ხოლო ახალი საგადასახადო კოდექსით, რომე-ლიც ძალაში 2011 წელს შევიდა, გაიზარდა სასოფლო-სამეურ-ნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი, რიგ შემ-თხვევაში 2-ჯერ და 3-ჯერ. 2011 წლიდან გაუქმდა სახელმწი-ფო საკუთრებაში არსებული მიწის იჯარით გაცემის წესი. ამიერიდან იჯარით აღებული მიწის შესანარჩუნებლად პირს გაზრდილი ქონების გადასახადის გარდა, 1 ჰექტარ ვარგის მი-წაზე პრივატიზაციისთვის 1000 ლარი უნდა გადაეხადა, რაც ბევრისთვის იჯარით აღებული მიწის დათმობისა და სამეურ-ნეო საქმიანობის შეჩერების მიზეზი გახდა¹³.

ამ ინიციატივებმა ბიძგი მისცა კონფლიქტებს მიწაზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით. ბევრ შემთხვევაში, მიწა, რომელსაც გლეხები იყენებდნენ და თავისად მიაჩნდათ, ინვესტორზე გასხვისდა. განსაკუთრებით გამრვავდა მდგომარე-ობა იმ მიწებთან დაკავშირებით, რომლებსაც სოფელი საძოვ-რად ან სათიბად იყენებდა. სოფლის მცხოვრებლებმა, რომლე-ბისთვისაც ძროხა თავის რჩენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყა-როს წარმოადგენდა, დაკარგეს მათვის სასიცოცხლოდ აუცი-ლებელი რესურსი.

ხელისუფლების მიერ მიწის ინვესტორებზე მიყიდვის პროცესს აადგილებდა ის ფაქტი, რომ ეს მიწა კანონით ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე ირიცხებოდა. ვერც სოფლის და ვერც მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები ვერანაირ გავლენას ვერ ახდენდა ამ პროცესზე.

2012 წლისთვის კვლავაც გაურკვეველი რჩებოდა სოფლის ეკონომიკისა და მისი სოციალური და მმართველო-ბითი ორგანიზების სამომავლო ფორმები. გაგრძელდება თუ არა წვრილი მეურნეობების შემდგომი გადარიცხვა და ეკო-ნომიკური ბრუნვიდან გარიყვა, თუ მოხდება სოფლის ადამი-ანური და აგრარული რესურსების ჩართვა უფექტურ წარმო-ებაში, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პოლიტიკას გაატა-რებს სახელმწიფო უახლოეს წლებში სოფლის მეურნეობის მართვისა და სოფლის თვითმმართველობის ჩამოყალიბებას-თან მიმართებაში.

¹³ <http://www.aplr.org/?lang=geo&id=376>

თავი 2. სოციალური პაკიტალი, თმორიული ხედგა

როგორც წინა თავშია ნაჩვენები, სოფელმა ეფექტურად ვერ განავითარა ის ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები, რომლებიც ახალ გპოქაში მას ექთილდღეობას მოუტანდა. შედეგის მისაღწევად სოფლის მოსახლეობას უნდა შესძლებოდა საკუთარი მწირი და დაქსაქსური ეკონომიკური თუ პოლიტიკური რესურსების აგრეგირება. სოფლებში უნდა შექმნილიყო ახალი საოგმო ორგანიზაციები, კოოპერატივები, სამოქალაქო თუ პოლიტიკური გაერთიანებები, რომლებიც ამ გარემოს სიცოცხლეს შესძლნა. ასეთი მცდელობები მართლაც იყო - როგორც მოსახლეობის მხრიდან, ასევე გარედან ხელშეწყობით. თუმცა, მათ წარმატებულს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ. ისმის კითხვა: რამ განაპირობა ეს წარუმატებლობა?

ვითარების ასახესნელად შეიძლება მოიძებნოს წმინდა ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზები. საბაზრო განვითარების იმ მოდელმა, რომელიც საქართველოში დაინერგა, გლეხური და ფერმერული მეურნეობები დიდწილად წამგებიანი გახადა, ხოლო პოლიტიკურმა სისტემამ სოფლები თვითმმართველობის, მყარი უფლებებისა და საერთო რესურსების გარეშე დატოვა. ამდენად, ინდივიდების ეკონომიკური და პოლიტიკური პასიურობა, შესაძლოა, წმინდა რაციონალური გათვლის შედეგი იყოს. მეორე - უფრო მეტად ინდივიდებზე დაფუძნებული ახსნის თანახმად (რომელიც ისტორიულ ინსტიტუციურ ეკონომიკაში დომინირებს), ახალ ინსტიტუციურ გარემოში ეფექტური ფუნქციონირებისთვის ინდივიდებს აკლიათ ცოდნა, ჩვევა და გამოცდილება - ანუ ინდივიდუალური კაპიტალი, რომელიც დროთა განმავლობაში გროვდება. მესამე ახსნა სოციალური კაპიტალის ცნებას იყენებს. ამ მიდგომის თანახმად, წარუმატებლობის მიზეზი თავად საზოგადოებაშია. ესაა საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, უფრო სწორედ, ამ სტრუქტურის სისუსტე ან არასწორი მოწყობა. სწორედ ამ სტრუქტურის გამყარება ან შეცვლა იქნებოდა რეფორმების წარმატების საწინდარი. მოცემული კვლევის მიზანი ამ (მესამე) მიდგომის ანალიზია.

2.1. სოციალური კაპიტალი

სოციალური კაპიტალი შედარებით ახალი ცნებაა, რომელიც ბოლო ოცი წლის განმავლობაში გახდა პოპულარული სოციალურ მეცნიერებებში. საკითხის სიახლისა თუ სირთულის გამო, ამ ცნების კონცეპტუალიზაცია დღემდე აქტუალურია, ხოლო მისი სარგებლიანობა კამათის საგნად რჩება. შეესაბამება თუ არა სოციალური კაპიტალის ცნება ისეთ რეალობას, რომელიც მანამდე მკვლევართა ყურადღების მიღმა რჩებოდა, თუ ის მოიცავს იმ მოვლენებს, რომელიც სხვა, უფრო ტრადიციული ტერმინებითაც შეიძლება აღიწეროს?

სხვადასხვა ავტორი გვაძლევს როგორც სოციალურ კაპიტალის, ასევე მისი შემადგენელ კომპონენტების განსხვავებულ ინტერპრეტაციას. ამ ფენომენის არსის ანალიზის პროცესში გამოიყენება ისეთი ცნებები, როგორებიცაა ადამიანთაშორისი ქსელები, ხდობა, სოციალური ნორმები და ინსტიტუტები. პატნერის მიხედვით, "სოციალური კაპიტალი . . . წარმოადგენს საზოგადოების მოწყობის ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა ხდობა, ნორმები და ქსელები, რომლებიც აადგილებს თანამშრომლობაზე ორიენტირებულ ქცევას და ამით საზოგადოების ეფექტურობას ზრდიან" ¹⁴ (Putnam, 1994, გვ.167).

ეს განსაზღვრება სასარგებლოა სოციალურ კაპიტალზე მსჯელობის დასაწყებად, რადგან ის მრიცავს სოციალური კაპიტალის რამდენიმე არსებით მახასიათებელს:

- სოციალური კაპიტალი არის საზოგადოების/ერთობის მახასიათებელი, და არ წარმოადგენს ინდივიდების, ეკონომიკური ვითარებისა თუ ფორმალური ინსტიტუტების რაომე თვისებების სახეობას. ამდენად, ის არ დაიყვანება ინდივიდუალური აქტორების მახასიათებლებისა და სამოქმედო სტრატეგიების ნაკრებზე, და ასევე არ წარმოადგენს სოციალური სისტემის მაფორმირებელი ფორმალური წესების ფუნქციონირების გვერდით პროდუქტს.

¹⁴ "Social capital . . . refers to features of social organization, such as trust, norms and networks that can improve efficiency of society by facilitating cooperative action".

- სოციალური კაპიტალი არის ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობას ინდივიდებს შორის, თუმცა, მისი არსებობის ემპირიულად დადგენა ამ თანამშრომლობის ინტენსივობაზე დაკვირვებით პრობლემატურია. ის არის თანამშრომლობის ხელშემწყობი ერთ-ერთი, და არა ერთადერთი ფაქტორი. თანამშრომლობის ინტენსიობა შესაძლოა დამოკიდებული იყოს სხვა ფაქტორებზეც, მაგალითად, ინდივიდების ეკონომიკურ კაპიტალზე. გარკვეული დროის განმავლობაში ინტენსიური თანამშრომლობა შესაძლოა სოციალური კაპიტალის სიმცირის ფონზეც ხდებოდეს, და პირიქით, სოციალური კაპიტალი არსებობდეს, მაგრამ თანამშრომლობა იყოს სუსტი სხვა მიზეზების გამო.

- სოციალური კაპიტალი, ამ მიღობის თანახმად, არის "კაპიტალი", რესურსი, რომელიც ზრდის საზოგადოების სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ეფექტურობას. ის არის რესურსი, რომელმაც შეიძლება "შოიგოს" სხვა ტიპის რესურსი - ეკონომიკური ან პოლიტიკური. ეს ნიშნავს, რომ სოციალური კაპიტალი არის "კაპიტალი" კლასიკური გაგებით - შესაძლებელია მისი ჩართვა გაცვლის პროცესში, რის შედეგადაც იზრდება სხვა რესურსების ხელმისაწვდომობა, იქმნება დამატებული ღირებულება (Lin, 2004). ამდენად, სოციალური კაპიტალის ცნებაში მოიაზრება მხოლოდ ისეთი სოციალური რესურსები, რომლებიც მონაწილეობენ "გაცვლის" პროცესში. წარმოადგენს რა "კაპიტალს", "დამატებული ღირებულების" მოტანის შემდეგ ის კი არ მცირდება, არამედ იზრდება. თუკი ადმოჩნდა, რომ ქსელები, ნდობა ან ნორმები, რომლებიც მის შემადგენელ ნაწილებად მოიხსენიება, "დამატებული ღირებულების" შემქმნელი არ არის, და, ამ თვალსაზრისით, სასარგებლო რესურსს არ წარმოადგენს, მათი გაიგივება სოციალური კაპიტალის ცნებასთან არ იქნება მართებული.

ალექს ინკელსის აზრით, დაშვება დამატებული ღირებულების შესახებ ყველაზე საინტერესო თემაა სოციალურ კაპიტალთან მიმართებაში. ეკონომიკური თუ პოლიტიკური რესურსი, რომელსაც სოციალური კაპიტალი "აწარმოებს" არის ის დამატებული ღირებულება, რომელიც ამ ცნებას მიმზიდველს ხდის:

"დაშვება დამატებული დირებულების შესახებ არის ყველაზე მიმზიდველი კომპონენტი სოციალური კაპიტალის შესწავლაში. . . სოციალური კაპიტალი აძლევს ერთობებს შესაძლებლობას აწარმოონ ის, რასაც ვერ შექმნიდნენ [მის გარეშე] . . . ამის საპირისპიროდ, ინდივიდებზე ფოკუსირებული კვლევები, როგორც წესი, არაფერს ამბობს დამატებული დირებულების შესახებ. ამგვარი კვლევები უფრო ფიქსირებული რესურსისგან წილის მისაღებად საჭირო კონკურენტულ უპირატესობებს აქცევენ ურადღებას. ეს კვლევები თითქმის ყველთვის სწავლობს მოგება-წაგების ვითარებებს" (Inkeles, 2000, გვ. 247)¹⁵.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმ პოზიტიური კონტექსტისა, რომელშიც მკვლევართა უმრავლესობა სოციალური კაპიტალის ცნებას ათავსებს (ძლიერი სოციალური კაპიტალი=უფაქტური საზოგადოება), სოციალური კაპიტალი განიხილება ხოლმე როგორც საშუალება სხვა, უფრო მაღალი დირებულების მქონე რესურსების (პოლიტიკური, ეკონომიკური) მოსაპოვებლად. გარკვეულწილად, სოციალური კაპიტალი დირებულებათა იერარქიაში თავსდება დაბალ დონეზე, მაშინ როცა სასურველი რესურსები, რომელთა ხელმისაწვდომობა უნდა გაიზარდოს მისი მეშვეობით, სისტემური იერარქიის უფრო მაღალი დონეების მახასიათებლად განიხილება.

ამგვარი ხედვა გარკვეულწილადნაკლულია, რადგან იმთავითვე გულისხმობს საზოგადოებრივი ურთიერთობების დაყოფას ორ დონედ: დაბალი, შედარებით თავისუფალი და "ადამიანური", შეესაბამება სოციალურ ურთიერთობებს, სადაც ინდივიდები ნებაყოფლობითი და შეუზღუდვითი თანამშრომლობით აგროვებენ "სოციალურ კაპიტალს" (ჰაბერმასის სული ცხოვრების სამყაროს ანალოგი, (Habermas, 1985)), და მაღალი, პოლიტიკური და ეკონომიკური, მკაცრად რეგულირებული ფორმალური ინსტიტუციების წესრიგი, სადაც მიმდინარეობს კონკურენცია და ბრძოლა შეზღუდული რესურსების მოსაპოვებლად (ჰაბერმასის სული სისტემა). პირვე-

¹⁵ 'What makes the study of social capital compelling is the assumption of added value . . . it permits communities to do what they could not do [without social capital] . . . By contrast, studies focused on the individual generally say nothing about added value, and concentrate rather on competitive advantage in the gaining of shares from a fixed pie. They almost invariably deal with a win-lose situation.'

ლი დონის ურთიერთობები, მოცემული ხედვის მიხედვით, არის მხოლოდ საშუალება მეორე დონეზე უფრო წარმატებული "შეღწევის", და, იმავდროულად, ამ მეორე დონის მიერ "კოლონიზებისგან" თავის დაღწევისა.

მოცემული კვლევა განსხვავებულ ხედვას ეყრდნობა. ამ ხედვის მიხედვით, სოციალური კაპიტალი არის საზოგადოების მოწყობის ისეთი მახასიათებელი, რომელიც ასუსტებს მასში დირებულებრივი იერარქიის არსებობას, ხელს უწყობს სხვადასხვა ტიპის რესურსების წარმოქმნას და მათ ჩართვას ურთიერთგაცვლის პროცესში. ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური რესურსები და დირებულებები, სოციალური კაპიტალით მდიდარ საზოგადოებაში, წარმოადგენს ეფექტურად შეკრული სისტემის თანაბრად დირებულ ელემენტებს. ამგვარ საზოგადოებაში შესაძლებელია ამ ელემენტების ფორმირება, შენარჩუნება, მათ შორის ორმხრივი გაცვლა და ერთმანეთში გადადინება. მაგალითად, შესაძლებელია ეკონომიკური მდგრადირეობის გაუმჯობესება სოციალური კაპიტალის დაგროვების გზით ისევე, როგორც სოციალური რესურსის (მაგ. პრესტიჟის) მოპოვება ეკონომიკური წარმატების შედეგად.

სოციალური კაპიტალით მდიდარი საზოგადოება სტაბილური და ეფექტური ფუნქციონირებისთვის არ საჭიროებს იმულების მექანიზმების (პოლიცია, სასამართლო) გადამეტებულ ზემოქმედებას; ამგვარი საზოგადოება შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ქვემოდან ზევით განვითარებისა და არა ზევიდან ქვევით მართვის პროცესი.

თავის შიგნით ამგვარი საზოგადოება ქმნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ იერარქიას, თუმცა, ეს იერარქია უფრო მეტად ლეგიტიმაციას ეყრდნობა, ვიდრე პოლიციას. ჯონ როულზის ტერმინოლოგიას თუ დავესესხებით (Rawls, 2005), ამგვარ საზოგადოებას შეიძლება "კარგად მოწყობილი საზოგადოება" (well ordered society) ვუწოდოთ. კარგად მოწყობილ საზოგადოებაში რაციონალურ ინდივიდებს შეუძლიათ გააკეთონ თავისუფალი არჩევანი და დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები ისე, რომ შენარჩუნდეს არსებული სოციალური სტრუქტურა, არ დამყარდეს ქაოსი. რაციონალური არჩევანის ტერმინოლოგიას თუ დავესესხებით, სოციალური კაპიტალი ქმნის იმ მინიმალურ მოთხოვნებს, რომ-

ლებიც კენეტ ეროუს შეუძლებლობის თეორემით აღწერილი პარადოქსის გადალახვას ხდის შესაძლებელს (Arrow, 1951).

სოციალური კაპიტალის შესწავლისადმი მიღებობისა და გამოყენებული მეთოდების სიმრავლის გამო, ამ თემაზე არსებული ლიტერატურის მიმოხილვის ნაცვლად, ქვემოთ ჩვენ ვავლებთ პარალელურს რამდენიმე მიღომასთან, რომლებიც მოცემული კვლევისთვის ყველაზე არსებით ხედვებს მოიცავს. იმის გამო, რომ მოდელი, რომელსაც შემდგომში კვლევა ეყრდნობა, ახალი ინსტიტუციონალიზმისა და სოციალური არჩევანის მეთოდოლოგიურ მიღომებს იყენებს, აუცილებელია სოციალურ კაპიტალს, ინსტიტუტებსა და სოციალურ ურთიერთობებს შორის არსებული მიმართვების გამკაფიოება.

1. სოციალური კაპიტალი არამარტო ამყარებს საზოგადოების ინსტიტუციურ მოწყობას, არამედ სოციალური წესრიგის იმ გახასიათებელს წარმოადგენს, რომელიც სხვადასხვა ინსტიტუტებს ერთიან სისტემაში ერავს.

ინსტიტუტის ცნება ბოლო ათწლეულებში იმდენად გაფართოვდა, რომ საზღვარი საზოგადოების ინსტიტუციურ და სტრუქტურულ მოწყობას შორის საკმაოდ ბუნდოვანი გახდა. დაგლას ნორტის მიხედვით, ინსტიტუტები შესაძლოა იყოს ფორმალურიც და არაფორმალურიც, მოიცავდეს როგორც თამაშის წესებს, ასევე ურთიერთობების მოდელებსა (პატენტებს) და მონაწილეობის გაზიარებულ რწმენებსა და წარმოდგენებს¹⁶ (North, 2009, გვ.15). თუკი ინსტიტუტებს ამ განმარტების თვალსასწირიდან შევხედავთ, სოციალური კაპიტალის ყველა ელემენტი, რომელიც პატენტისეულ განმარტებაში იყო მოხსენიებული: ნდობა, ნორმები და ქსელები, შესაძლოა ინსტიტუტების კომპონენტებად მოვიაზროთ. ამდენად, ნნდება კითხვა: ხომ არ არის საკმარისი გავაიგივოთ "სოციალური კაპიტალი" საზოგადოების არაფორმალურ ინსტიტუციურ წესრიგთან, ანუ ინსტიტუტების გარკვეულ ნაირსახეობასთან?

სოციალური კაპიტალი შესაძლოა მართლაც გარკვეულ ნორმებსა თუ ქცევის წესებს აძლიერებდეს, მაგრამ

¹⁶ "Formal rules, written laws, formal social conventions, informal norms of behavior, and shared beliefs about the world, as well as the means of enforcement".

ამასთანავე ის ინსტიტუტებს შორის მიმართებების დამყარების და მათი ერთიან სისტემაში მოქცევის ინსტრუმენტადაც გვევლინება. ინსტიტუტები, გაგებული როგორც თამაშის წესები, წარმართავს ინდივიდუების თანამშრომლობას კონკრეტულ ვითარებებში. მაგრამ ინსტიტუტების ერთობლიობა ჯერ არ წარმოადგენს საზოგადოებას; საზოგადოება იქმნება ამ ინსტიტუტებს შორის კავშირების ფორმირებით. სწორედ ამ ბოლო (თუ საწყის) ეტაპზე იჩენს კველაზე მეტად თავს სოციალური კაპიტალი. მისი როლი უფრო ძლიერია ისეთ ვითარებებში, როდესაც "თამაშის წესები" (ინსტიტუტები) ან არ არის მკაფიო, ან ტოვებს ქცევის მოდელის არჩევის თავისუფლებას. ამგვარ ვითარებებში სამოქმედოდ ინდივიდუებს ამოძრავებოთ არა მხოლოდ საკუთარი რაციონალური ინტერესი, არამედ წარმოდგენა იმაზე, თუ როგორ მოიქცევიან სხვა ინდივიდუები, რამდენად სანდო, სოლიდარული ან ლიოალური იქნება მათი ქცევა. ამგვარი წარმოდგენების ერთობლიობა, ხელს უწყობსკ ონკრეტული ინსტიტუციური ელემენტების მრავალფეროვნების ერთმანეთთან შეკავშირებას და ერთიან სისტემაში მოქცევას.

თუკი სტრუქტურულად დიფერენცირებულ საზოგადოებასთან გავაჭვს საქმე, ინსტიტუტები შეიძლება იყოს სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ტიპის. მაშინ შეიძლება ითქვას, რომ სოციალური კაპიტალი ხელს უწყობს ამ ინსტიტუტების მიერ წარმოებული სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური რესურსების გამყარებასა და გაერთიანებას არაიერარქიულ, სტაბილურ და ეფექტურ სისტემაში. თუმცა, თითოეული ეს სფერო (ეკონომიკა, პოლიტიკა, სოციუმი) თვითონაც განსხვავებული ტიპის რესურსებისგან არის ფორმირებული (მაგ. კაპიტალი, ბაზარი, საზოგადოებრივი საქონელი). მიერო დონეზე ამ რესურსების ეფექტურ შეკავშირებასა და ურთიერთქმედებაში ასევე სოციალური კაპიტალია ჩართული. ასე მაგალითად, სოციალურმა კაპიტალმა შესაძლოა ხელი შეუწყოს ფულის შეგროვებას სოფლის გზის შესაკეთებლად (ამ შემთხვევაში კერძო რესურსები გარდაიქმნება საერთო სიკეთედ), ან მოსავლის ერთობლივ გასაღებას (ამ შემთხვევაში ხდება კერძო და ჯგუფური ინტერესების შეჯერება). ამდენად, შეიძლება ვილაპარაკოთ იმაზე, რომ სოციალური კაპიტალი სხვადასხვა ტიპის სა-

კუთრების ფორმირებასა და მათი არაიერარქიული ინტეგრაციის შესაძლებლობას აძლიერებს.

განსხვავება ინსტიტუტება და სოციალურ კაპიტალს შორის ასევე შეიძლება დავინახოთ სოციალური წესრიგის შენარჩუნებისთვის საჭირო იძულების ოდენობაში. ინსტიტუტი, იქნება ის ფორმალური თუ არაფორმალური, შესაძლოა არსებობდეს თამაშის მონაწილეთა ნების საწინააღმდეგოდ - სანქციების შიშის საფუძველზე. რაც უფრო მეტია სოციალური კაპიტალი საზოგადოებაში, მით უფრო ნაკლები იძულებაა საჭირო იმისათვის, რომ შენარჩუნდეს (თუ გარდაიქმნას) არსებული სოციალური ურთიერთობები. ამდენად, იდეალური საზოგადოება არის ისეთი საზოგადოება, რომელშიც თამაშის ყველა წესის შენარჩუნება/გარდაქმნა უზრუნველყოფილია არა იძულებით, არამედ სოციალური კაპიტალის ძალით.

იმისათვის, რომ შემდგომში ერთმანეთისგან განვასხვაოთ ინსტიტუტება და სოციალური კაპიტალის ცნებები, ინსტიტუციურ ნორმებში ჩვენ ვიგულისხმებთ თანამშრომლობის დამკავიდრებულ ფორმებსა და წესებს, რომელთა დამრღვევი გარკვეულ სანქციებს ექვემდებარება. ამგვარ სანქციებს შესაძლოა ახორციელებდეს გარე აქტორი, მაგ. სახელმწიფო; თავად საზოგადოება, რომელიც არაფორმალური გზით ზღუდავს შეუსაბამო ქცევას; ან გარკვეული ქცევა შეიძლება აღიკვეთოს იმის გამო, რომ ის მიუღებელია სავარაუდო პარტნიორისთვის.

ინსტიტუტისგან განსხვავებით, სოციალური კაპიტალი ხელს უწყობს რაციონალური აქტორის ქცევის რეგულირებას ისეთ ვითარებაში, რომელიც ქცევის მოღელებს შორის არჩევანის არსებობას გულისხმობს. ეს არჩევანი მხოლოდ ინსტიტუციური ნორმის შესრულება-არშესრულების დილემაზე არ დაიყვანება (მაგ. ნასესხები ფულის დაბრუნება). ის შეიძლება საერთოდ არ გულისხმობდეს რაიმე სანქციის არსებობას (მაგ. გაერთიანება კოოპერატივში თუ გაერთიანებაზე უარის თქმა). ამგვარ ვითარებებში აქტორების მოღოდინი, თუ რა შეიძლება მოყვეს ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, დიდწილად დამოკიდებულია სოციალური კაპიტალის შემაღებელ ელემენტებზე, მაგ. ნდობაზე.

არჩევანის შესაძლებლობის მქონე ინდივიდების გადაწყვეტილებების ერთობლიობა, ჩაერთონ თუ არ ჩაერთონ

ამა თუ იმ არასავალდებულო ურთიერთობაში, განაპირობებს რესურსების გადადინებას სხვადასხვა ინსტიტუტს შორის. საბოლოო ჯამში, ამ რესურსებს შორის დგინდება "წონასწორობა", რომელიც განსაზღვრავს მათ ფარდობით ფასეულობას საზოგადოების თვალში. ამ პროცესებში სოციალური კაპიტალი, შესაძლოა, აძლიერებდეს ერთი ტიპის ინსტიტუტებს და ასუსტებდეს სხვა ტიპის ინსტიტუტებს.

2. კველა ტიპის სოციალური რესურსი არ წარმოადგენს სოციალურ კაპიტალს: არსებობს კო-თარებები, როდესაც ინსტიტუტები სოციალურ რესურსებს კაპიტალად ქცევის შესაძლებლობას არ აძლევს.

როგორც უკვე აღნიშნეთ, სოციალური ურთიერთობები, რომლებიც საზოგადოების ერთ-ერთ რესურსს წარმოადგენს, შეიძლება ვერ გახდეს "კაპიტალი", ანუ შესაძლოა ამ ტიპის რესურსი არ იყოს კონკრეტურებადი საზოგადოების ეკონომიკურ და პოლიტიკურ წარმატებაში. ამგვარი ვითარება შეიძლება შეიქმნას მაშინ, როდესაც ინსტიტუტები იქმნება "ზევიდან ქვევით", არა სოციალური ურთიერთობების კექტორების შესაბამისად, არამედ მათი საწინააღმდეგო მიმართულებით. ამ თვალსაზრისით, სხვაობა სოციალურ რესურსებსა და სოციალურ კაპიტალს შორის წააგავს ერნანდო დე სოტოს მიერ აღწერილ სხვაობას ეკონომიკურ რესურსებსა და ეკონომიკურ კაპიტალს შორის.

ერნანდო დე სოტო თავის წიგნში "კაპიტალის მისტერია" ("The Mystery of Capital") ასაბუთებს, რომ განვითარებადი ქვეყნებიდასავლეთის ქვეყნებისგან განსხვადებიან არა ეკონომიკური რესურსების სიმწირით, არამედ იმით, რომ "დანარჩენი სამყაროს უუნარობა -აწარმოოს კაპიტალი – არის ძირითადი დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის მას, ნახოს სარგებელი კაპიტალიზმისგან"¹⁷ (de Soto, 2000, გვ.5). განვითარებადი ქვეყნების მატერიალური რესურსები კაპიტალად არ გარდაიქმნება და არ მონაწილეობს ახალი სიმდიდრის წარმოების პროცესში. დარიბი ქვეყნები დარიბები არიან არა იმიტომ, რომ დოკუმენტი არა აქვთ, არამედ იმიტომ, რომ არ ხდება ამ დოკუმენტის ჩართვა ეკონომიკურ გაცვლაში.

¹⁷ "...the major stumbling block that keeps the rest of the world from benefiting from capitalism is its inability to produce capital".

დე სოტოს მოსაზრება მატერიალური რესურსების შესახებ შეიძლება განვავრცოთ სოციალური ურთიერთობების სფეროზეც. სოციალური კაპიტალით დარიბ ქვეყნებში, შესაძლოა არსებობდეს საკმაოდ მდიდარი სოციალური ცხოვრება, მაგრამ ამ სოციალურ ცხოვრებას არ გააჩნია პოლიტიკური და ეკონომიკური რეპრეხენტაცია ინსტიტუციურ სივრცეში. მას ვერ მოაქვს დივიდენტები სოციუმისოფელის და ის ვერ საზრდოობს ეკონომიკური და პოლიტიკური წარმატებისგან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის არ არის კაპიტალი.

ამდენად, არსებითია განვასხვაოთ ორი ცნება: რესურსი და კაპიტალი. რესურსი, იქნება ეს ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური, შესაძლოა შეფასდეს მისი ოდენობით, მეტ-ნაკლებობით. თითოეული ინდივიდისთვის რაციონალურად მიმზიდველია მეტი რესურსის ფლობა. საზოგადოება, ისევე როგორც ცალკეული სოციალური ჯგუფი ან ინდივიდი, შესაძლოა, დახასიათდეს როგორც მდიდარი ან დარიბი ამა თუ იმ ტიპის რესურსით. მაგრამ "კაპიტალის" სახელწოდებას უკეთადაირი რესურსი არ იმსახურებს. ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური რესურსები მხოლოდ მაშინ წარმოადგენენ კაპიტალს, თუკი მათ შორის "გაცვლის" პროცესია შესაძლებელი.

ისეთი ვთარება, როდესაც ინსტიტუტები და სოციალური ურთიერთობები ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით მოქმედებს, შეიძლება სხვა თვალსაწიერიდანაც შეფასდეს. შეიძლება საზოგადოებას გააჩნდეს სოციალური კაპიტალი, რომელიც ასუსტებს "ზევიდან ქვევით" დანერგილი ინსტიტუტების უფეხტურობას და ზღუდავს მათ შეღწევას არაფორმალიზებულ სოციალურ ურთიერთობათა სივრცეში.

ზოგიერთი ავტორის დაკვირვებით, მჭიდრო სოციალური ქსელები და შეკრული საზოგადოება არ არის ერთნიშვნელოვნად საზოგადოების წინსვლის საწინდარი. კრიტიკოსების აზრით, შეკრული საზოგადოება შეიძლება ბლოკავდეს სიახლესა და ეწინააღმდეგებოდეს რეფორმებს, რომელიც მისოფელის სასიკეთო იქნებოდა.

ზოგჯერ მკვლევრები სოციალური კაპიტალის სწორედ ნეგატიურ ფორმებზე ამახვილებენ უურადღებას (Warren, 2008, გვ.144). შესაძლოა, შეკრული სოციალური ჯგუფი წარ-

მატებით მოიპოვებდეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ რესურსებს, მაგრამ ეს დანარჩენი საზოგადოების ხარჯზე ხდებოდეს. ამდენად, კავშირი მდიდარ სოციალურ კაპიტალსა და საზოგადოების ცხოვრების სხვა სფეროებს შორის ცალსახა არ არის. "ცუდი სოციალური კაპიტალი" ქმნის მაგალითად, მაფიოზური დაჯაუბებების ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ურთიერთნდობას. მედელინის კარტელის ან კორუფციული პოლიტიკური კლანის ტიპის არაფორმალური ჯგუფები შეკრულია მჭიდრო სოციალური კავშირებით, ოუმცა, მათი ფუნქციონირება მომგებიანია მხოლოდ ამ ჯგუფის წევრებისთვის; ჯგუფის გარეთ მყოფი საზოგადოებისთვის მას ნება-ტიური შედეგები მოაქვს. სხვა სიტყვებით, ამგვარ სოციალურ კაპიტალს (თუკი ამას სოციალურ კაპიტალს ვუწოდებო) გააჩნია უარყოფითი ექსტერნალიები. ზუსტად ისევე, როგორც ეკონომიკური კაპიტალის ინვესტირება შეიძლება კარგი იყოს ინვესტორისთვის, მაგრამ ცუდი - მისი კონკურენტებისთვის, ინვესტირება სოციალურ ურთიერთობებში შესაძლებელია პოზიტიურ შედეგს იძლეოდეს პიროვნებისთვის, მაგრამ არა მთლიანად საზოგადოებისთვის.

ინსტიტუტებთან დაპირისპირებულ სოციალურ კაპიტალს შეიძლება "ნეგატიური სოლიდარობა" ვუწოდოთ, რადგან ის, ხშირად, გარე ბატონობის წინააღმდეგ არის მიმართული. სოციალური ურთიერთობების პატერნი შესაძლოა არადემოკრატიული, არაპუმანური რეჟიმის ათწლეულების ბატონობის შედეგად ჩამოყალიბდეს. ამ შემთხვევაში სოციალურ კაპიტალს, ე.წ. "ნეგატიური მობილიზების" გზით, შეუძლია ინსტიტუტების რევოლუციური ცვლილების გამოწვევაც.

3. არახელსაყრელ ინსტიტუციურ გარემოში სოციალური კაპიტალი შეიძლება არსებობდეს "ქვიშის საათის" ქვედა ნაწილში; ამ შემთხვევაში ის მეტია, ვიდრე სოციალური რესურსი, მაგრამ ვერც სრულყოფილ ფუნქციონირებას ახერხებს.

სოციალური კაპიტალი, ერთი მხრივ, და ფორმალური ინსტიტუტები, მეორე მხრივ, შესაძლოა იმყოფებოდნენ ძალთა ბალანსის მდგომარეობაში და "გავლენის არეალებს" იყოფნენ. მაშინ სოციალური წესრიგი იძენს "ქვიშის საათის" სახეს - ის ხდება ორდონიანი.

მკვლევრები მიუთითებენ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ წლებში პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ამგვარი მოდელის

არსებობაზე. 1995 წელს, რიჩარდ როუზმა რუსეთის საზოგადოების სტრუქტურა მიამსგავსა ქვიშის საათს. ქვიშის საათის როგორც ზედა, ასევე ქვედა სივრცეებში ინტენსიური სოციალური ცხოვრება ჩქეფდა, მაგრამ მათ ერთმანეთისგან ვიწრო ყელი აშორებდა (Rose, 1995). ვერტიკალური დაყოფა ფართო საზოგადოებად და ძალაუფლების ელიტად ჯერ კოდვე საბჭოთა წარსულიდან მომდინარეობს, ხოლო ვიწრო ყელი, რომელიც ამ ორ შრეს ერთმანეთისგან განაცალკევებს, დაპირისპირებასა და უნდობლობაზე მიუთითებს.

ასეთ საზოგადოებებში სოციალური კაპიტალი ქვიშის საათის ვიწრო ყელის ქემოთ არსებობს და საჯარო სივრცისგან თავის გადასარჩენად "ჩრდილში" იმაღლება. ზოგჯერ ამგვარი ვითარება მცდარადა გაიგივებული სოციალური კაპიტალის სისუსტეთან და საზოგადოების ატომიზებასთან.

რობერტ პატნემმა მჭიდროდ დააკაგშირა ერთმანეთან სოციალური კაპიტალისა და სამოქალაქო ერთობის ცნებები: სოციალური კაპიტალი წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების სახეობას, ერთობას, სადაც მოქალაქოთა სოციალური ჩართულობა მიმართულია საზოგადოების პოლიტიკური რესურსების ზრდაზე. სოციალური კაპიტალის ნაკლებობა კი უკავშირდება კლიენტელისტურ, კორუფციისა და ინდივიდუალურ მოგებაზე ორიენტირებული აქტიობის სიჭარებსა და საზოგადოებრივი პროდუქტის შექმნის უუნარობას (Putnam, 1994).

სამოქალაქო ერთობის საპირისპირო მოვლენა ეწ. ამორალური ფემილიზმია (Familism). საზოგადოების ამ ტიპისთვის დამახასიათებელია თავისებური სტრუქტურა, რომელშიც ინდივიდის პასუხისმგებლობის სივრცე დავიწროებულია და ვრცელდება ძირითადად საკუთარ ოჯახზე, ნათესავების და მეგობრების ვიწრო წრეზე. ამგვარი სტრუქტურა მიიჩნევა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ დამაბრკოლებელ ფაქტორად.

ედვარდ ბანფილდი მიიჩნევდა, რომ ამ ტიპის საზოგადოებების ჩამორჩენილობა შეიძლება ნაწილობრივ აისხნას თანასოფლელთა უუნარობით იმოქმედონ ერთობლივად რაიმე საერთო მიზნის მისაღწევად, რომელიც სცილდება კონკრეტული ოჯახის მოქლევადიან, მატერიალურ ინტერე-

სებს (Banfield, 1958). ადამიანები ეჭვით და უნდობლობით უყურებენ ერთმანეთს, მზად არიან საკუთარი ოჯახის ინტერესები დაიცან უფრო ფართო საზოგადოების ხარჯზე და მიაჩნიათ, რომ მეზობლების დაწინაურება და წარმატება შესაძლოა მათთვის წარუმატებლობას ნიშნავდეს. მოქალაქეები თავის თემს აღიქვამენ როგორც ბრძოლის ველს.

სოციალური კაპიტალისა და სამოქალაქო ერთობის ასე მჭიდროდ დაკავშირება ხელს უშლის იმის დანახვას, რომ შესაძლოა საზოგადოებაში სოციალური კაპიტალი არსებობდეს, მაგრამ ქვიშის საათის ზედა დონეზე ვერ აღწევდეს. ამ შემთხვევაში, სუსტი საჯარო მანიფესტაციების გამო, ის როგორც დაკვირვებადი ფენომენია. ამგვარი მიდგომა ვერ იაზრებს იმას, რომ საზოგადოებაში შეიძლება არსებობდეს არასამოქალაქო სოციალური კაპიტალი. ის შესაძლოა წარმატებით კრავდეს თემს და თემის დონეზე კაპიტალის როლს ასრულებდეს, თუმცა ვერ ახერხებდეს თემის გარეთ არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური რესურსების მოზიდვას. აუცილებელია, ეს ვითარება მკაფიოდ განვისხვავოთ საზოგადოების ატომიზებული მდგომარეობისგან, რომელშიც სოციალური კაპიტალი საერთოდ არ არსებობს.

გარდა ამისა, სოციალური კაპიტალი შესაძლოა ადმონდეს ქვიშის საათის ქვედა ნაწილში არა იმიტომ, რომ ის ფორმალურ ინსტიტუტებს უპირისპირდება, არამედ იმიტომ, რომ, კომუნიკაციისა და რესურსების სიმწირის გამო, ვერ ახერხებს ფართო საზოგადოების დონეზე მოღვაწეობას. ანუ მჭიდრო სოციალური ურთიერთობები შესაძლოა წარმოადგენდეს "კაპიტალს" მხოლოდ იმ საზღვრებში, რომლებსაც მოცემული სოციუმი "წვდება"; ის შეიძლება არ იყოს კონვერტირებადი იმ ეკონომიკურ და პოლიტიკურ რესურსებში, რომლებიც უფრო ფართო საზოგადოების კონტროლის ქვეშ იმყოფება.

ამგვარი დაკვირვებები უჩვენებს, რომ სოციალური კაპიტალის ცნების გააზრებისას კიდევ ერთი მახასიათებელი უნდა მივიღოთ მხედველობაში. განსხვავებით ეკონომიკური კაპიტალისგან, რომელსაც თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში შეუძლია თითქმის დაუბრკოლებლად ერთი ადგილიდან მეორეში გადადინება, სოციალური კაპიტალი მიბმულია იმ ადამიანების ერთობასთან, რომელიც ერთმანეთთან

სტრუქტურულ კომუნიკაციაში იმყოფება. ამდენად, არსებითია საზოგადოების რომელიმე ნაწილის (მაგალითად სოფლის) განხილვისას, სოციალური კაპიტალი მოვიაზროვან ამ ერთობის კომუნიკაციის საზღვრებში და არ გავაიგივოთ მთლიანი საზოგადოების სოციალურ კაპიტალთან. შესაბამისად, უნდა განვასხვაოთ ის პოლიტიკური და ეკონომიკური რესურსები, რომლებზედაც სოფლის სოციალურ კაპიტალს შესაძლოა ჰქონდეს გავლენა, და ის რესურსები, რომლებიც სოფლის გავლენის მიღმა არსებობს. ასე მაგალითად, ქვეყნის პარლამენტი ან საბაზრო ფასები ის რესურსებია, რომლებზედაც ცალკე აღებულ სოფელს მნიშვნელოვანი გავლენა არა აქვს. სოციალური კაპიტალის ამ მახასიათებელს აქვს მნიშვნელობა ორდონიანი მოდელის გაგებისთვის.

2.2. სოციალური პაკიტალის თეორიული მოდელი

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ კარგად მოწყობილი საზოგადოების ვითარებაში სოციალური კაპიტალი არის არა საზოგადოების ინსტიტუციური წესრიგის ნაწილი, არამედ ამ წესრიგის გაძლიერებისა და "გამთლიანების" საშუალება. ცუდად მოწყობილ სისტემაში კი ფორმალური ინსტიტუტები და სოციალური კაპიტალი შესაძლოა ერთმანეთის საპირისპირო მოქმედებდნენ.

სოციალური კაპიტალი არა მარტო აადგილებს ამა თუ იმ რესურსის ფორმირებასა და მოპოვებას, არამედ ხელს უწყობს სხვადასხვა ტიპის რესურსების არაიერარქიულ, არაძალისმიერ თანაარსებობას.

სოციალური კაპიტალი შესაძლოა ფუნქცინირებდეს "ვიწრო ელიტის" მიღმა ისეთნაირად, რომ საზოგადოება ტოვებდეს სოციალური კაპიტალით დარიბი საზოგადოების შთაბეჭდილებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქართულ სოფლებში არსებული სოციალური კაპიტალის პლევა მოითხოვს სოციალური ურთიერთობების მთელი კომპლექსის ანალიზს. ურთიერთობათა ამ რთული და მრავალფაქტორული სისტემის ანალიზისთვის შემუშავდა მოდელი, რომლის ერთეულები შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ვებერისეული იდეა-

ლური ტიპები. ეს ერთეულებია: ა. რესურსების, ბ. კომპერი-
რების მოდელების და გ. განწყობების იდეალური ტიპები.

ა. რესურსები

რესურსების ტიპოლოგიზაციისას ჩვენ ვიხელმძღვანე-
ლეთ ელინორ ოსტრომის მიდგომით. ელინორ ოსტრომი აღ-
ნიშნავს, რომ თემის ეკონომიკური ინსტიტუტების სრულყო-
ფილი მოწყობა მოიცავს სამი ტიპის საკუთრების რთულ ნა-
ზავს: კერძო, სახელმწიფო და საერთო (Ostrom, 2007). საკუთ-
რების ფორმები აქ ფართო გაგებით არის გაგებული: ასე,
მაგალითად, ის მიწა, რომელსაც სოფელი ერთობლივად გა-
ნაგებს, შესაძლოა იყოს სახელმწიფო საკუთრებაში, მაგრამ
მისი განკარგვა სოფლის პრეროგატივა იყოს. საერთო გა-
დაწყვეტილების მიდგაბა, ამ შემთხვევაში, სათემო საკუთრე-
ბითი ურთიერთობის ტიპს წარმოადგენს.

ამ მიდგომაზე დაყრდნობით მოდელი განასხვავებს
საკუთრების ფორმების სამ იდეალურ ტიპს: კერძო, ჯგუფუ-
რი და საერთო საკუთრება.

კერძო ტიპის რესურსები არის ისეთი რესურსები,
რომლებიც მოიცავს კერძო საკუთრებას, ინდივიდუალურ
მოგებას, იმ სოციალურ თუ პოლიტიკურ გავლენასა თუ ძა-
ლაუფლებას, რომელსაც ცალკეული ინდივიდი ფლობს. კერ-
ძო რესურსის ყველაზე მარტივი ფორმაა კერძო საკუთრება.

ჯგუფური რესურსი არის რომელიმე შემოფარ-
გლული ჯგუფის საერთო საკუთრება, მოგება ან ძალაუფ-
ლება. ამ რესურსით ექსალუზიურად სარგებლობა მხო-
ლოდ მოცემული ჯგუფის წევრებს შეუძლიათ. ამ ტიპის
რესურსზე ხელი არ მიუწვდებათ იმათ, ვინც ამ ჯგუფში არ
შედის. ჯგუფური რესურსი ამოწურვადია - რაც უფრო მეტი
ერგება მოცემულ ჯგუფს, მით უფრო ნაკლები - სხვებს; ამ-
დენად ამგვარ ჯგუფს შეიძლება ექსალუზიური ეწოდოს,
მანკურ ოლსონის ტერმინოლოგიით (Olson, 1971). ჯგუფუ-
რი რესურსის მაგალითია საგაჭრო ადგილი, სადაც სოფლე-
ლები ჩურჩხელებს ან მაწონს ყიდიან. მოცემულ ადგილზე
მყიდველების ფიქსირებული რაოდენობის გამო, რაც უფრო
მეტს გაყიდის ერთი, მით უფრო ნაკლები ერგება ყველა და-
ნარჩენს.

საერთო რესურსები ისეთი რესურსებია, რომლებიც თანაბრად ხელმისაწვდომია ყველასთვის (public good). საერთო რესურსი, ჯგუფურისგან განსხვავებით, ამოწურვადი არ არის -ის ან ყველასთვის არსებობს, ან არავისთვის არ არსებობს. საერთო რესურსის მაგალითია ეკლესია, ან გზა, რომელიც სოფელში მიდის.

ბ. კოოპერირების მოდელები

რესურსების სამი ტიპის შესაბამისად, ჩვენ განვახსვავებთ კოოპერირების სამ მოდელს: ქსელური, ჯგუფური, საერთო.

ქსელური ურთიერთობები. ქსელური გაცვლითი ტიპის ურთიერთობები მოწოდებულია დაამყაროს კავშირები კერძო ინტერესების მქონე ინდივიდებს შორის და მოქმედი კერძო ინტერესების დაკამაყოფილებას. ეს ურთიერთობები წყვილ-წყვილად დალაგებული ურთიერთობების ჯამია, რომელიც სოციალურ - ქსელური ხასიათისაა.

ჯგუფური ურთიერთობები. ჯგუფური ინტერესების მქონე ინდივიდები, რომლებიც ჯგუფური რესურსის შექმნაზე და მისგან სარგებლის მიღებაზე არიან ორიენტირებულინი, საჭიროებენ ერთობლივ შეთანხმებას რესურსების აკუმულირებისა და შემდგომი სარგებლის, გადანაწილების წესების თაობაზე. მათ მოუწევთ საერთო შეთანხმების მიღწევა, და გარკვეული კრიტერიუმების გამოყენება იმის-თვის, რომ ჯგუფის წევრებს შორის კოფლიქტები არ მოხდეს, და ძალაუფლების მინიჭება დაიდერისთვის, რომელიც ჯგუფურ საკუთრებას განაგებს.

საერთო სიკეთის შექმნაზე ან შენარჩუნებაზე მიმართული ინდივიდები ასევე საჭიროებენ ერთობლივ შეთანხმებას იმ ინდივიდუალური რესურსების აგრეგირების თაობაზე, რომლებიც საერთო სიკეთის შექმნას მოხმარდება. განსხვავებით ზევით აღწერილი ჯგუფური ქცევისგან, ამ შემთხვევაში გადანაწილების პროცესში არ დგას. ამდენად, მოცემული ქცევა რაციონალურად ინკლუზიურია, მიმართულია ფართო გაერთიანების შექმნაზე. ფართო გაერთიანების სათავეში შესაძლოა გავლენიანი დაიდერი აღმოჩნდეს.

გ. განწყობები

რესურსის თითოეულ ტიპს შეესაბამება სპეციფიკური განწყობა, რომელიც ნდობის კატეგორიას მიეკუთვნება. სამივე შემთხვევაში თანამშრომლობის ინტენსიობა დამოკიდებულია თანამშრომლობაში მონაწილე ინდივიდებს შორის ნდობის არსებობაზე, მაგრამ სამივე შემთხვევაში ეს ნდობა განსხვავებული ხასიათის იქნება.

აქვე უნდა ითქვას, რომ სოციალური კაპიტალის ოფორტუნების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენდა მიგნება, რომ ნდობა შეიძლება იყოს სხვადასხვანაირი. სელიგმანის მიხედვით, ნდობის განსხვავებული ტიპები განსხვავებულ სოციალურ ტრადიციებს უკავშირდება (Seligman, 1997). გარდა ამისა, ნდობა სიტუაციურია - ინდივიდები შესაძლოა კარგად კოოპერირებდნენ ერთ ვითარებაში, მაგრამ იჩენდნენ ერთმანეთის მიმართ უნდობლობას მეორე ვითარებაში (Hardin, 2004).

იმის გამო, რომ ნდობის სახეობებთან მიმართებაში ლიტერატურაში გამოიყენება სხვადასხვანაირი ტერმინოლოგია (ინტერპერსონალური ნდობა, განპირობებული ნდობა, სისტემური ნდობა და ა.შ.), აუცილებელია იმ განსაზღვრებების შემოტანა, რომლებიც მოცემულ მოდელში იქნება გამოყენებული.

მოცემული მოდელი ნდობის ტიპებს სიტუაციურ ვითარებებთან აკავშირებს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რესურსის კონკრეტული ტიპის ადექვატურია კოოპერირების გარეკანული ტიპი. თავის მხრივ, კოოპერირების კონკრეტული ტიპი უნდა დაუყრდნოს მისთვის ადექვატურ განწყობას, რომელიც მოცემულ ვითარებაში ყველაზე არსებითად განაპირობებს ინდივიდების ქცევას.

ნდობა (იმის რწმენა, რომ ადამიანთა უმრავლესობა ერთგულია სხვების წინაშე აღებული ვალდებულებებისა) აადვილებს ინტერპერსონალურ ურთიერთობებს, რომლებიც მიმართულია კერძო ინტერესების დაკმაყოფილებაზე;


სოლიდარობა (იმის რწმენა, რომ ადამიანთა შორის თანამშრომლობა არ არის ნულოვან-ჯამოვანი) საჭიროა საერთო სიკეთების წარმოქმნის პროცესში;

ლოიალობა (იმის რწმენა, რომ ადამიანთა უმრავლესობა ჩემნაირია, და ამის გამო, ჩვენ შეთანხმებას მივაღ-

წევთ, ერთმანეთს გავუგებო) ქმნის ჯგუფური ინტერესების დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

შესაბამისად, ჩვენ გამოყოფთ ურთიერთობების სამ მოდელს, რომელთაგან თითოეული შედგება სამი ელემენტისგან: რესურსი, კოოპერირების ტიპი და განწყობა:

ნახატი 1.



თითოეულ სევერში მოყვანილი სამეული გამართული ფუნქციონირებისთვის საჭიროებს თავის შემადგენელ სამიზნე ელემენტებს. ეს ელემენტები შესაძლოა იქმნებოდეს სანქციების ძალით (მაგალითად, პირველ სევერში პოლიცია და სასამართლო უზრუნველყოფს კერძო საკუთრების დაცულობას და კონტრაქტების აღსრულებას, ამდენად გარემო საფსებით სანდოა ეკონომიკური ქსელური გაცვლისთვის). ამ შემთხვევაში ნდობა კერძო საკუთრების ძლიერი ინსტიტუტის არსებობის შედეგია. ან პირიქით, სანქციები შესაძლოა იყოს მინიმალური, ხოლო ურთიერთობებში ჩართული ინდივიდების სანდოობა - მაღალი. ამ შემთხვევაში ძლიერია სოციალური კაპიტალი, ხოლო კერძო საკუთრების ინსტიტუტის დაცულობა არის მისი სიძლიერის შედეგი, და არა მიზეზი.

სოციალური კაპიტალი, როგორც ითქვა, ემსახურება არა მხოლოდ ცალკეული ინსტიტუტების არაიძულებით ფუნქციონირებასა და შესაბამისი რესურსების ფორმირებას, არამედ ამ ინსტიტუტებს შორის კავშირების დამყარებასა

და მათ შორის რესურსების გადადინებას. სოციალური კაპიტალი შეკრავს ამ სამ სვეტში მოყვანილ ურთიერთობებსა და რესურსებს ერთიან სოციალურ წესრიგში იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა მისი ელემენტების **ციკლურობა**.

ციკლურობა ნიშნავს იმას, რომ ნდობა, სოლიდარობა და ლიიალობა არა მხოლოდ ხელს უწყობს გარევაული რესურსების მდგრადობას, არამედ ქმნის (ან ემყარებიან) წარმოდგენებს ორი დანარჩენი რესურსის თავსებადობის ხასიათზე.

ნდობა (იმის რწმენა, რომ ადამიანთა უმრავლესობა ერთგულია სხვების წინაშე ვალდებულებებისა), გამოვლენილი ქსელური ურთიერთობების პროცესში, მეტყველებს იმაზე, რომ საერთო ხორმები (რომლებიც ყველასთვის სავალდებულოა), თავსებადია ჯგუფურ ინტერესებთან (საზოგადოებრივი აზრი, ჯგუფური მიქუთვნებულობა). საზოგადოებაში არ არსებობს დიდი ჯგუფები, რომლებიც მის წესრიგს საფრთხეს უქმნის. ანუ ინდივიდის უფლებები გამჟარებულია უმრავლესობის მიერ არსებული წესების აღიარების ძალით. დაბალი ნდობის პირობებში ინდივიდუალური საკუთარი ინტერესების დაცულობის გარანტი შესაძლოა უფრო მეტად იყოს ჯგუფისადმი კუთვნილება, "მაფიის" მსგავსი გაერთიანებების შექმნა.

სოლიდარობა (იმის რწმენა, რომ ადამიანთა შორის თანამშრომლობა არ არის ნულოვან - ჯამოვანი) გამოვლენილი ჯგუფურ ქცევაში, მეტყველებს იმაზე, რომ კერძო ინტერესების აგრეგირება და მათი ინდივიდუალური დაქმაყოფილება თავსებადია. კოპერირება (ჯგუფების შექმნა) საერთო სიკეთის მოსაპოვებლად არა მხოლოდ უმრავლესობის, არამედ თითოეული ადამიანის ინტერესებშია. რაც უფრო მეტია სოლიდარობა, მით უფრო მეტი ინდივიდუალური ინტერესი კმაყოფილდება საერთო სიკეთის შექმნის მეშვეობით, და, შესაბამისად, მეტი კერძო რესურსი მიემართება მის წარმოებაზე.

ლიიალობა (რწმენა იმის შესახებ, რომ ადამიანთა უმრავლესობა ჩემნაირია, და ამდენად ჩვენ შეთანხმების მიღწევას მოვახერხებთ, ერთმანეთს გავუგებთ) ასევე ჯგუფურ ქცევაში ვლინდება, და ხასიათდება სიფართოვების წროვით. ფართო ლიიალობა, ფაქტობრივად, ნიშნავს საზოგადოების ერთგვაროვნებას, კერძო და საერთო ინტერესებისა

და დირექტულებების თანხვედრას, დაბალ სტრუქტურაციას და ადამიანების უნარს შექმნან ჯგუფები წებისმიერ ინდივიდებთან. ვიწრო ლოიალობის პირობებში გამოიკვეთება პოლარიზების მეტი ტენდენცია და კერძო ინტერესების მეტი დისტანცია საერთო სიკეთესთან მიმართებაში.

ამდენად, ჩვენ ეხედავთ გარემოულ "ციკლურ" კავშირს სოციალური კაპიტალის შემადგენელ ელემენტებს შორის: რესურსების ნებისმიერი წყვილის გაცვლის "საფასური" მესამე ტიპის რესურსის შესაბამისი განწყობებით განისაზღვრება.

ნახატი 2.



სოლიდარობა

მოცემული მოღელის მიხედვით, სოციალური კაპიტალი წარმოადგენს საზოგადოების უნარს, დამყაროს ციკლური კავშირი კერძო, კოლექტიურ (ჯგუფურ) და საერთო რესურსებს შორის იმდაგვარად, რომ ისინი "რეზონირებდნენ" ერთმანეთთან. ამ გზით სოციალური კაპიტალი ხელს უწეობს სტრუქტურულად დიფერენცირებული საზოგადოების შიგნით სხვადასხვა ტიპის რესურსების გადაღინებას, გაცვლასა და გადანაწილებას - პროცესს, რომელიც შესაძლებელს ხდის მათ თანაარსებობას არაძალადობრივად ინტეგრირებული საზოგადოების ფარგლებში.

სოციალური კაპიტალის პატერნი, რომელიც სპეციფიკურია მოცემული საზოგადოებისთვის ან მისი ნაწილის-თვის, განაპირობებს ინდივიდის მოტივაციას იმოქმედოს

სხვა პიროვნების, გარკვეული ჯგუფისა თუ მთლიანად საზოგადოების ინტერესებში იმის გარეშე, რომ ეს ქმედება კონფლიქტში მოდიოდეს მისი პირადი ინტერესებისა თუ ღირებულებების მიღწევასთან.

ამ მოდელის გამოყენება აადვილებს სოფლის სოციალური კაპიტალის ემპირიულ გამოვლენას სხვადასხვა ტიპის ჯგუფურ ქცევებში, რომლებიც კერძო, ჯგუფური და საერთო ინტერესების განხორციელებას ემსახურება. შემდეგი სამი მაგალითი კარგ წარმოდგენას იძლევა ამგვარი თანამშრომლობის არსებულ ფორმებზე.

1. ნადი

"დღეს მე მოგეხმარები მოსავლის აღებაში, ხვალ შენ" - ეს პრინციპი სოფლად ბევრ პრაქტიკას განაპირობებს. ერთმანეთის მიხმარება რიგითობით, ლატარეის თამაში, ფულის შეგროვება ჭირისუფლისთვის, ქორწილისთვის და ა.შ. მნიშვნელოვნად განაპირობებს მოსახლეობის რისკების დაზღვევას. ამ შემთხვევაში ინდივიდუალურ ქცევას ამყარებს რწმენა იმის თაობაზე, რომ რამდენსაც გავცემ, იმდენივეს მივიღებ. ინდივიდუალური რესურსები, რომლებიც იდება ამ ურთიერთობებში, ძირითადად სოფლის ჩარჩოებში ტრიალებს.

2. ეკლესიის მშენებლობა

სოფელში არ იყო ეკლესია. ეკლესიის მშენებლობაში მოსახლეობამ ჩადო ფული და უფასოდაც იმუშავა. ვისაც მეტი შესაძლებლობა პქონდა, მეტი ფული დადო (მათ შორის მიგრანტებმა, რომლებიც სოფელს მხოლოდ დროდადრო უბრუნდებიან), სხვებმა მხოლოდ სიმბოლური თანხები შესწირეს, სამაგიეროდ უფასოდ მუშაობდნენ მშენებლობაზე. ინდივიდუალური რესურსების აგრეგირებით შეიქმნა საზოგადოებრივი სიკეთე - ეკლესია, რომლითაც ყველას შეუძლია ისარგებლოს. ინდივიდუალური რესურსების აგრეგირებით საერთო სიკეთის შექმნა განაპირობა პროპორციულობის პრინციპი: ვისაც რამდენი შეუძლია იმდენს გაიღებს.

3. მიწის ერთობლივი დამუშავება

რამდენიმე გლეხი გაერთიანდა და ერთობლივად მოიყანა მოსავალი ბაზარზე გასაყიდად. ამ წამოწყებაში მათ ჩადეს ინდივიდუალური რესურსები (მიწა, ტრაქტორი, ფული) და ერთად იშრომეს. მიღებული მოსავალი გადაინაწილეს. ამ პრაქტიკის მდგრადობა დამოკიდებულია სამართლიანობის პრინციპის დაცვაზე: ეველამ უნდა მიიღოს იმდენი, რამდენი წვლილიც შეიგანა; არავინ უნდა ცდილობდეს გადაწყვეტილებების მიღების უზურპირებას. ეს პრინციპი არის საერთო, უნივერსალური, და ნორმატიული, ანუ საერთო ფასეულობის ხასიათს ატარებს.

ეველა განხილულ შემთხვევაში თანამშრომლობის წარმატებულობა დამოკიდებულია სამი ტიპის ფაქტორზე: რაციონალური გათვლა (ეკლესიის აშენებისთვის საკმარისი რესურსი არსებობს; კოოპერატივი მოგებას ნახავს; ნადის გარეშე მომავალში გამიჭირდება); რესურსებს შორის გაზიარებული მიმართების არსებობა (უმრავლესობა ეცდება კონტრიბუციას; კოოპერატივის სხვა წევრებიც სამართლიან გადანაწილებას ემხრობიან; ნადი დამიბრუნდება); სოციალური კაპიტალის არსებობა. როდესაც ეს სამი კომპონენტი ერთმანეთთან რეზონირებს, კოოპერატივება ხდება. თუკი რომელიმე კომპონენტი აკლდება, თანამშრომლობა ვერ შედგება. ამდენად, წარმატებული კოოპერატივება დამოკიდებულია სამ კომპონენტზე: სოციალური კაპიტალი, ეკონომიკური კაპიტალი და "პოლიტიკური" უფლებები, რომლებიც თამაშის წესების გან მომდინარეობს.

2.3. მმპირიშლი პვლევა

ემპირიულად მოდელის გამოყენება გულისხმობს დაკვირვებას შემდეგ რეალობაზე: კერძო, ჯგუფური და საერთო საკუთრების (რესურსების) არსებობა, მათი ინსტიტუციონალიზაცია, გაცვლა და თავსებადობა.

მოცემული კვლევა დაიგეგმა და განხორციელდა, როგორც თვისებრივი და რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მონაცემების და ინსტიტუციური ანალიზის კომბინაცია.

კვლევის პირველ ეტაპზე (თვისებრივი კვლევა) ჩატარდა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ადგილობრივ აღმასრულებელ პირებთან; საერთაშორისო ორგანიზაციები შეირჩა ისე, რომ პროექტს მოეცვა მათი მუშაობის შემდეგი მიმართულებები: სათემო ორგანიზაციების, პროდუქციის მწარმოებელთა ასოციაციებისა და პროდუქციის მწარმოებელთა კოოპერატივების ინიციორება და მხარდაჭერა.

სხვადასხვა რეგიონის სოფლებში კვლევითმა ჯგუფმა ჩატარდა ფოკუს-ჯგუფები სოფლების მოსახლეობასთან და ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები სოფლის მცხოვრებლებთან და ოფიციალურ პირებთან (რწმუნებულებთან). ჩატარდა ფოკუს-ჯგუფები, აგრეთვე, იმ ჯგუფებთან, რომლებსაც ჰქონდათ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილება.

თვისებრივი კვლევის შედეგად შეირჩა სოფლები, რომლებშიც უნდა განხორციელებულიყო რაოდენობრივი კვლევა. კვლევისთვის შეირჩა 20 სოფელი, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებოდა იმ პარამეტრებით, რომლებიც (თვისებრივი კვლევის შედეგების მიხედვით) გავლენას ახდენს სოფლის სოციალური ურთიერთობების სტრუქტურაზე. ეს პარამეტრებია: საქართველოს რეგიონი, სოფლის ეთნიკური შემადგენლობა, დასახლების ტიპი (გზასთან ახლოს მდგრად, დიდი დაბის ტიპის სოფლები, და გზისგან მოშორებით მდებარე უფრო მცირე ზომის სოფლები), სოფლები, რომლებსაც ჰქონდათ ან არ ჰქონდათ საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილება. თითოეულ სოფელში შეირჩა 30 რესპონდენტი. სოფლების შეგნით რესპონდენტები შეირჩა კვოტური წესით ისე, რომ წარმოდგენილი ყოფილიყო სოფლის ასაკობრივი და სოციალური სტრუქტურა. ამგვარად, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შერჩევის მთლიან დიზაინში მკაცრად არა დაცული შემთხვევითობის პრინციპი. კვლევის მიზანია უფრო მეტად სხვადასხვა ფაქტორს შორის მიმართების დადგენა და არა საქართველოს მასშტაბით რეპრეზენტატული მონაცემების წარმოება.

რაოდენობრივი კვლევის დასრულების შემდეგ ჩატარდა რამდენიმე ფოკუს-ჯგუფი კვლევის მონაცემების დამატებითი ინტერპრეტაციის მიზნით.

თავი 3. სოფლის რესურსები და თანამშრომლობის ზორმები

მოცემული თავი მიმოიხილავს სოფლის რესურსებსა და არაფორმალური თანამშრომლობის იმ ფორმებს, რომლებიც არსებობს სოფლად. წინა თავში აღწერილი მოდელის შესაბამისად, განხილვა დაყოფილია სამ ნაწილად, რესურსების ტიპის მიხედვით: კერძო, ჯგუფური და საერთო. კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, პირველ რიგში დასახასიათებელია სოფლის ეკონომიკური ცხოვრება, ეკონომიკური თანამშრომლობის ფორმები და ნორმები, სოფლის მიწები და სხვა რესურსები, რომლებსაც მოსახლეობის კეთილდღეობა უკავშირდნობა.

3.1. პერძო რესურსები, ქსელური ურთიერთობები, გაცემა

სოფლის ეკონომიკის ყველაზე მცირე ერთეულია შინამეურნეობა. ტიპიური შინამეურნეობა ძალიან წერილია და დარიბი, ხოლო მისი საკუთრება მისი შემთხვევლების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ამ საკუთრებაში ინსტიტუციურად ყველაზე კარგად დამკვიდრებულია სახლი და საკარმიდამო ნაკვეთი. მიწა, რომელიც შინამეურნეობას პრივატიზების შედეგად ერგო, ხშირ შემთხვევაში სახლისგან შორს მდებარეობს და დაუმუშავებელი რჩება. მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების უფლება სრულად არის ფორმალიზებული, ეს მიწა ბანკებისთვის საგარანტიო კაპიტალიდ თითქმის არ აღიქმება დაბალი ლიკვიდურობის გამო. თუმცა, არსებობს მიწის ნაკვეთების გაყიდვის ან მეზობლებზე მიქორავების პრაქტიკა.

მიწაზე კერძო საკუთრების დამკვიდრებაში ძირითადი როლი ითამაშა მიწის მფლობელობის იმ არაფორმალურმა პრაქტიკამ, რომელიც საბჭოთა კავშირის ბოლო წლებისთვის მყარად დამკვიდრდა. ისტორიული მეხსიერება, რომელიც მიწაზე საკუთრების კოლექტივიზაციამდელ მდგომარეობას ასახავს, დიდ როლს არ თამაშობდა. ამ ტიპის მეხსიერება, ძირითადად, მთის სოფლებშია შემორჩენილი. მამაკაპისეული დანატოვარი სათიბი, საძოვარი, სახნავ-სათვა მიწები იქ დღემდე ბევრს ახსოვს და ეს ფაქტორი მიწით

სარგებლობის არაფორმალურ წესებს განაპირობებს. ასე მაგალითად, სვანეთის ზოგიერთ სოფელში ტრადიციულ მეხსიერებას დღემდე ეყრდნობა ტყით სარგებლობა: თითოეულმა გვარმა იცის, რომელი ტყის ფარგლებში შეუძლია შეშის მომარაგება.

მიწაზე საკუთრების უფლება, რომელიც პრივატიზაბის პირველი ტალღის შედეგად წარმოიქმნა, საკმაოდ მყარია იმ გაგებით, რომ ნაკვეთების სახელმძღვანელოან დაკავშირებული დავები თითქმის აღარ არის. სამაგიეროდ, ძლიერია განსხვავება ფორმალურ და არაფორმალურ წესებს შორის მიწით სარგებლობასა და მის გასხვისებასთან მიმართებაში. იმ დროს, როდესაც ფორმალური კანონმდებლობა მიწის მფლობელებს არანაირ ვალდებულებებსა და შეზღუდვებს არ უწესებს, ადგილებზე არსებობს არაფორმალური ნორმები, რომლებიც გარკვეულ ვალდებულებებს გულისხმობს.

ასე, 20 სოფელში გამოკითხულ რესპონდენტთა 57.2% აფიქსირებს, რომ მათ სოფელში მოქმედებს “დაუწერელი წესი”, რომლის მიხედვით, თუ ვინმე მიწას ან სახლს პყიდის, მან პირველ რიგში მეზობლებს უნდა შესთავაზოს მისი შეძენა.¹⁸

რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ სოფელში არსებობს მეზობლებს შორის ქონებრივ უთანხმოებებთან და დაგებობან დაკავშირებული წესჩვეულებები: ნასესხები ფულის დაბრუნებაზე დავა, საქონლის მიერ დაზიანებული ნარგავების ზარალის ანაზღაურება, პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ მოუვლელი მიწა ზარალს აყენებს მეზობლებს, ნახირში ძროხის დაგარგვის შემთხვევები და ა.შ. თუმცა, ამგვარი სიტუაციების დაუწერელი წესებით მართვაზე გამოკითხულთა მხოლოდ ერთი მეხუთედი მიუთითებს. როგორც ჩანს, ქონებრივი დავების მარეგულირებელი არაფორმალური წესები სუსტია. მართალია, არაფორმალური პრაქტიკა

¹⁸ აქ და შემდგომ პროცენტები მაჩვენებლები ასახავენ მდგომარეობას იმ 20-სოფლიან შერჩევაში, სადაც ზატარდა გამოკითხვა. ვინაიდან ეს შერჩევა სოფლების რეპრეზენტატულ ჭრილს არ წარმოადგენს, ამ თავში მოცემული რაოდენობრივი მაჩვენებლები უნდა იყოს გაგებული როგორც ტენდენციის დახასიათება, და არა როგორც საქართველოს მთელი მასივის აღწერა.

არსებობს,¹⁹ მაგრამ ფორმალური წესრიგი მათ მოგვარებაში უფრო მეტ როლს თამაშობს. თანასოფლელის ქონების ქურდობასთან მიმართებაში ყველაზე სწორ ქცევად გამოკითხულთა 52.3% სამართალდამცავი ორგანოებისადმი მიმართვას მიიჩნევს; 28.7% - ჰიპოთეტურ ქურდს პირადად მოსთხოვდა დაზარალებულისთვის ზარალის ანაზღაურებას. ე.წ. “ავტორიტეტებისადმი” მიმართვას გამოკითხულთა მხოლოდ 5% მიიჩნევს გამართლებულად.

სოფელში გაცილებით უფრო როგორია მიმართება იმ ხაյუთებისთან, რომელიც პირვანდებით პრივატიზების პროცესში არ მოხვდა. ეს არის მიწის დიდი მასივები, ტყე, მდინარე და სხვა ბუნებრივი რესურსები, რომლებიც სოფელებითა მიერ "დია მოხმარების" (open access) რესურსებად აღიძება. სოფელი ხშირად თავისად მიიჩნევს იმ მიწებს, რომლებიც მას ფორმალურად არ გაუთვის, და მტრულად ეკიდება ინვესტორებს, რომლებიც ამ მიწის შეძნას ცდილობებს.

საბაზრო ტიპის ურთიერთობები თანასოფლელებს შორის საკმაოდ შეზღუდულია. თანასოფლელები ერიდებიან ერთმანეთის ხარჯზე "ფულის კეთებას" (მაგ. ვეტერინარი უფასო კონსულტაციებს ატარებს), თუმცა თავისუფლად ერთვებიან ამგვარ ურთიერთობებში სოფლის გარეთ. საკარმიდამო მიწა და ძროხა (ძროხები) ძირითადად უზრუნველყოფს შინამეურნეობას სამომზმარებლო საკვები პროდუქტებით. პროდუქტის ნაწილი იყიდება სოფლის გარეთ, ბაზარზე, გადამყიდველებზე, იცვლება ბარტერით ან ბარება შემსყიდველ პუნქტებში. ეს ნაწილი არის ან ნამატი, ან მოხმარებას მოკლებული, ან სპეციალურად მოყვანილი გასაღებისთვის.

სამაგისტროდ, სოფლის მცხოვრებლები ერთმანეთთან თანამშრმოლობენ მოსავლის მოყვანის პროცესში. ამგვარი

¹⁹ “ჩვენ მორწმუნები ვართ, შეიძლება სასამართლოშიც არ წავიდეთ და ამ სამსჯავროს წინაშე ვდგებით. ე.წ. სამსჯავროს რიტუალი ასეთია: როდესაც დანაშაულს სხადის ადამიანი, შეიძლება დაზარალებული არ წავიდეს პოლიციაში, დაუძაებს ორ ადამიანს, რომლებსაც ჭევა ეკითხება. ეს გარჩევა ხდება ეკლესიის წინ. ეს არის გარჩევა მედიატორული წესით, ხდება დაფიცება ეკლესიის წინ” (სვანური სოფლის მკიდრი).

თანამშრომლობა საგმაოდ გავრცელებულ და დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს.

კოლექტიური შრომის პრაქტიკა, ე.წ. ნადი, საქართველოს ყველა მხარეში გვხვდება. ასე მაგალითად, კახეთში მეზობლები რიგ-რიგობით ერთად ამჟავებენ ერთმანეთის ნაკვეთებს. რესპონდენტთა მონათხოვბით, ამგარი პრაქტიკა შრომას უფრო სახალისოს ხდის. ამის გამო, შრომის ნაყოფიერება იზრდება, რაც დროის უფრო ოპტიმალურად გამოყენების მექანიზმია ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების პერიოდში.

ამ ტიპის თანამშრომლობა სითანაბრის (ექვივალენტურობის) პრინციპს უფრო ნება. ფიზიკური შრომა, რომელიც მეზობელმა ჩემს ნაკვეთზე გასწია, მას უნდა დავუბრუნო, როდესაც მას დასჭირდება.

ნადის ტიპის თანამშრომლობასთან დაკავშირებული ვალდებულებები ძალზე სერიოზულად აღიქმება მონაწილეთა მიერ. თუ რომელიმე მონაწილე ვერ ასრულებს თავის ვალდებულებას, ის იხდის ფულს მუშა ხელისთვის, რომელიც მას ჩანაცვლებს.

ნადის ტიპის თანამშრომლობა ქსელურია; ამგვარი ქსელური ურთიერთობები მნიშვნელოვანია ინდივიდების რისკების დაზღვევის თვალსაზრისით. თანამშრომლობის ამ ფორმებიდან ზოგიერთი ტრადიციულია და დიდი ხნის დამკიდრებული, ზოგიერთი კი - შედარებით ახალი.

სოფლებში მკვეთრად არის გამოხატული გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანების მიმართ თანადგომის გამოხატვასთან დაკავშირებული “დაუწერელი წესები”. გამოკითხულთა 76.5% მიუთიებს, რომ გარდაცვლილი ადამიანების ოჯახების დახმარება – “სამძიმარში ფულის მიზანა” დაუწერელი წესია, რომელსაც თითქმის არავინ არღვევს; ყოველი მეორე რესპონდენტი მიიჩნევს, რომ გაჭირვებაში ჩავარდნილი თანასოფლელებისთვის ფულის შეგროვება სოფლის დაუწერელი წესია, რომელსაც თითქმის ყველა ასრულებს.

სამძიმარში ფულის მიზანის წესი იმდენად ძლიერია, რომ სიდარიბის უკიდურესი ფორმის გამოსახატად რამდენჯერმე შეგვხვდა გამოთქმა: “ისეთი გაჭირვებული იყო, რომ სამძიმარში მისატანი ფული არ პქონდა”. ასეთ შემთხვევებში არის შემთხვევები, როდესაც ადამიანი საერთოდ არ მიდის სამძიმრის გამოსახატად.

სამძიმარში ფულის მიტანა ერთმანეთის მიმართ ფინანსური ვალდებულების (კრედიტის) მსგავსი პროცესია, რომლის დაღვევაც სირცხვილად ითვლება. სოფლებში ამას უწოდებენ “ფულის წერას”.

მოულოდნელი ავადმყოფობისთვის ან უბედური შემთხვევის ფულის შეგროვება მეზობლებში ან უბანში ასევე ჩვეული, ოუმცა კი ნაკლებად სავალდებულო პრაქტიკა. ასევე ბევრ სოფელში აღმოჩნდა რომ ადგილობრივი მცხოვრებლები თამაშობენ ლატარეას. ლატარეის თამაში, რომელიც საკმაოდ გავრცელებული იყო საბჭოთა დროს, შემდგომში თითქმის აღარ დაიკვირვებოდა იმის გამო, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს მოაკლდა რეგულარული ფულადი შემოსავლები. ბოლო წლებში პენსიების ზრდასთან ერთად, მოსახლეობის ნაწილს გაუჩნდა მცირეოდენი მაგრამ რეგულარული ფულადი რესურსი, რამაც ლატარეის პრაქტიკა გაახსენა. ლატარეებში მონაწილეობენ ძირითადად ისინი, ვისაც აქვს რეგულარული შემოსავალი ხელფასის ან პენსიის სახით; ხშირად, სოფელში რამდენიმე ჯგუფია, რომლებიც ამ პრაქტიკას მისდევს.

გამოკითხულ სოფლებში არაფორმალურ ნორმატიულ წესრიგს და სოფლის საერთო აზრს მოსახლეობის უმრავდესობა (60.8%) ანგარიშს უწევს და თვლის, რომ სოფელში ცხოვრება ძალზე გაურთულდება, თუ სოფლის აზრის საწინააღმდეგოდ იმოქმედებს. რესპონდენტთა ერთი მესამედის აზრით, „მორალური ინდივიდუალიზმი“ სოფელში პრობლემა არაა, ადამიანები ნაკლებად უწევენ ანგარიშს სოფლის აზრს, ყველას შეუძლია ისე მოიქცეს, როგორც თვითონ თვლის საჭიროდ.

სოფელს არ შეუძლია, და არც ცდილობს, არაფორმალური სოციალური წესრიგის კონტროლს რეპრესიების გზით. სოფელი საკმაოდ ლმობიერია იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც “სოფლის დაუწერელ წესებს” არღვევენ. რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (73%) თვლის, რომ სოფელს არ აქვს მკაფიოდ გამოხატული დამოკიდებულება ასეთი ადამიანების მიმართ, ასეთ ქცევას ნაკლებად ექცევა ყურადღება. რესპონდენტთა მხოლოდ ერთი მეხუთედი მიუთითებს, რომ სოფელი საკმაოდ მკაცრია მათ მიმართ.

სოფლის ცხოვრების უმთავრეს სტრუქტურას უჰქველად ინფორმაციის გაცვლის პრაქტიკა წარმოადგენს.

სოფელში ნებისმიერი ინფორმაცია ძალიან სწრაფად ვრცელდება, ვინაიდან მცხოვრებლების ჩვევაშია მეზობლებისთვის ახალი ამბების გაზიარება. ინფორმაციის გაცვლის მთავარ კვანძებს წარმოადგენს ქ.წ. ბირჟა, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვან სოციალურ როლს ასრულებს აღმოსავლეთ საქართველოში, მჭიდროდ დასახლებულ სოფლებში.

ბირჟა არის შეკრების ადგილი - მოედანი, გზაჯგარედინი, წყარო, მაღაზია, სადაც ადამიანები დგანან, საუბრობენ, ზოგჯერ დროს ატარებენ და სვამებ კიდეც. შესაძლოა სოფელში იყოს რამდენიმე ბირჟა, და სხვადასხვა სოციალური ჯგუფი (უმუშევრები, ახალგაზრდები), ცალკე იკრიბებოდეს. ქალი ვერ დადგება კაცებთან ერთად ბირჟაზე, ქალები უფრო სახლებთან სხედან ან ერთამენთან სტუმრად დადიან.

ბირჟა ეს არის ადგილი, სადაც არა მარტო იცვლება ინფორმაცია, არამედ მიდის მსჯელობა ყველა შესაძლო საკითხზე: სოფლის პრობლემებზე, პოლიტიკაზე და ა.შ.

“ბირჟა სოფლის პარლამენტია. ვიკრიბებით და ყველა საკითხზე აქ ვმსჯელობთ” (კახეთის სოფლის მცხოვრები).

სოფლის მცხოვრებით შორის ინფორმაციის გაცვლით თანამშრომლობა მათი ეკონომიკური აქტივობის არსებითი კომპონენტია. იცვლება ინფორმაცია ფასების, ბაზრების, ტექნოლოგიების, შესაძლო დასაქმების, სამუშაო მიგრაციის და სხვა საკითხების შესახებ: “თუ ვინმემ გაიგო, რომ რომელიდაცა დავინის ქარხანა უურდენს უფრო ძვირად იბარებს, ის ცდილობს, რომ რაც შეიძლება მეტ თანასოფლელს გააგებინოს რომ სხვებმაც იხეირონ” (კახეთის სოფლის მცხოვრები).

ქსელურ და ჯგუფურ ქცევას შორის მოსაზღვრე კატეგორიას მიეკუთვნება ნახირის რიგ-რიგობით მწყემსვა ან საერთო თანხით მწყემსის დაქირავება. ეს პრაქტიკა საქართველოში ფართოდა გავრცელებული, ამასთანავე, არსებობს ამ საქმიანობის მარეგულირებელი დაუწერელი წესები და ჩვეულებები, რომლებსაც არავინ არდვევს.

ნახირის ერთობლივი მწყემსვის, როგორც კოლექტიური ეკონომიკური ქცევის წარმატებული პრაქტიკა უფრო მეტად აღმოსავლეთ საქართველოშია გავრცელებული. დასავ-

დეთ საქართველოში ბევრ სოფელს ნახირის გამოსაძოვებელი საერთო მიწა არ გააჩნია.

საძოვარი სოფლის, პრაქტიკულად, ერთადერთი დეფაქტო საერთო რესურსია. ზოგ შემთხვევაში, სოფლის მოსახლეობა იძულებულია აიღოს საძოვარი კოლექტიურ იჯარაში, რათა ის არ მოხვდეს პრივატიზებაში და არ გასხვისდეს უცხო ინვესტორზე. ამ შემთხვევაში, სოფელი ირჩევს ერთ წარმომადგენერალს, რომელიც იფორმებს მიწას, ხოლო დანარჩენები ინაწილებენ ყოველწლიურ გადასახადს და აგრძელებენ საძოვრით ერთობლივ საგებლობას. ასეთ პრაქტიკასთან მიმართებაში ხშირია გადასახადის შეგროვების სირთულეები, რაც ნაწილობრივ უკავშირდება სოფლის სიღარიბეს, ნაწილობრივ კი იმ ფაქტს, რომ რესურსის ჯგუფურ საკუთრებად აღქმა, და მითუმებებს, მისი რეგულირების თუნდაც არაფორმალური ინსტიტუტები, ძალზე სუსტია.

საძოვრების ერთობლივი უტილიზაციის პრაქტიკის შესწავლისას გამოვლინდა ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი: ეკონომიკური კოოპერირების პროცესში სოფელში არსებული ნორმატიული წესრიგის შესაბამისად ვერ ერთვება სოფლის ყველაზე დარიბი მოსახლეობა. მაგ. თუ მოსახლეს არ აქვს მწევმების თანხის გადახდის საშუალება, მის ძროხას საძოვარზე არ უშვებენ. სოფელს უკიდურესად დარიბების კოოპერაციის პროცესში ინკლუზიის მექანიზმები არ აქვს. სოფლის სოლიდარობის მექანიზმი უკიდურესად დატაკი ოჯახების მიმართ პირდაპირი ქველმოქმედებაა. სოფლის საძოვრით ასევე ვერ სარგებლობენ შედარებით შეძლებული ფერმერები, რომლებსაც ბევრი ძროხა ჰყავთ. როგორც წესი ასეთ მეურნეობებს აქვს საკუთარი მიწა, რომელსაც საძოვრად იყენებენ.

3.2. მკონიაგური პოლიტიკა, რას ურსების აგუმულირება

კერძო საკუთრებისგან განსხვავებით, კოლექტიური (ჯგუფური) რესურსები (საკუთრება) ნაკლებად არის ინსტიტუციონალიზებული და სოფლის დონეზე დიდ როლს არ თამაშობს. ჯგუფურ მიკუთხნებულობას არა აქვს მკაფიო ინსტიტუციონალური საზღვრები, ის ცვალებადია და ქსელურად გადაბმული. დიდი სოფლები იყოფა უბნებად, რაც გან-

საკუთრებით შესამჩნევია კახეთში, სადაც ბევრ ადგილას ისტორიულად ნათესავები სახლობდნენ ერთ უბანში.

სოფელი საქმაოდ ინტეგრირებულია თავისი სოციალური სტრუქტურით. მცხოვრებთა რაიმე ნიშნით “სეგრაგაცია” არ ხდება. ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით გამოყოფილ ჯგუფებს შორის სოციალური დისტანცია გამოკვლეულ სოფლებში არ დაიკვირვება.²⁰ თუმცა, დამოკიდებულება რელიგიური სექტების მიმართ ოდნავ განსხვავებულია. რელიგიური სექტების წარმომადგენელები (მაგ. იელოვას მოწმეები) გამოკვლეულ სოფლებში ყველაზე მეტად გაუცხოებული ჯგუფი აღმოჩნდა.

მართალია, სოფლებში არსებობენ როგორც შედარებით შეძლებული, ასევე დარიბი თჯახები (შერჩევის 32.7% მიუთითებს ამგვარი სხვაობის არსებობაზე), ეკონომიკური უთანასწორობა სეგრეგაციის წყარო არ არის: მდიდრებსა და დარიბებს შორის სოციალურ დისტანციაზე გამოკითხულთა მხოლოდ 2.8% მიუთითებს. როგორც ჩანს, ასაკობრივი, ნათესაური ნიშნით განსხვავებულ ჯგუფებს შორის, ასევე მკაფიო მოსახლეობას და ახლად დასახლებულ ოჯახებს შორის ურთიერთობაც უკონფლიქტოა.

მიუხედავად ამ სტრუქტურული ერთგვაროვნებისა, იგრძნობა გარკვეული სოციალური იერარქიულობა, რომელსაც აქვს ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მახასიათებლები.

სოფელს ყავს შედარებით უფრო პატივცემული და აგტორიტებული პიროვნებების "ზედა ფენა", რომელიც მეტ (არაფორმალურ) გავლენას ახდენს სოფლის ცხოვრებაზე. ამ ელიტას განსხვავებული ტერმინებით ახასიათებენ (სოფლის ინტელიგენცია, აღსაკალები, თანამდებობის პირები, სხვა). თანამდებობა არ არის ამ ელიტაში მოხვედრის წინაპირობა (ზოგჯერ საპირისპირო ტენდენციაც შეიმჩნევა); განათლება და პატიოსნება, სოფლის მცხოვრებთა აზრით, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ავტორიტეტის მოსაპოვებლად, ვიდრე სიმდიდრე და თანამდებობა.

²⁰ უნდა გავითვალისწინოთ, რომ შერჩევაში არ იყო მოხვედრილი ეთნიკურად ან რელიგიურად დაყოფილი სოფლები.

ავტორიტეტული ელიტის სტატუსის ინსტიტუციონალიზაციის ტრადიცია უფრო შენარჩუნებულია აზერბაიჯანულ და ქისტურ სოფლებში²¹. აზერბაიჯანულ სოფლებში არსებობს აღსაკალების ტრადიციული ინსტიტუტი. თუმცა, ამ ინსტიტუტის არსებული სამართლებრივი სისტემის პარალელურ სისტემად განხილვა არ შეიძლება. უფრო მეტად ის შეიძლება მოვიაზროთ, როგორც გამაშეალებელი რგოლი სოფელსა და ოფიციალურ ხელისუფლებას შორის. ზოგიერთ ადგილას 2-3 წელიწადში ერთხელ სოფელი ირჩევს რამდენიმე ადსაკალს და გადასცემს მათ სოფლის აქტუალური პრობლემის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების და სოფლის სახელით ხელისუფლებასთან ურთიერთობის უფლებამოსილებას. სხვაგან აღსაკალების არჩევა არ ხდება და მათი სტატუსი უფრო ნომინალურია, ვიდრე ფუნქციონალური.

სოფლის ელიტები გარკვეულ ფუნქციონალურ როლს ასრულებენ. ესაა - კონფლიქტების დროს შუამავლობა და ურთიერთობების დალაგება.

არაფორმალური ელიტის არსებობის მიუხედავად, სოფლის რესურსებზე და ცხოვრებაზე უფრო მეტი რეალური გავლენა აქვთ თანამდებობრივი სტატუსის მქონე პირებს, რწმუნებულს და ა.შ. ის საკითხები, რომლებიც სოფლის გარე ურთიერთობებს ეხება, მათ მიერ რეგულირდება.

სტატუსური უთანასწორობის არსებობის მიუხედავად, სოფლის სოციალურ სტრუქტურაში ვერტიკალური დაყოფა გამოიხატება არა იმდენად სოციალურ დისტანციაში, არა მედ ორშრიანი, ორდონიანი დისკურსის არსებობაში.

თუ ნახევრად საგსე და ნახევრად ცარიელი ჭიქის მეტაფორას მოვიშველიებთ, საგარაუდოა, რომ სოფლის რწმუნებულის ოფისში ჩატარებულმა საუბარმა სოფლის მდგომარეობის შესახებ, ნახევრად საგსე ჭიქის შთაბეჭდილება და-ტოვოს, ხოლო სოფლის ბირჟაზე ჩატარებულმა საუბარმა – ნახევრად ცარიელის. ეს ვითარება შესაბამისობაშია საბ-

²¹ პრემოდერნული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ტრადიციული ნორმატიული სისტემების ელემენტები, რომლებიც გარკვეულ სიტუაციებში სამართლებრივ სისტემას ანაცვლებენ, შემორჩენილია მხოლოდ მთის სოფლებში: მაგ. მამასახლისის ინსტიტუტი.

ჭოთა დროის დანატოვართან - საჯარო და არასაჯარო დისკურსების დაპირისპირებულობასთან. ოფიციალური საჯარო სივრცე განკუთვნილია პოზიტიური შეფასებებისთვის, სახელისუფლებო პროპაგანდისთვის, ხოლო კულტურული, პრივატული საუბრები - კრიტიკული განწყობებისთვის. ამდენად, სოფლის ბირეა უფრო პრივატული სფეროს ნაწილად წარმოჩნდება, და უფრო მეტად სოფლის აზრს გამოხატავს, ხოლო რწმუნებული ოფიციალური კერძის მატარებელია.

ხელისუფლებასთან სიახლოვე, სამსახურის ხელმისაწვდომობა, კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობის შესაძლებლობა და "პრივილეგიების" მოპოვების სხვა ფორმები ზოგიერთ ინდივიდს უკეთეს მდგომარეობაში აყენებს. დაპირისპირება პრივილეგირებულ უმცირესობასთან ზოგიერთ სოფელში საძმაოდ მძაფრად იგრძნობა, გაღარიბებული მოსახლეობა თავს ჩაგრულად და უუფლებოდ მიიჩნევს. ეს უუფლებობა პოლიტიკურ ხასიათს ატარებს და დემოკრატიული უფლებების ობიექტური ინსტიტუციური სისუსტითად განპირობებული.

მიუხედავად იმისა, რომ სტატუსური, თანამდებობრივი და ეკონომიკური უთანასწორობა სოფლებში არსებობს, სოფელი არ არის სეგრეგირებული სტრატებად, რომლებიც ძირითადად თავის შიგნით ახერხებენ თანამშრომლობას. სოფლად კოლექტიური, ჯგუფური ინტერესები ნაკლებ როლს თამაშობს, და, შესაბამისად, თითქმის არ დაიკვირვება ინსტიტუციონალიზებული ჯგუფური საკუთრება.

სოფლად დროდადრო ჩნდება ქვემოდან ინიციორებული არაფორმალური ეკონომიკური გაერთიანებები. მაგალითად, ხედება რამდენიმე ინდივიდის შეამხანაგება, მათი რესურსების (შრომა, მიწა, ტექნიკა, სახსრები, სხვა) აკუმულირება და ერთობლივი ბიზნესის წამოწყება. როგორც წესი, ამგვარი გაერთიანებები ვიწროა (3-7 წევრი), შედგება სამეგრობრო-სამაკაცო წრიდან და არამდგრადია - მოსავლის ერთხელ თუ ორჯერ მოყვანის შემდეგ იშლება. უფრო მდგრადი გაერთიანებები იშვიათია. ხშირად ამგვარი კოოპერაცია არამდგრადია არა შიდა მოუწესრიგებლობის გამო, არამედ იმის გამო რომ ეკონომიკურ შედგეს ვერ აღწევს. თუმცა, გაერთიანებების არამდგრადობის ჯგუფშიდა ურთიერთობებთან დაკავშირებული ფაქტორებიც ძლიერია. ამგვარი გაერთიანებების შიგნით რთულია თანხმობის მიღწევა, განსა-

კუთრებით მოგების სამართლიანი განაწილების პრინციპების თაობაზე.

გარე აქტორების ინიციატივით და მხარდაჭერით სოფლად ასევე დროდადრო იქმნება კოოპერატივები და ასოციაციები. როგორც წესი, ასეთი კოოპერირება წახალისებულია მისი წევრებისთვის გარკვეული რესურსების მიწოდებით: მცირე გრანტი, მაღალი ხარისხის საოესლე მასალა და სხვა. ამგვარი კოოპერაციაც საკმაოდ არამდგრადია და ხშირად, სრულდება მიწოდებული რესურსის ათვისების შემდეგ.

საქართველოს სოფლებში არაეკონომიკური არაფორმალური ტიპის ასოციაციებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია მრევლი. ფორმალური გაერთიანებების ჩამოყალიბება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევბში, თუკი ორგანიზაცია მიმართულია გარე რესურსების (გრანტების) მოზიდვაზე. ამ შემთხვევაში ხდება მისი ფორმალიზება (იურიდიული სტატუსით ჩამოყალიბება). თუმცა, სოფლებში ფორმალური ასოციაციების წევრობის შემთხვევები ძალზე ცოტაა. სიგრცე სახელმწიფოსა და ოჯახს შორის, რომელსაც დასაგლეთის ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ავსებს, საქართველოს სოფლებში ფაქტობრივად ცარიელია. მაგ. მშობელთა გაერთიანებების არსებობას სოფლები გამოკითხულთა მხოლოდ 33.8% ადასტურებს და ეს მაშინ, როდესაც სახელმწიფო უწყებები რამდენიმე წლის განმავლობაში ატარებდნენ სკოლებში სამეურვეო საბჭოების შექმნისკენ მიმართულ ღონისძიებებს.

3.3. სოფლის საერთო სიგვთხე, რესურსების აბრევირება

იმის გამო, რომ პოსტსაბჭოთა გარდაქმნების საწყის ეტაპზე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ქონება არ გარდაქმნილა თემის საერთო საკუთრებად, ხოლო დღევანდებული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სოფლისა და თემის საკუთრების ცნებას, სოფელს საერთო რესურსი პრაქტიკულად არ გააჩნია. შემორჩენილი მეხსიერება იმ მიწების შესახებ, რომლებითაც სოფლები საბჭოთა დროს სარგებლობდა, განაპირობებს სოფლის ფორმალურ და არაფორმალურ საზღვრებს. თუმცა, ამ საკუთრებით საერთო სარგებლობის არაფორმალური წესები ეხება მხოლოდ სა-

ძოვრებს იქ, სადაც ეს საძოვრები (ან მიწა, რომელიც სა-
ძოვრად გამოიყენება) არსებობს.

პოსტსაბჭოთა რეფორმების პროცესში იგულისხმებო-
და, რომ მას მერე რაც სახელმწიფო "შეიკუმშებოდა" და
დაკარგავდა კონტროლს ცხოვრების ყველა სფეროზე, მეზო
დონის კოლექტიურ სივრცეს შინამურნეობასა და სახელ-
მწიფოს შორის თვითმმართველობა დაიკავებდა. სოფელს,
თემს, თავად უნდა განეკარგა ბევრი პრობლემა, რომელიც
არც კერძო და არც სახელმწიფო პასუხისმგებლობის სფე-
როს აღარ მიეცუთვნებოდა.

ნებისმიერი სოფლის ვიზუალური მონახულება და
მოსახლეობასთან გასაუბრება ადასტურებს, რომ ეს მცდე-
ლობა მთლიანობაში წარუმატებელი აღმოჩნდა. აშკარაა,
რომ ოჯახის პასუხისმგებლობისა და ზრუნვის სფერო იყო
და არის ეზო დობის შიგნით. ის, რაც ჭიშკრის მიღმაა, უფ-
რო მეტად “არავისია”, ვიდრე კოლექტიური. ერთჯერადი
დონისძიებები და ძალისხმევა, რომელიც ხან გზის მოწესრი-
გებას ხმარდება, ხან სოფლის ბირჟისთვის გადახურული პა-
ვილონის მოწყობას, მდგომარეობას არსებითად ვერ
ცვლის.

სოფლის "უპატრონობა" პირველ რიგში გამოიხატება
სოფლის დონეზე გადაწყვეტილებათა მიღების ინსტიტუტის
არარსებობაში. არც ფორმალურ და არც არაფორმალურ
დონეზე არ არსებობს სისტემა, რომელიც სოფლად პირდა-
პირი ან წარმომადგენლობითი დემოკრატიის, ან თუნდაც
ელიტური მმართველობის ინსტიტუტებს შექმნიდა. სოფელ-
თან დაკავშირებული გადაწყვეტილებები რაიონის დონეზე
არსებული მმართველობის და მის მიერ დანიშნული რწმუნე-
ბულის პრეროგატივაა.

სოფლებში არ არის საერთო შეხვედრების ჩატარე-
ბისთვის განკუთვნილი შენობა და არც ამგვარი შეხვედრე-
ბის ჩატარების რეგულარული პრაქტიკა. იმ სოფლებში, სა-
დაც არსებობს საბჭოთა დროიდან შემორჩენილი კლუბები,
ეს შენობები არ გამოიყენება ქვევიდან წამოსული ინიციატი-
ვებისთვის და შეხვედრებისთვის; ისინი კვლავაც "ოფიცია-
ლური საჯარო სივრცის" დანამატს წარმოადგენს.
გამოკითხულ რესპონდენტთა მხოლოდ 4.6% მიუთითებს,
რომ სოფლის მოსახლეობა ხშირად იკრიბება კლუბებში.

სოფლის მოსახლეობა ხშირად საუბრობს ადამიანების ერთმანეთისგან გაუცხოებაზე, რაც მათში საბჭოთა დროის ხოსტალგიას იწვევს. გამოკითხეული რესპონდენტების მხოლოდ 13.3% თვლის, რომ აქტიურადაა ჩართული სოფლის ცხოვრებაში. ფოგუს-ჯგუფების რესპონდენტები საუბრობენ იმზე, რომ ადამიანები სულ უფრო მეტად იგეტებიან საკუთარი ოჯახის და ნაოესავების ვიწრო წრეში და ინტერესს კარგავენ სოფლის სოციალური ცხოვრების მიმართ.

მიუხედავად ამ ინსტიტუციური სიცარიელისა, სოფლის მოსახლეობა დროდადრო ახერხებს საერთო საქმის კეთებას: ერთობლივ ფიზიკურ შრომას, ფულის შეგროვებას, პროტესტის გამოხატვას და სხვა. ამგვარი აქტივობა შესაძლოა მოდიოდეს ქვემოდან ან რწმუნებულის მიერ იყოს ინიცირებული. მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეობა ასეთ საქმეებში სავალდებულო არ არის, მასში ჩართულია სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობა.

საერთო საქმის კეთებისას ოჯახების განსხვავებული მატერიალური მდგრამარეობა გადაულახავ დაბრკოლებებს არ ქმნის. ხშირია შემთხვევები, როდესაც შედარებით მდიდარი ოჯახები სოფლის საერთო საქმეებში “პროგრესული გადასახადის” პრინციპის მიხედვით მონაწილეობენ. უფრო მდიდარი უფრო მეტ ფინანსურ პასუხისმგებლობას იღებს, როდესაც ხდება სოფლის რესურსების აგრეგირება გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანების დასახმარებლად ან სოფლის საერთო პრობლემების მოსაგვარებლად.

გამოკითხეულ რესპონდენტთა 55.7% აფიქსირებს, რომ თანასოფლელები ახერხებენ სხვადასხვა აზრის შეჯერებას და ერთობლივად მოქმედებას სოფლის საერთო პრობლემების გადასაჭრელად; დაახლოებით 70% მიუთითებს, რომ უმრავლესობა ძალისხმევას არ იშურებს, როდესაც სოფლის საერთო საქმეა მოსაგვარებელი და თანასოფლელები ახერხებენ ფულადი და შრომითი რესურსის აგრეგირებას პრობლემების გადასაწყვეტად.

გარდა ამისა, მოსახლეობა ახერხებს ორგანიზებას და ერთობლივ მოქმედებას მაშინ, როდესაც სოფლის ინტერესებს საფრთხე ემუქრება. თვისებრივი კვლევის პროცესში აღიწერა რამოდენიმე შემთხვევა, როდესაც სოფელში მოხერხა ერთობლივი რადიკალური პროტესტის ორგანიზება

სოფლის საძოვრების გასხვისების წინააღმდეგ, რასაც შედეგად მოჰყვა “ინვესტორის დაშინება და გაგდება”.

როგორია დამოკიდებულება იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ხშირად ავლენენ ოპორტუნისტულ ქცევას, მაშინ როდესაც საერთო საქმეა გასაკეთებელი?

ამგვარი ადამიანების მიმართ მკაცრი სანქციები იშვიათია, თუმცა არსებული რეპერტუარი საკმაოდ ფართო: დაცინვით სტიგმატიზაციიდან საერთო საკუთრებით სარგებლობის ხელისშეშლამდე: “ასეთ ადამიანებს უფრო ხშირად იუმორით ვეკიდებით, სუფრასთან ყველაზე პატარა ჭიქას ვუდგამთ: “შენ ხომ ყველაზე ნაკლები შეგიძლია” (კახეთის მცხოვრები). დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი რეგიონში იხსენებენ შემთხვევას, როდესაც სოფელი ხელს უშლიდა თანასოფლელს ესარგებლა იმ ხიდით, რომლის აღდგენაში მან შრომითი მონაწილეობა არ მიიღო.

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მოსახლეობა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა, დიდწილად სოფლის გარეთ ეძებს დასაქმებასა და შემოსავლებს, ამგვარი ქცევა დიდიწილად ეპონომიკური მიზეზებითაა განპირობებული, და არა სოციალური შეკრულების სისუსტით. როდესაც ეპონომიკური ფაქტორი გამორიცხულია, მიგრაციული განწყობა სოფლებში არ დომინირებს. გამოკითხულთა 81.7% ამჯობინებდა საკუთარ სოფელში დარჩენას, თუკი არსებობისთვის საკმარისი თანხა ექნებოდა.

თავი 4. სოფლის სოციალური პაკიტალი

ზემოთ აღწერილი იყო საქართველოს სოფლებში დაპვირვებადი სოციალური თანამშრომლობის განსხვავებული პრაქტიკები და საკუთრების არსებული ფორმები. ფორმების მრავალფეროვნებითა და ინტენსივობით, უფრო მეტად, ხასიათდება კერძო საკუთრებასთან დაკავშირებული ქსელური ურთიერთობები, რომლებიც ისტორიულად ჩამოყალიბებული არაფორმალური, ნორმებითაცაა გამყარებული. დაიკვირვება, აგრეთვე, სოფლის საერთო სიკეთის შექმნაზე ორიენტირებული ქცევის პრაქტიკა, ინკლუზიური ჯგუფის პრინციპით რესურსების აგრეგირება. რუმცა, არც ამ ტიპის ქცევის ინსტიტუციონალიზებული მექანიზმები არსებობს და არც სოფლის საერთო საკუთრების ინსტიტუტია განმტკიცებული სამართლებრივად. რაც შეეხება, თანამშრომლობას ჯგუფებს შიგნით, აქ ესკუზზიურობის კრიტერიუმები და ჯგუფური საკუთრებითი ურთიერთობების ფორმები საქმაოდ არასრაბილურია, ხოლო მდგრადი ურთიერთობების ჩამოყალიბება - იშვიათი.

მოცემული თავი უფრო სიღრმისეულად აანალიზებს ამ სოციალური ურთიერთობებს სხვადასხვა ტიპის ფაქტორებთან მიმართების გზით. ჩვენი მიზანია ვუპასუხოთ შემდგებ კითხვას: რამდენადაა შესაძლებელი სოციალური თანამშრომლობის არსებული ფორმები განვიხილოთ როგორც სოციალური კაპიტალის მანიფესტაცია? შეიძლება თუ არა იმის მტკიცება, რომ საზოგადოებაში ხდება განსხვავებული ტიპის რესურსების ერთმანეთში გადადინება და "ურთიერთრეზონირება", რაც სოციალური "კაპიტალის" არსებობის ნიშანი იქნებოდა? გარდა ამისა, შემდგომი ანალიზის მიზანია სოციალური კაპიტალის შემაღებენელი ელემენტებისა და მისი სტრუქტურის დახასიათება; სოფლების შედარებითი ანალიზის გზით იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც უკავშირდება სოციალური კაპიტალის სიძლიერესა და სისუსტეს. ანალიზი ეყრდნობა 20 სოფლის რეზიდენტი 600 რესპონდენტის გამოკითხვის შედეგების სტატისტიკურ ანალიზს (თითო სოფლიდან 30 რესპონდენტი).

4.1. სოფლის გლასტონიაცია მათი შეპრულობის ინდენსისა და ინდივიდუალური სიმღიდრის მიხედვით

გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა მიუ-
თითებს, რომ მათი სოფელი ავლენს მობილიზაციის და კო-
ლექტიური ქცევის უნარს მაშინ, როდესაც სოფლის საერთო
საქმეა გასაკეთებელი, მაგალითად, როდესაც შესაკეთებე-
ლია დაზიანებული ობიექტი, რომლითაც მთელი სოფელი
სარგებლობს.

თემის უნარი მიიღოს ერთობლივი გადაწყვეტილება
და კოლექტიურად იმოქმედოს მისი საკმაოდ ძლიერი მახა-
სიათებელი აღმოჩნდა. კერძოდ, რაოდენობრივი მონაცემების
ფაქტორულმა ანალიზმა გამოავლინა, რომ კოლექტიური
გადაწყვეტილებების მიღების და კოლექტიური მოქმედების
უნართან დაკავშირებული ცვლადები გაერთიანდა ერთ
ძლიერ ფაქტორში, რომელსაც "სოფლის შეგრულობის ფაქ-
ტორი" ვუწოდეთ. სოფლის შეგრულობის ფაქტორი ასახავს
სოფლის შემდეგ მახასიათებლებს:

1. რამდენად გამოხატავს სოფლის მოსახლეობა
სურვილს, მიიღოს მონაწილეობა სოფლის საერთო საქმის
მოგვარებაში. (იხ. დანართი 1. კითხვა – A7)

2. რამდენად ახერხებს სოფელი კონკრეტულ პრო-
დემასთან დაკავშირებული აზრთა სხვდასხვაობის დაძლე-
ვას და ერთსულოვნად მოქმედებას. (იხ. დანართი 1. კითხვა
A8)

3. რამდენად სშირად ახერხებს მოსახლეობა სოფ-
ლის საერთო პრობლემის შესახებ საერთო ხედვის გამომუ-
შავებას (იხ. დანართი 1. კითხვა B2).

4. რამდენად აქტიურად მონაწილეობის სოფლის მო-
სახლეობა სოფელში დაზიანებული ობიექტების შეკეთებაში
(იხ. დანართი 1. კითხვა A 12).

5. რამდენად მონაწილეობს სოფლის მოსახლეობა
სოფლის საერთო დაზიანებული ობიექტების შესაკეთებლად
საჭირო თანხების შეგროვებაში (იხ. დანართი 1. კითხვა A 13)

კვლევის შედეგების თანახმად, თუ სოფელი უჩვე-
ნებს მაღალ მაჩვენებელს ერთ ერთეულში, ის მაღალ მაჩვე-
ნებლებს უჩვენებს დანარჩენ ერთეულებშიც.

ასევე აღმოჩნდა, რომ სოფლის შეკრულობის ხარისხი ყველაზე მეტად დაკავშირებულია ეკონომიკური სამართლიანობის განცდასთან. კერძოდ, სოფელი უფრო მეტადაა შეკრული, თუ მისი მცხოვრებლები მიიჩნევენ, რომ სიმდიდრის მოპოვება ძირითადად ინდივიდუალურ ძალისხმევაზეა დამოკიდებული: “შედარებით შეძლებულები უფრო მეტს შრომობენ და უკეთესად უდებენ ალლოს ცხოვრებას, დარიბები კი უფრო ზარმაცები არიან.”

შეკრულობის მაჩვენებელი დაბალია იმ სოფლებში, რომლებშიც უფრო მეტი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ შეძლებული ოჯახები თავის ეკონომიკურ სტატუსს სხვადასხვა გზით მოპოვებული პრივილეგიებით აღწევენ. ამგვარ სოფლებში საერთო საქმისთვის წარმატებული თანამშრომლობის შემთხვევები ნაკლებია.

ეკონომიკური სამართლიანობის განცდასა და სოციალური შეკრულობის ფაქტორს შორის კავშირი იმდენად ძლიერია, რომ მათი ერთ ფაქტორში ინტეგრირება გახდა შესაძლებელი. ამ ფაქტორს შემდგომში "შეკრულობა + სამართლიანობა" ვუწოდებთ.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ჩვენს ზემოთ აღწერილი ფაქტორის შემადგენელი ელემენტები და შესაბამისი კოეფიციენტები

ცხრილი 1.

ცვლადი:	ფაქტორული წონები. პირ-სონის კორელაციის კოეფიციენტები (R)
სოფლის საერთო საქმეში მონაწილეობის სურვილი	0.79
აზრთა სხვადსხვაობის დაძლევის უნარი	0.72
საერთო ხედვის გამომუშავების სიხშირე	0.54
დაზიანებული ობიექტის შეკეთებაში უფასო მონაწილეობა	0.88
დაზიანებული ობიექტის შესაკეთებლად ფინანსური რესურსის შეგროვების უნარი	0.83
სამართლიანი კონკურენციის	0.88

განცდა (ეკონომიკური სამარ- თლიანობა)	
---	--

მიუხედავად შეკრულობასა და ეკონომიკურ სამართლიანობას (თამაშის წესს) შორის ამ მჭიდრო კავშირისა, შეკრულობა არ აღმოჩნდა პირდაპირ კავშირში ინდივიდების ეკონომიკურ სიმდიდრესთან. სამაგიეროდ, კვლევამ აჩვენა, რომ ისინი ერთობლივად სოფელთა შორის მსგავსებისა და განსხვავებულობის დიდ ნაწილს ხსნიან.

სოფლის მცხოვრებთა ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად აკლევაში გამოყენებულ იქნა ე.წ. ინდივიდის სიმდიდრის ინდექსი, რომელიც შემდეგი ცვლადების გამოყენებით აიგო:

1. მიწის ფართობი, რომელსაც ფლობს სოფლის მკვიდრი
2. ოჯახის მფლობელობაში არსებული მსხვილფეხა საქონლის რაოდენობა
3. ოჯახის მფლობელობაში არსებული წვრილფეხა საქონლის რაოდენობა
4. ოჯახის ფულადი შემოსავლები მიმდინარე მომენტისთვის.

ინდივიდის სიმდიდრის ინდექსში არ იყო გათვალისწინებული ის მატერიალური სიმდიდრე (მაგ. საცხოვრებელი სახლი), რომელიც კომუნისტური ეპოქის მემკვიდრეობაა და ამჟამად ბაზარზე დიდი ლიკვიდურობით არ გამოირჩევა. ამგვარი აქტივების ინდექსში ჩართვით ვერ მივიღებდით სურათს, რომელიც ასახავდა სოფლის მცხოვრებთა მიმდინარე ეკონომიკურ მდგომარეობას.


გარდა ამისა, იმის გამო, რომ ოჯახის ფულადი შემოსავლების დიდი ნაწილი (მად. სოციალური დახმარება, პენსიები) არ იწარმოება სოფლის ეკონომიკის ფარგლებში, სიმდიდრის ინდექსი არ უნდა გავიგოთ, როგორც სოფლის შიდა პროდუქტის ექვივალენტი; ის შიდა წარმოების და გარედან შემოდინებული რესურსების კომპოზიტია.

შეკრულობის ფაქტორისა და სიმდიდრის ინდექსის ერთობლივი გამოყენება ეფექტური მექანიზმი აღმოჩნდა სოფლების რეპრეზენტატორ ჯგუფთა შორის სხვაობების და მსგავსების დასადგენად. კვლევის პროცესში განხორციელდა რაოდენობრივი მონაცემების საშუალო მაჩვენებლების

შედარებითი ანალიზი²² ორგანზომილებიან ველში, სადაც ერთი დერძი უკავშირდება სოციალური შეკრულობის+ განზომილებას, მეორე დერძი კი –ინდივიდის სიმდიდრის განზომილებას. ანალიზმა აჩვენა, რომ ეს ორი ფაქტორი (სოფლის შეკრულობის+ ინდექსი და ინდივიდების სიმდიდრის ინდექსი) ერთობლივად კარგად აღწერს გამოსაკვლევ გელს. კერძოდ, მოცემული ორი ფაქტორი სხნის ინდივიდებისა და სოფლების ვარიაციის მაღალ პროცენტს.

კვლევის შერჩევაში შესული 20 სოფლის მონაცემების სტატისტიკური ანალიზის შედეგად გამოვლინდა სოფლების სამი ძირითადი კლასტერი:

გრაფიკი 1.



კლასტერების სახელები, რომლებიც შემდგომში იქნება გამოყენებული, შემდეგია: I - მარცხენა კლასტერი; II - მარჯვენა ზედა; III - მარჯვენა ქვედა.

²² Anova table

მოცემული სამი კლასტერიდან პირველი კლასტერი ყველაზე დიდია: მასში შედის 12 სოფელი. ამ კლასტერის შიგნით დაიკარგება წრფივი დამოკიდებულება დერმულ ცვლადებს შორის კორელაციის მაღალი კოეფიციენტით: $R = 0.77$. ეს დამოკიდებულება ცალსახად მიანიშნებს იმაზე, რომ სოფლის შექრულობასა და ინდივიდუების ქონებრივ მდგომარეობას შორის არსებობს ძლიერი "რეზონირება". თუმცა, ეს ურთიერთდამოკიდებულება არის ერთერთი, და არა ერთა-დერთი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს სოფლის ადგილ-მდებარეობას მოცემულ სიბრტყეზე. სოფლების კლასტერიზაციის ანალიზი სხვა ფაქტორების ჩართვასაც მოითხოვს, რომლებიც ქვემოთ უკავშირდებითაა აღწერილი.

სოფლების კლასტერიზაცია შესაძლოა არ ასახავდეს ყველა ფაქტორს, რომელიც სოფლების მრავალფეროვნებას განსაზღვრავს. სოფლების შერჩევა არ არის რეპრეზენტატული სოფლების ყველანაირი ტიპისთვის, რომლებიც საქართველოში არსებობს. ყველაზე ნაკლებად შერჩევაში იყო წარმოდგენილი მაღალმოიანი სოფლები, ასევე ის სოფლები, რომლებიც მკვეთრად დაცარიელდა და მოსახლეობისგან დაიცალა. მაგალითად, ორი სოფელი, რომელიც სამი კლასტერიდან არც ერთში არ მოხვდა, თავისი განსხვავებულობის ასახელებად მოითხოვს ისეთი ფაქტორების შემოტანას, როგორებიცაა სოფლის ადგილ-მდებარეობა ან ისტორია.

სოფელი 15, რომელიც შეკრულობის უაღრესად დაბალი ხარისხით გამოიჩინება, საკურორტო ზონაშია, ჭრელი მოსახლეობით, ნაწილი სახლებისა ქალაქური ბლოკური ტიპისაა, ამდენად ის მექანიზმები, რომლებიც სხვა სოფლებს კრავს, იქ ნაკლებად იგრძნობა. მას სხვა სოფლებისგან განსხვავებული ისტორია აქვს. ამ სოფელში ხდებოდა სხვადასხვა მიგრაციული ნაკადების (მაგ. ყოფილი პატიმრები) აღრევა. მკვიდრი მოსახლეობა სოფელში, ფაქტობრივად, არ არსებობს. სოფელი 8, პირიქით, უაღრესად შეკრულია, მაგრამ ამავე დროს ძალიან დარიბი, რამაც, როგორც ჩანს, განაპირობა მისი ამოგარდნა საერთო ლოგიკიდან. ეს სოფელი მოაფარი გზებისგან მოშორებით მდებარეობს, რაც ხელს უწყობს შეკრულობას, მაგრამ გონიოურად არახელსაყრელია.

საპირისპიროდ, ზოგიერთ ფაქტორს, რომელიც კვლევის საწყის ეტაპზე მნიშვნელოვნად გამოიყერებოდა, მოცემულ სიბრტყეზე სოფლის განლაგებაზე სერიოზული გავლენის გამომდინარების არახელსაყრელია.

ნა არ მოუხდენია. ასე, ბევრი ექსპერტისა და საკუთარი დაკვირვებების საფუძველზე ჩამოყალიბებული იყო მოსაზრება, რომ სოფლებს შორის სხვაობას დიდწილად ეთნიკური და რელიგიური ფაქტორები განაპირობებს. აზერბაიჯანული სოფლები, ქართული სოფლებისგან განსხვავებით, უფრო იერარქიულად გამოიყურება; მათ ყავთ აღსაკალები, რაც სოციალური ელიტის უფრო მეტი ინსტიტუციონალიზაციას ნიშნავს. რელიგიური თავისებურებები ასევე განსხვავებულ სოციალურ პრაქტიკაში გამოიხატება. მუსლიმურ სოფლებში პარასკევის ლოცვები ქმნის თანასოფლელთა რეგულარული თავშეყრის პრაქტიკას; იქ ასევე უფრო მეტი მრავალშეილიანი ოჯახია, რაც არსებითია ნატურალური მეურნობის წარმატებისთვის. ამ დაკვირვებების გათვალისწინებით, სოფლების შერჩევაში მოქმედა როგორც აზერბაიჯანლებით დასახლებული, ასევე ქართული მუსლიმური სოფლები.

როგორც აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა რომ სხვაობა ქართულ და არაქართულ სოფლებს შორის არსებობს, ის ბევრად ნაკლებად არსებითა, ვიდრე სხვა ფაქტორები. პირველი კლასტერი აერთიანებს როგორც ქართულ, ასევე არაქართულ სოფლებს, და სოფლების ეს ორივე ტიპი ერთნაირად მონაწილეობს იმ წრფივ კორელაციაში, რომელიც ამ კლასტერისთვისაა დამახასიათებელი.

შეკრულობისა და სიმდიდრის მაჩვენებლები გარკვეული იდად ხსნიან რესპონდენტის ამა თუ იმ განსხვავებულ მასასითებლებს. ასე, მაგალითად, უფრო მეტად შეკრული სოფლების ტიპიური რესპონდენტი თავისივე შეფასებით უფრო ბედნიერია, ვიდრე დანარჩენი სოფლების ტიპიური მკვიდრი. რესპონდენტის ბედნიერების ხარისხი სოფლის შეკრულობის ფაქტორთან გაცილებით უფრო მეტად არის დაკავშირებული, ვიდრე რესპონდენტის ეკონომიკურ მდგრმარეობასთან. იგივე ტენდენცია დაიკვირვება მიგრაციულ განწყობათან დაკავშირებით: სოფლიდან წასვლის სურვილი ნაკლებად აქვთ არა უფრო შეძლებულ რესპონდენტებს, არამედ შეკრული სოფლების მცხოვრებლებს.

სოფლების კლასტერიზაციასა და სოფლის რესურსებს შორის კავშირის უფრო თვალსაჩინოდ წარმოდგენისთვის, სასარგებლოა სოფლის კერძო და საერთო რესურსები მოვიაზროთ იმავე ორგანზომილებიან სიბრტყეზე. ვერტიკა-

ლური განზომილება შეესაბამება საერთო სიკეთეს, ხოლო პორიზონტალურად კერძო რესურსებისა და ინტერესების მქონე ინდივიდუალური განლაგებული. სოფლის შეკრულობის ფაქტორი სოფლის ვერტიკალური განზომილების მახასიათებელია: რაც უფრო მაღალია სოფლის შეკრულობის მაჩვენებელი, მით უფრო ძლიერია სოფლის მიერ საერთო სიკეთის შექმნის პოტენციალი. დაჯგუფებები შესაძლოა ამ სიბრტყეზე განლაგებულ წრეებად წარმოვიდგინოთ. ის, რომ თო-თოეული სოფლის 30 რესპონდენტი ამგვარი წრე აღმოჩნდა, თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ სოფელი იმავრდოულად ჯგუფს წარმოადგენს (გრაფიკზე ასახული წერტილები ამ წრეების ცენტრებია).

კლასტერიზაციის მოცემულ მოდელზე დაყრდნობით, ქვემოთ გაანალიზებულია სოფლის სოციალური კაპიტალის მიმართება მის ადგილმდებარეობასთან მოცემულ სიბრტყეზე. როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტის სამი განწყობა: ეკონომიკური სამართლიანობის, ნდობისა და რეპუტაციის მიმართ ერთობლივად კარგი სიზუსტით განაპირობებს მის ადგილმდებარეობას, რაც გვაძლევს შესაძლებლობას გამოვიყენოთ ეს განწყობები სხვადასხვა რესურსებისა და ქცევას შორის კავშირების დასადგენად.

4.2. სამრთო რესურსები, თემის შეპროდობის განზომილება

როგორც კვლევის შედეგები უჩვენებს, გამოკითხული რესპონდენტების 61.5% მიიჩნევს, რომ მათი სოფელი შეკრულია, რესპონდენტების 38.5% - კი საკუთარ სოფელს შეკრულ სოფლად არ თვლის. (მონაცემები დათვლილია შეკრულობის ფაქტორის გათვალისწინებით).

სოფლის შეკრულობის მაჩვენებლისა და სოფლის სხვა მახასიათებლების ურთიერთმიმართების ანალიზმა გამოავლინა შემდეგი ტენდენციები: რაც უფრო მაღალია სოფლის შეკრულობის მაჩვენებელი, მით უფრო მეტადაა სავარაუდო, რომ თანასოფლელთა კერძო რესურსების (შრომა, ფული, ინფორმაცია) აგრეგირებით შეიქმნება საერთო სიკეთე. შეკრულ სოფელს აქვს მეტი უნარი მართოს საკუთარი თავი, მეტი განწყობა განავითაროს სოფლის მეურნეობა, მე-

ტი დაცულობა გარედან მოსული "პრივილეგიების" ზემოქმედებისგან და ჰყავს უფრო ერთგული და ბედნიერი მოსახლეობა. ამდენად, იდეალურად შეკრული სოფელი, იმავდროულად, წარმოადგენს პირდაპირი დემოკრატიის იდეალურ ტიპს.

შეკრული სოფლის მცხოვრები უფრო მეტადაა ორიენტირებული სოფლის მეურნეობაზე, როგორც ეკონომიკის დარგზე და ოვლის, რომ დაუღალავი შრომითა და ძალის-ხმევით სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ოჯახს შეუძლია კეთილდღეობის მოპოვება. ამგვარი განწყობა, რომელსაც შეიძლება „აგრარული ოპტიმიზმი“ გუწოდოთ, შეკრულობის მაჩვენებელთან უფრო მეტადაა დაკავშირებული, ვიდრე სიმდიდრის ინდექსთან.

აღსანიშვანია, რომ სოფლის შეკრულობის მაჩვენებელთან სტატისტიკურ კავშირშია სწორედ სიმდიდრის სამართლიანი განაწილების განცდა და არა თანასოფლელთა შორის ფაქტობრივი ეკონომიკური თანასწორობა. სოფლების მცხოვრებთა შორის ეკონომიკურ უთანასწორობასა და სოფლის შეკრულობის მაჩვენებელს შორის სტატისტიკური კავშირი არ გამოვლინდა.²³ ეს მეტყველებს იმაზე, რომ ინდივიდებს შორის სოლიდარობა მაშინაც შეიძლება არსებობდეს, როდესაც ზოგი მდიდარია, ზოგი კი - დარიბი. უფრო მნიშვნელოვანია, რომ ამ სხვაობას იწვევდეს ინდივიდუალური უნარები და ძალისხმევა და არა - პრივილეგიები.

სოფელს თავისი არაფორმალური მექანიზმები აქვს ეკონომიკურ უთანასწორობასა და სოფლის შეკრულობას შორის ბალანსის დასადგენად. მაგალითად, როდესაც სოფლის საერთო საქმისთვის სოფლის შიდა რესურსების აგრეგირებაა აუცილებელი, სოფელში მოქმედებს პროპორციულობის პრინციპი: „ვისაც რამდენი შეუძლია“. ამ შემთხვევაში სოფლის შეძლებული ოჯახებს უფრო მეტი მატერიალური წვლილი შეაქვთ სოფლის საერთო საქმეში.

²³ უფრო მეტიც, ეკონომიკური სითანაბრის (სხვაობა მდიდრებსა და დარიბებს შორის) გაფშირი სოფლის დანარჩენ ასპექტებთანაც ძალზე სუსტია. როგორც ჩანს, ეკონომიკური სითანაბრე არ არის ის განხომილება, რომელიც გავლენას ახდენს სოციალურ ურთიერთობებზე სოფლის შიგნით.

როგორც ჩანს, ინფორმაციის დამალვა, უსამართლო პრივილეგიების მოპოვების ერთ-ერთ ფორმად განიხილება. მაღალი შეკრულობის სოფლებში მოსახლეობა უფრო ხშირად იქრიბება ერთად სოფლის საერთო პრობლემებზე სამსჯელოდ და მათ მოსაგვარებლად. ამგვარ შეკრებებზე ხდება ეკონომიკური ინფორმაციის სწრაფი გაგრცელება.

ვინაიდან სოფლის შეკრულობა შეესაბამება სოფლის უნარს აწარმოოს საერთო რესურსები, ბუნებრივია ვივარაულოთ, რომ ის სოციალური კაპიტალის შესაბამისი კომპონენტის სიძლიერის ინდიკატორია, და სოფლის შეკრულობა მასში სოლიდარობის არსებობაზე მიუთითებს. ეკონომიკური სამართლიანობის განცდა კერძო რესურსების აგრეგირებისა და სოლიდარობის განცდის ზრდის ხელშემწყობ ფაქტორად გვევლინება. ამ შემთხვევაში უნდა ვაჩვენოთ, რომ შეკრულობა იმავდროულად ხელს უწყობს პოლიტიკური და ეკონომიკური, ასევე კერძო და ჯგუფური რესურსების თავსებადობას ("რეზონირებას").

სოფლის შეკრულობა პოზიტიურ კავშირშია სოფლის თვითმმართველობის კომპეტენციასთან. მიუხედავად იმისა, რომ შეკრული სოფლების რესპონძენტთა ნახევარზე ოდნავ მეტს, მაინც, სტეიტისტური განწყობა აქვს ("სოფლის პროდუქტების მოგვარებას სოფელი ვერ შეძლებს, ხელისუფლებამ უფრო მეტი რამ უნდა აიღოს თავის თავზე"), შეკრულ სოფლებში გაცილებით მეტია იმ რესპონძენტთა ხვედრითი წილი, რომლებიც თვლიან, რომ სოფელში ბევრია ისეთი პრობლემა, რომლის მოგვარებასაც თვითონ სოფლის მოსახლეობა შეძლებდა, უფრო მეტი თვითმმართველობა რომ იყოს:

ცხრილი 2.

	თვითმმართველობის მიმართ დადგებითი განწყობა
შეკრული სოფლები	41.7%
არაშეკრული სოფლები	6.9%

გარდა ამისა, შეკრულ სოფლებში თანასოფლელები უფრო ხშირად მსჯელობენ პოლიტიკაზე.

სოფლის შეკრულობა პოზიტიურად აისახება კერძო და ფართო ჯგუფური რესურსების თავსებადობაზე. ეკონომიკური სამართლიანობის განცდა, რომელიც შეკრულობასთან არის ასოცირებული, ქმნის ინდივიდუალურ (სიმდიდრე) და ჯგუფურ (თვითმმართველობა) რესურსებს შორის "რეზონირების" შესაძლებლობას რესურსების აგრეგირების პროცესში. "იყავი მდიდარი, მაგრამ იყავი, ასევე, სოფლის ლოიალური, რაც გულისხმობს სოფლის მხარეს ყოფნას იმათ წინააღმდეგ, ვინც მასზე უფრო პრივილეგირებულია" - ასე შეიძლება ითარგმნოს თავსებადობის ეს ნორმა.

რაც შეეხება შეკრულობისა და ეკონომიკური წარმატების ურთიერთმიმართებას, მათ შორის კავშირი ბევრად უფრო რთული აღმოჩნდა. შეკრულობისა და ინდივიდუალური სიმდიდრის წრფივი კავშირი მკაფიოდ დაიკვირვება პირველ კლასტერში და შეიძლება ნავარაუდევი იყოს დანარჩენ ორშიც, მაგრამ მთლიანობაში არ შეიძლება ითქვას, რომ უფრო შეკრული სოფელი უფრო მდიდარიც იქნება.

ამ ორ ცვლადს შორის ურთიერთობაში ერევა სხვა ფაქტორებიც, რომლებსაც აქვს მოდერაციული ეფექტი. ინდივიდების სიმდიდრეს, შეკრულობასთან ერთად, სხვა ფაქტორებიც განაპირობებს. ამ ფაქტორებიდან ზოგიერთი სოფლის გარეთაა და, შესაბამისად, სოფლის სოციალურ კაპიტალთან პირდაპირ არ არის დაკავშირებული, ზოგიერთი ფაქტორი კი სოციალური კაპიტალის შემდგომ განხილულ კომპონენტებს წარმოადგენს.

4.3. ბაზობადებული ნდობა

შეკრულობის გარდა, განზოგადებული ინტერპერსონალური ნდობა ("იმ ადამიანის მიმართ, ვისაც კარგად არ იცნობ, ნდობით უნდა განეწყო მანამ, სანამ რამე ცუდს არ ჩაიდენს") სოფლების კლასტერიზაციის მნიშვნელოვანი მასასიათებელი აღმოჩნდა.

ნდობასა და შეკრულობას შორის სუსტი პოზიტიური კავშირი დაიკვირვება. კვლევის მონაცემებით, შეკრული სოფლების ტიპიური რესპონდენტი ადამიანებისადმი უპირობო ნდობის ოდნავ უფრო მაღალ ხარისხს ავლენს. გარდა ამისა, თვლის, რომ მის სოფელში ადამიანები უფრო მეტად

ენდობიან ერთმანეთს, ვიდრე მისთვის ნაცნობ სხვა სოფ-ლებში.

ასევე, ნდობის არსებობა კავშირშია ფართო (სოფ-ლის დონის) ჯგუფური თანამშრომლობის პირობებში გაზიარებული ნორმების დაცვის ალბათობასთან. ნდობა პოზიტიურად კორელირებს სოფლის უნართან გადაწონოს გარე ზეგავლენები და თავის წევრებს მოსთხოვოს სათანადო ქცევა. იმ სოფლებში, რომლებიც სოფლის დაუწერებლი კანონების დამრღვევების მიმართ უფრო მკაცრია, რესპონდენტები უცნობი ადამიანების მიმართ ნდობის უფრო მაღალ ხარისხს ავლენენ.

სოფლის ეს უნარი - მოითხოვოს ლოიალობა თავისი მცხოვრებლებისგან - შეიძლება "ფართო ლოიალობის" ნაირსახეობად წარმოვიდგინოთ. ამდენად, ნდობასა და ფართო ლოიალობას შორის პოზიტიური კავშირი დაიკვირვება.

მიუხედავად ამისა, განხოვადებული ნდობა სოფლის შეკრულობისგან და ლოიალობისგან განსხვავებულ ფაქტორად გამოვლინდა და თანამშრომლობის სხვა ფორმებს დაუკავშირდა, და არა შეკრულობის ფაქტორში შემავალ ჯგურ ქცევას.²⁴

ნდობის ხარისხი მნიშვნელოვნად მაღალია უკვე განხილულ ორგანზომილებიან სივრცეში განლაგებული სოფ-ლების პირველ კლასტერში (48.9%; მეორე და მესამე კლასტერები: 16.7% და 13.3% შესაბამისად). ამრიგად, მეორე კლასტერი, რომელიც შეკრულობის მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება, იმავდროულად ნდობის უკიდურესად დაბალ მაჩვენებელს. მესამე კლასტერში ნდობის მაჩვენებელი კოდევ უფრო დაბალია.²⁵ მთლიანობაში, ნდობის ამგვარი გადანაწილება კლასტერებს შორის, მიანიშნებს იმაზე, რომ ნდობის ვარიაცია ჰორიზონტალური დერძის გასწვრივ უფ-

²⁴ ნდობის დონე კავშირშია სოფლის უნართან გამოიმუშაოს საერთო აზრი (A8). ოუმცა, შეკრულობისგან განსხვავებით, ნდობა ინდიფერენტულია გეონომიკური სამართლიანობის მიმართ (A 11).

²⁵ მეორე და მესამე კლასტერები განსხვავებულად აფასებენ საკუთარ სოფ-ლებს ნდობის თვალსაზრისით: მესამე კლასტერის რესპონდენტების მხოლოდ 8.9% მიიჩნევს, რომ მათ სოფლები ადამიანებს შორის მეტი ნდობა ვიდრე სხვა სოფლებში, ხოლო მეორე კლასტერში ამგვარი რესპონდენტები - 21.1%-ს შეადგენენ.

რო მნიშვნელოვანია, ვიდრე ვერტიკალური დერძის გახსწოვ.

კლასტერიზაცია გვიჩვენებს, რომ იქ, სადაც ნდობა მაღალია (პირველი კლასტერი), შეკრულობა და სიმდიდრე ერთმანეთთან ჭიდრო კავშირში იმყოფება, ხოლო იქ, სადაც დაბალია, ერთნაირი ეკონომიკური მდგომარეობის რესპონსებები შესაძლოა რადიკალურად განსხვავდებოდნენ შეკრულობის თვალსაზრისით (მეორე და მესამე კლასტერები).

ზემოთ, სოფლების აღწერისას აღინიშნა, რომ სოფლებს ახასიათებს გარკვეული ორდონიანობა - განსხვავებულობა იმათ შორის, ვინც მიიჩნევს რომ “ჭიქა ნახევრად სავსეა” ან “ჭიქა ნახევრად ცარიელია”. ეს სხვაობა შესაძლოა იყოს შედარებით რბილი, ან ძალიან რადიკალური. ასე, მეორე და მესამე კლასტერების რესპონსებები რადიკალურად განსხვავდებიან საკუთარი სოფლის განვითარების შეფასებისას: მეორე კლასტერის 66.7% მიიჩნევს, რომ სოფელი წინ მიდის და ვითარდება, მაშინ როდესაც მესამე კლასტერის 74.4% საკუთარ სოფელში ამგვარ წინსვლას ვერ ხედავს.

ხედვებისა და მოლოდინების ამგვარი განსხვავება უნდა აისახებოდეს ადამიანების დამოკიდებულებაზე სხვა ადამიანებთან თანამშრომლობის მიმართ. კერძოდ, მოსალოდნებლია, რომ ინდივიდები, რომლებიც ნდობის დაბალ მაჩვენებელს ავლენენ, ნაკლებად იქნებიან განწყობილი თანამშრომლობისკენ, რადგან ამ შემთხვევაში ზარალს უფრო მეტად ელიან, ვიდრე მოგებას.

ამდენად, ნდობის დაბალი დონე უნდა განაპირობებდეს, სხვა ფაქტორებთან ერთად, ერთის ნაცვლად, ორი კლასტერის წარმოქმნას სოფლების კლასტერიზაციის სიბრტყის მარჯვენა ნაწილში.

ნდობის ხარისხის გარდა, პირველ კლასტერს დანარჩენი ორისგან განასხვავებს საძოვრის ერთობლივი გამოყენების პრაქტიკა, გეოგრაფიული მდებარეობა და შემოსავლების სტრუქტურა.

ა. სამოვარი, ნახირი

მონაცემების სტატისტიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ თითქმის ყველა სოფელი, რომელშიც ნახირის რიგ-რიგობით მწყემსვის დაუწერებლი წესი და პრაქტიკა ფართოდაა გავრცელებული, პირველ კლასტერში ხვდება (გამონაკლისია

სოფელი ვაყა, რომელიც მეორე კლასტერში აღმოჩნდა). მეორე და მესამე კლასტერების სოფლებში ამგვარი პრაქტიკა ან არ არსებობს, ან არამყარია (წესები ხშირად ირდვევა). გარდა ამისა, პირველი კლასტერის სოფლების უმრავლესობაში არსებობს საერთო საძოვრით სარგებლობის დაუწერელი წესი (მაგ. გადასახადის გადახდა). მეორე და მესამე კლასტერების სოფლების უმრავლებაში ასეთი პრაქტიკა არ არის, რადგან მათ საძოვარი არა აქვთ. ამდენად, სოფლების კლასტერიზაცია შესაბამისობაში ნახირის ერთობლივი მწყემსვის და საერთო საძოვრის ფაქტორებთან. პირველ კლასტერში ნახირი და საძოვარი ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვანი კომპონენტია, მეორე და მესამე კლასტერში კი თანამშრომლობის ეს პრაქტიკა თოტჭმის არ არის.

ნახირის რიგრიგობით მწყემსვა, ისევე როგორც სამძიმარში მისვლისას ფულის მიტანა, სტატისტიკურად მეტ კავშირშია სიმდიდრის ჰორიზონტალურ განზომილებასთან, ვიდრე სოფლის შეკრულობასთან. ეს ქცევები მიმართულია არა საერთო, არამედ კერძო ინტერესების დაკმაყოფილებაზე.

ნახირი არ არის კერძო ინტერესების დაკმაყოფილებაზე მიმართული ქცევის ერთადერთი სახეობა, რომელიც ნდობის მაღალ ხარისხთან კორელირებს. იმ სოფლებში, ხადაც არსებობს საძოვარი, ასევე უფრო ხშირია არაფორმალური კოოპერატივების შექმნა. ამგვარი არაფორმალური გაერთიანებები მოსავლის ერთობლივ მოყვანა-გასაღებაზეა ორიენტირებული და პრაქტიკულად ქვემოდან ინიცირებული არაფორმალური გაერთიანებების ერთადერთი სახეობაა, რომელიც სოფლად დაიკვირვება.

მართალია, ამგვარი გაერთიანებების შექმნა ეყრდნობა ვიწრო **ჯგუფური დოიადობის** პრინციპს, მაგრამ ეს ლოიალობა ნდობასთან და ქსელურ ურთიერთობებთან მჭიდრო კავშირში იმყოფება. ის წნდება ნაცნობობისა და მეგობრობის სოციალური გამოცდილებიდან, ქსელური ურთიერთობების შედარებით მჭიდრო "ეგანძებიდან". კოოპერირებისკენ განწყობას ავლენენ ე.წ. "სამმაკაცოები", რომლებსაც ერთმანეთთან ნათესაობა ან მეგობრობა აკავშირებთ და წარმატებული კომუნიკაციის ხანგრძლივი ისტორია აქვთ.

ბ. სოფლის გეოგრაფია, დასახლების ტიპი

პირველი კლასტერი მეორე და მესამე კლასტერების-გან ასევე განსხვავდება გეოგრაფიული და პირველი კლასტერის კლასტერის გველა სოფლის (ერთი სოფლის გარდა) აღმოსავლეთ საქართველოშია განლაგებული. მეორე და მესამე კლასტერების სოფლები, (ასევე ერთი სოფლის გარდა), სამეგრელო-სა და გურიას მიეკუთვნება.

ის ფაქტი, რომ ზოგიერთ სოფლს აქვს ადგილი, სადაც ნახირს გამოაძოვებს, ზოგიერთს კი - არა, ნაწილობრივ დამოკიდებულია სოფლის ადგილმდებარეობაზე და დასახლების ტიპზე.

საქართველოს ტერიტორიაზე დაიკვირვება ორი ტიპის სოფლი: ე.წ. ხუტორული დასახლებები, სადაც საცხოვრებელი სახლები და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები ერთადაა, და მეორე ტიპის დასახლებები, სადაც საცხოვრებელი სახლები ერთმანეთთან ახლოსაა განლაგებული, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები და სამოვრებები კი სოფლიდან მოშორებულია. პირველი ტიპის სოფლები უფრო ხშირად გვხვდება დასავლეთ საქართველოში, მეორე ტიპის სოფლები კი აღმოსავლეთ საქართველოში.

თავად დასახლების ტიპის განსხვავებულობა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ბევრი ფაქტორით შეიძლება იყოს განპირობებული და კაუზალობის ჯაჭვი ღრმად მიდიოდეს ისტორიაში. არსებობს მოსახრება რომ გასულ საუკუნეებში კახოის სოფლების ხშირი დარბევის გამო ჩრდილო-კავკასიელთა მხრიდან, სოფლებში სახლები ერთმანეთთან ახლოს იყო განლაგებული. კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

უნდა ვიკარაჟდოთ, რომ ხუტორული ტიპის დასახლებაში, საერთო სარგებლობის მიწების არარსებობის გამო, კონცენტრირებული თანამშრომლობის საჭიროება შედარებით დაბალია, ხოლო თანამშრომლობის პრაქტიკის დაბალი დონე ინტერაქციების ნდობის დაბალ დონეშიც აისახება.

გ. ინდივიდების შემთხვევები

როგორც ზემოთ აღწერილი მიმართებები აჩვენებს, ნდობის მაღალი დონე უკავშირდება საერთო მატერიალური და არამატერიალური სიკეთეების მოხმარებას. ნდობა მაღალია იქ, სადაც არსებობს საერთო საძოვარი, სადაც სოფლის არაფორმალური წესები და ცხოვრების წესი დაცულია სან-

ქციების (ასევე არაფორმალური) ძალით ნდობით მდიდარ მოსახლეობაში უფრო მაღალია "აგრარული ოპტიმიზმი", მიწაზე მუშაობის განწყობა. ემპირიულად, მაღალი ნდობის პორობებში უნდა ველოდეთ აგრარული ტიპის კოოპერაციის უფრო ხშირ შემთხვევებს.

შეიძლება დაგვასკნათ, რომ მაღალი ნდობა უწყობს ხელს სოფლის ეკონომიკური რესურსების უფრო ეფექტურ გამოყენებას, მეტ თანამშრომლობას სოფლის ეკონომიკის ფარგლებში მისი ქსელური ჰორიზონტებური ურთიერთობების ხელშეწყობით.

თუმცა ადსანიშნავია, რომ ნდობის ხარისხი უფრო მაღალია იქ, სადაც შედარებით დაბალია სიმდიდრის მაჩვენებელი - ინდივიდუალური სიმდიდრის დერძის მარცხენა ნაწილში. შედარებით მდიდარი კლასტერები, რომლებიც ამ დერძის გასწვრივ მარჯვნივაა განლაგებული, ნდობის დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება. ეს, ერთი შეხედვით, ეწინააღმდეგება იმ ვარაუდს, რომ ნდობა ხელს უწყობს ინდივიდების სიმდიდრის ზრდას. ამდენად, დაბალი ნდობის სიმდიდრესთან ასოცირება დამატებითი ფაქტორების გავლენით უნდა აიხსნებოდეს.

ერთ-ერთი ასეთი ფაქტორი, შესაძლოა, სიტუაციურ ხასიათს ატარებს. ისტორიულად კახეთი (პირველი კლასტერი, აღმოსავლეთ საქართველო) ითვლებოდა აგრარულად მდიდარ რეგიონად, გურიისგან განსხვავებით, სადაც სოფლად ყოველთვის სიღარიბე სუფევდა. კახეთის სოფლებში ფულადი შემთხვევლის ძირითადი წყარო ყურძენია. რამდენიმე წლის წინ რუსეთის მხრიდან ქართულ ღვინოზე დაწესებული ემბარგო პირდაპირ აისახა კახეთის სოფლების ეკონომიკურ მდგრამარეობაზე და სოფლების მასობრივი გადარიცება გამოიწვია. შეიძლება ვივარაუდოდ, კვლევა რომ ემბარგოს განხორციელებამდე ჩატარებულიყო, სოფლების ორი კლასტერი, რომლებიც ახლოსაა შეკრულობის მაჩვენებლებით, უფრო ახლოს იქნებოდა ერთმანეთთან სიმდიდრის მაჩვენებლებითაც.

შეორენ, და უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც არღვევს პოზიტიურ სტატისტიკურ კავშირს ნდობასა და სიმდიდრეს შორის, არის ის, რომ სოფლის მოსახლეობის შემთხვევლების დიდი ნაწილი სოფლის მეურნეობასთან არ არის დაკავშირებული, ან, ყოველ შემთხვევაში, არ საჭიროებს აგ-

რარულ საკითხებზე კოპერირებას. უნდა გავითვალისწინოთ, რომ პორიზონტალური დერძი, სიმდიდრის ინდექსი, წარმოადგენს კომპოზიტს, რომლის მხოლოდ ერთი ნაწილი იწარმოება სოფლის შიდა რესურსებით. თუ სოფლის შემოსავლები მის გარეთ არსებული წყაროებიდან მომდინარეობს, ნდობის და სოფლის შეკრულობის ფაქტორების მნიშვნელობა სიმდიდრის შექმნის პროცესში კლებულობას.

მართლაც, შემოსავლების სტრუქტურით სამივე კლასტერი ერთმანეთისგან განსხვავდება. პირველი კლასტერი ძლიერადაა დამოკიდებული აგრარული პროდუქციის წარმოებაზე, თუმცა კი ამ პროდუქციის დიდი წილი იწარმოება მოხმარებისთვის, და არა გასაღებისთვის. მეორე კლასტერის სოფლებში ასევე მაღალია დამოკიდებულება აგრარულ წარმოებაზე, მაგრამ აქ პროდუქციის დიდი წილი ბაზარზე გასაყიდად იწარმოება, რითაც ფულადი შემოსავლები იქმნება. მესამე კლასტერში, სადაც ნდობაც და შეკრულობაც ყველაზე დაბალია, ხოლო ეკონომიკური სიმდიდრე დისპროპორციულად მაღალი შეკრულობისა და ნდობის მაჩვენებლებთან შედარებით, სოფლის გარეთ არსებული წყაროებიდან (სეზონური სამუშაოები) მიღებული შემოსავლების წილი უფრო მაღალია სხვა კლასტერებთან შედარებით.

შეიძლება ითქვას, რომ ნდობა მოცემულ კვლევაში წარმოჩნდა არა როგორც ინტენსიური ეკონომიკური თანამშრომლობის საწინდარი, არამედ როგორც მისი შედეგი. იქ, სადაც არსებობს საერთო რესურსით ერთობლივი სარგებლობის საჭიროება (საძოვრის ერთობლივი გამოყენება), ნდობა იზრდება. სასოფლო პროდუქციის უფრო ინდივიდუალიზებული წარმოება, თუკი ის ამგვარ თანამშრომლობას არ საჭიროებს, ნდობის ზრდას არ იწვევს. ხოლო გარე რესურსების მოპოვებაზე მიმართული აქტიობები უწყობს ხელს არა ნდობის, არამედ, როგორც შემდეგ ქვეთავში იქნება აღწერილი, კარგი რეპუტაციის მოპოვების სურვილს.

4.4. ჯგუფური ლოიალობა, რეაზტაცია

რესპონდენტების უმრავლესობას მიაჩნია, რომ წარმატების მისაღწევად ადამიანს კარგი რეპუტაცია სჭირდება. ამ განწყობის სიძლიერე თუ სისუსტე მნიშვნელოვნად განსხვავებულია კლასტერებს შორის. მას აქვს პოზიტიური კავშირი რესპონდენტების ისეთ ჯგუფურ ქვევასთან, რომელიც მიმართულია ასოციაციების შექმნაზე, გარე წყაროებიდან რესურსების მოპოვებაზე, სახელმწიფოსთან პროტესტისა თუ პეტიციის გზით ურთიერთობაზე. რეპუტაციული განწყობა სოციალური კაპიტალის იმ ელემენტს წარმოადგენს, რომელიც ხელს უწყობს ჯგუფური ლოიალობის წარმოქმნას გარე სამყაროსთან ურთიერთობათა კონტექსტში.

როგორც კვლევის მოდელიდან მომდინარეობს, იმისათვის, რომ სოფლის სოციალურმა კაპიტალმა სრულყოფილად იფუნქციონიროს, სოფლის შეკრულობასთან და განზოგადოებულ ნდობასთან ერთად მას სჭირდება მესამე კომპონენტი - ჯგუფური ლოიალობა. თუკი ჯგუფური ლოიალობა ძლიერია, ის ქმნის ჯგუფურ მიკუთვნებულობას და ჯგუფის ერთობლივ საკუთრებას, აადვილებს მეტნაკლებად სტაბილური ეკონომიკური კოოპერირების განხორციელებას შედარებით დანაწევრებულ ინტერესთა კონტექსტში. განზოგადოებული ნდობისგან განსხვავდით, რომელიც პოტენციურ პარტნიორებს არანაირ წინაპირობებს არ უყენებს, ლოიალობა შეიძლება განპირობებულ ნდობად წარმოვიდგინოთ: ის ხელს უწყობს თანამშრომლობას ისეთ ადამიანებს შორის, ვისი სანდოობა განპირობებულია გარკვეული ინტერესებისა ან იდენტობების თანხვედრით.

მაშინ, როდესაც ნდობა არ გულისხმობს წინასწარ ნაცნობობას, ურთიერთობების ისტორიას და მათ შემდგომ ხანგრძლივობას, ლოიალობა არის სოციალური რესურსი, რომლის შექმნა დროსა და განმეორებადი ურთიერთობების გამოცდილებას საჭიროებს. ისევე როგორც ჯგუფური საკუთრება, ის სტაბილურია და გაზიარებული. სწორედ, ამაში ემსგაგსება ლოიალობა ინდიკირდის რეპუტაციულ მახასიათებელს.

ლოიალობა დიდ როლს არ თამაშობს სოფლის შიგნით მიმართულ ქცევებში, ის არ იწვევს მოსახლეობის ჯგუფურ დანაწევრებას. სოფლიდ არ არსებობს ისეთი ლატენტური ინტერესთა კონფლიქტები, რომლებიც სოფლის შიგნით მოსახლეო-

ბის დაჯგუფებებად დანაწევრებისთვის რაციონალურ ექონომიკურ სტიმულს შექმნიდა. სოფელი არ იყოვა სტრატეგია, მასში არ შეიმჩნევა სეგრეგაცია, რომელსაც ჯგუფური მიკუთვნებულობა წარმოქმნიდა. არ დაიკვირვება, აგრეთვე, მდგრადი ექონომიკური კოოპერირება და ინსტიტუციონალიზებული ინტერესთა კონფლიქტი. ინდივიდუები იჩენენ დოიალობას საკუთარი ოჯახის, საძმაკაცოს და სოფლის მიმართ, მაგრამ ინდივიდუალური თუ ჯგუფური კონფლიქტები სოფლად რაციონალურად არ გადაიზრდება დამატებული ღირებულების მოპოვების მცდელობაში. სოფელი გარე სამყაროსგან დამოუკიდებლად რომ არსებულიყო, მისი ინტეგრაციისთვის შეკრულობა და ნდობა საკმარისი აღმოჩნდებოდა. სოფლის დოიალობა ამ ორისგან წარმოებულ შედეგს შეადგენდა.

მიუხედავად ამისა, სოფლად დაჯგუფებები და დაპირისპირებიც კი დაიკვირვება.²⁶ ერთიც და მეორეც უპავშირდება არა სოფლის შიგნით არსებულ წინააღმდეგობებს, არამედ გარე სამყაროსთან ურთიერთობების საკითხებს. სოფლის სიღარიბე და შიდა რესურსების სიმწირე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანს ხდის სოფლის გარეთ არსებული რესურსების უფრო ადგილად მოზიდვის მოთხოვნილებას. გარე რესურსების ხელმისაწვდომობა კი კარგი რეპუტაციის არსებობას მოითხოვს.

ის, თუ რამდენად მნიშვნელოვნად მიიჩნევა წარმატების მისაღწევად წესიერი ადამიანის სახელი და კარგი რეპუტაცია, მკეთრად განასხვავებს პირველ კლასტერს მეორე და მესამე კლასტერებისგან. თუკი პირველ კლასტერში 43% მიიჩნევს, რომ წარმატებას ცუდი რეპუტაციის ადამიანებიც ახერხებენ, მეორე და მესამე კლასტერებში ამგვარი რესპონძენტები პრაქტიკულად არ არიან: რესპონძენტთა 91% მეორეში და 89.5% მესამეში თვლიან, რომ "წარმატების მისაღწევად დღევანდელ

²⁶ კონფლიქტების გამომწვევი გარე ზეგავლენებისგან აღსანიშნავია პოლიტიკური გავლენა. იგი რესურსის ერთ-ერთ ისეთ სახეობას წარმოადგენს, რომელიც იწვევს მოსახლეობის პოლარიზებას. რესპონძენტების პარტიული პრეფერენცია ან აფილიაცია შესწავლილ ფაქტორთა შორის ყველაზე მეტად განაპირობებს სოციალურ დისტანციას (8.8%) და კონფლიქტებს (2.3), თუმცა, როგორც მონაცემები უჩვენებს, რესპონძენტთა უდიდესი ნაწილი (79.5%) მაინც მიიჩნევს, რომ ურთიერთობა სხვადასხვა პარტიის მხარდაჭერებს შორის სოფლის მცხოვრებთა ურთიერთობებში პრობლემებს არ ქმნის.

სიტუაციაში წესიერი ადამიანის სახელი და კარგი რეპუტაცია აუცილებელია".

ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ ნდობა და რეპუტაცია, სხვადასხვა კლასტერებში გადანაწილდა. პირველი კლასტერი ხასიათდება შედარებით მაღალი ნდობით და სკაპტიკური დამოკიდებულებით რეპუტაციის მნიშვნელობის მიმართ, ხოლო მეორე და მესამე კლასტერების რესპონდენტები არ ენდობიან უცნობ ადამიანებს, სამაგიეროდ კარგ რეპუტაციას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

თუკი რეპუტაციის დაფასება მაღალია იქ, სადაც მეტია გარე რესურსების მოპოვებისგან სწრაფვა, ის ხელს უნდა უწყობდეს ამ რესურსების მოპოვებაზე ორინეტირებულ ჯგუფურ ქცევასაც. გარე რესურსების წარო შეიძლება იყოს ბაზარი, სახელმწიფო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები. შესაბამისად, სოფლებში შეიძლება შეიქმნას კოოპერატივები, სათემო ორგანიზაციები და ასოციაციები.

ფორმალური ორგანიზაციების დასახელების მცირე სიხშირე საკვლევ მასივში²⁷ არ გვაძლევს შესაძლებლობას რომ სრული დარწმუნებულობით გამოვალინოთ მიმართება სოფლების კლასტერებსა და ამგვარი ორგანიზაციების სიხშირეს შორის.

მიუხედავად ამისა, მონაცემები მიუთითებს იმ ტენდენციაზე, რომ კარგი რეპუტაციისთვის უფრო მეტი მნიშვნელობის მინიჭება საჯარო გაერთიანებებისა და გარე რესურსების მოპოვებაზე მიმართული ორგანიზაციების შექმნასთან პოზიტიურად არის დაკავშირებული. ამგვარი ასოციაციების დიდი უმრავლესობა მეორე და მესამე კლასტერებშია მოქცეული.

²⁷ გამოკითხული რესპონდენტების მხოლოდ 18.2% მიუთითებს, რომ მათ სოფელში უმუშავია არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელსაც საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები უქერენ მხარს. დაბალი სიხშირე მეტნაპლებად დამახასიათებელია საქართველოში არსებული მდგომარეობისთვის; უფრო მეტიც, თვისებრივი კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შეჩევაში რამდენიმე სოფელი მოხვდა სწორედ იმის გამო, რომ იქ იყო ფორმალური ორგანიზაცია, რომელსაც ჰქონდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის გამოცდილება. ამდენად, თუ ჩატარდებოდა აბსოლუტურად რეარეზენტატული კვლევა საქართველოს მასშტაბით, მონაცემი უფრო დაბალი იქნებოდა.

გარე რესურსების მოპოვებაზე ორიენტირებული სოფელი, ასევე, უფრო განწყობილია იბრძოლოს საკუთარი ინტერესებისთვის სახელმწიფოს პირისპარ. კერძოდ, ის სოფლები, რომლებსაც აქვთ ხელისუფლების მიმართ ერთობლივად პროტესტის გამოხატვის, ან ხელისუფლებისადმი პეტიციით მიმართვის პრაქტიკა, ასევე მეორე და მესამე კლასტერებშია მოქცეული.

რესპონდენტების მთლიანი მასივის ანალიზი აჩვენებს, რომ არსებობს ფაქტორი, რომელიც რეპუტაციის მნიშვნელობის ხაზგასმას რესპონდენტის რამდენიმე სხვა მახასიათებელთან აკავშირებს. სოფელში მშობელთა გაერთიანების არსებობა, სპორტული სამოცვარულო კლუბის ფუნქციონირება, ხელისუფლების მიმართ პროტესტის გამოხატვა და ისეთი ორგანიზაციისა თუ ასოციაციის არსებობა, რომელსაც უცხოელები ეხმარებიან, ამ ფაქტორთან პოზიტიურ კავშირში გვვლინება. ამ ფაქტორთან (სუსტ) უკუკავშირს აჩვენებს სოფლის შეკრულობასთან და ნდობასთან ასოცირებული თითქმის ყველა მახასიათებელი. როგორც ჩანს, ფორმალური ორგანიზაციების შექმნის მიმართ პოზიტიურად განწყობილი რესპონდენტები ავლენენ ორიენტაციას, რომელიც მიმართულია სოფლის გარეთ, და არა სოფლის შიგნით.

ამდენად, ჩვენ ვხედავთ, რომ არსებობს გავლენები, ტენდენციები, რომლებიც ნდობასა და რეპუტაციას, როგორც თანამშრომლობის განმაპირობებელ ფაქტორებს, ერთმანეთს უპირისპირებს. როგორც ნდობა, ასევე რეპუტაცია, სოციალური კაპიტალის ელემენტებს წარმოადგენს. მიანიშნებს თუ არა ამგვარი ტენდენციის არსებობა იმაზე, რომ სოციალური კაპიტალი სოფლად ნაკლებია, ანუ მისი ერთი ელემენტი შესაძლოა მეორე ელემენტთან არ "რეზონირებდეს", და უფრო მეტიც, ასუსტებდეს კიდევ მას?

ქვიშის საათის მოდელს თუ გავიხსენებთ, შეიძლება ითქვას, რომ ნდობა ამ ქვიშის საათის ქვედა ნაწილში ფუნქციონირებს, ხოლო რეპუტაცია მის ქვედა და ზედა ნაწილებს შორის ვიწრო ექლს აფართოებს. როგორც რეპუტაცია, ასევე საჯარო/ფორმალური გაერთიანებები, ქვიშის საათის ქვედა და ზედა ნაწილის დაკავშირებას უწყობს ხელს. ნდობა კი ხელს უწყობს გაჭირვებაში მყოფ თანასოფლელებს მოაგვარონ თავისი პრობლემები და

ერთმანეთთან მხარში დგომით გადალახონ სირთულეები. რეპუტაცია წარმატებისკენ ორიენტირებულ ქვევას უკავშირდება, წარმატება კი სოფლისადმი გარე სამყაროსგან მომდინარეობს, ქვიშის საათის ზედა ნაწილში მოიპოვება. შეკრულობა, ისევე როგორც ნდობა, ქვიშის საათის ქვედა ნაწილში ფუნქციონირებს, და ამ სიგრცეს ზედა ნაწილისგან ავტონომიას ანიჭებს.

ქვიშის საათის ფენომენის ქმნიან სწორედ ის გავლენები, რომლებიც, აგრეთვე, იწვევენ გარკვეულ დაძაბულობას რეპუტაციას, ნდობასა და შეკრულობას შორის. ისინი ადამიანს თავისი სოფლისადმი ლოიალურობისგან განთავისუფლებისკენ და ავტონომიურობისკენ უბიძგბენ. ინდივიდი, რომელსაც ქვიშის საათის ვიწრო ყელოთა აქვს საქმე, ქვიშის საათის ზედა და ქვედა ნაწილებთან მიმართებაში ყოველთვის დადგება შემდეგი კითხვის წინაშე: ვის მიმართ უნდა იყოს ლოიალური და ვის თვალში უნდა ჰქონდეს კარგი რეპუტაცია? ამ ინდივიდზე ყოველთვის იმოქმედებს ის ძალთა ბალანსი, რომელიც ქვიშის საათის ორ ნაწილს შორის არსებობს. ეს ძალთა ბალანსი მას ორი საპირისპირო მიმართულებით - სოფლისკენ თუ სოფლის გარეთ - ორიენტაციას შორის არჩევანის გაკეთებას კარნახობს.

ადამიანი, რომელიც ზრუნავს კარგ რეპუტაციაზე და სჯერა, რომ საჯარო იმიჯი, სიმბოლური კაპიტალი, რომელსაც ის რეპუტაციის მეშვეობით იძებს, ინდივიდუალური წარმატების მომტანია, უფრო იოლად შედის განსაჯაროებულ და/ან ფორმალიზებულ გაერთიანებებში. ამდენად, კარგი რეპუტაციის დაფასების მაღალი დონე, რომელიც მთლიანობაში საკვლევ მასივს ახასიათებს (მიუხედავად კლასტერებს შორის განსხვავებისა, საშუალო რესპონძენტი რეპუტაციას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს), სოფლად საჯარო/ფორმალიზებული ასოციაციების შესაქმნელად კარგი საწინდარი უნდა ყოფილიყო. ამგვარი ასოციაციების/გაერთიანებების სიმცირე, ამდენად, არა სოფლის, არამედ მისგან დამოუკიდებლად არსებული ვითარების შედეგია. ამ ვითარებისა და გარე ფაქტორების ანალიზი მოცემული იქნება შემდეგ თავში, რომელიც სოფლად არსებული გაერთიანებების ინსტიტუციურ ანალიზს მიეძღვნება.

თავი 5. სოფლად არსებული გამოყოფილობები: 06სტიტუციური ანალიზი

სოციალური წესრიგის ინსტიტუციური სტაბილობა, ინსტიტუტებისა და სოციალური კაპიტალის გარდა, მოითხოვს ორგანიზაციების არსებობას. ორგანიზაცია აქტოინებს გარკვეულ ჯგუფს და კოორდინირებას უწევს მის მოქმედებას. ორგანიზაციები შეიძლება დაიყოს ორ ტიპად: მხარდაჭერთა (adherent) ორგანიზაცია, რომელიც თვითწარმოქმნადია და მხოლოდ მის წევრთა ინიციატივას უფლებება; და კონტრაქტული ორგანიზაცია, რომელიც თვითწარმოქმნადია დაინტერესებულობის გარდა, გარე სანქციების მეშვეობითაც ამჟარებს. (North, 2009, გვ.15-16). პირველი შესაძლოა არაფორმალიზებული სახით არსებობდეს, ვინაიდან მისი მდგრადობა სანქციებს არ მოითხოვს. მეორე საჭიროებს არტიკულირებულ წესებს, ფორმალიზებას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია მესამე მხარე, გარე აქტორი, იყოს ჩართული სანქციების გზით ორგანიზაციის სტაბილობის უზრუნველყოფაში.

კონტრაქტული ორგანიზაცია, როგორიც არ უნდა იყოს მისი მისია: მოგების მიღება, სერვისის მიწოდება თუ საერთო სიკეთის შექმნა, წარმოადგენს ჯგუფური საკუთრების ფორმას. ორგანიზაციის წევრები უნდა იჩენდნენ ლოიალობას მის მიმართ, და მას უნდა გააჩნდეს საკუთრება, როგორც მატერიალური, ასევე სიმბოლური კაპიტალის სახით (მაგ. ბრენდი). ასევე, ორგანიზაციის სტირდება ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები, რომლებსაც სტიდებათ კარგი რეპუტაცია წარმომადგენლობის/მენეჯმენტის განსახორციელებლად. ამდენად, ორგანიზაცია განიცდის იგივე საპირისპირო ტენდენციების გავლენას, რომლებიც ართულებენ სოფლად ჯგუფური საკუთრების დამკაიდრებას (იხ. ქვეთავი 4.4.).

როგორც კვლევამ აჩვენა, სოფლად ორგანიზაციები ფართოდ გავრცელებული არ არის. დაიკვირვება ინიციატივები, რომლებიც მიმართულია მეტწილად მოკლევადიან კოოპერირებაზე და გარედან ინიცირებული ფორმალური გაერთიანებები, რომლებსაც, აგრეთვე, აკლია სტაბილურობა. ამგვარი გაერთიანებები შესაძლოა განვიხილოთ როგორც ნებაყოფლობით შექმნილი ორგანიზაციების პროტოტიპები და

გავაანალიზოთ ის ტენდენციები, რომლებიც მათ სტაბილობას უშლის ხელს.

5.1. პრაზორმალური პოლიტიკა

მოგებაზე ორიენტირებული არაფორმალური კოოპერირების ანალიზი აჩვენებს, რომ ამგვარი თანამშრომლობის სირთულეები უფრო მეტად უკავშირდება ინსტიტუციურ პრობლემებს ("ვიწრო ყელის" ფენომენი) და რაციონალური დაინტერესების სისუსტეს, ვიდრე სოციალური კაპიტალის ნაკლებობას.

როგორც ითქვა, მოგებაზე ორიენტირებული ეკონომიკური კოოპერირება ხდება ვიწრო ჯგუფებში, რომლებიც შეკრულია არაფორმალური ურთიერთობებით, "საძმაკაცოებში". ამგვარი გაერთიანებები ხშირი არ არის. კვლევამ უწვენა, რომ მოსახლეობის დამოკიდებულება ეკონომიკური კოოპერირების მიმართ საკმაოდ სკაპტიკურია. გამოკითხულთა მხოლოდ 30.7% თვლის, რომ წარმოების პროცესში ოჯახების გაერთიანებამ შესაძლოა დადგითი შედეგი გამოიღოს.

როგორც ადგილობრივები ხშირად მიიჩნევენ, ფორმალიზებულ ეკონომიკაში ჩართვა სოფლის კოოპერატივებისთვის რაციონალურად მომგებიანი არ არის. მაშინაც კი, როდესაც კოოპერატივი იქმნება როგორც უფრო ფართო და ფორმალიზებული ორგანიზაციი (მაგ. დონორების დახმარებით კარტოფილის მოყვანაზე თრიენტირებული კოოპერატივები სამცხე-ჯავახეთში), ისინი ორმაგი სტანდარტით ფუნქციონირებს: დონორებისთვის ქაღალდზე ფორმალურად არსებობენ, მაგრამ რეალურად პროდუქციას "თეთრ" ბუღალტერიაში არ ატარებენ.

თვითინიციატივით შექმნილი, რამდენიმე თჯახისგან შემდგარი გაერთიანება, ერთგვარი დახურული სისტემაა, რომელიც არ მიისწრაფების გაფართოებისკენ და ახალი წევრების ინკორპორაციისკენ. ამგვარ მცირემასშტაბიან გაერთიანებებში თამაშის წესები ექსპლიციტურად არტიკულირებული არ არის. სწორედ ამის გამო, ახალი წევრების ინკლუზისთვის გაერთიანება დახურულია: "ჩვენ ჩვენებური ურთიერთგაბება გვაქვს, ახალი ხალხი ამას ვერ გაიგებს და ვერ აგვევება" (ერთ-ერთი გაერთიანების წევრი).

არაფორმალურ ურთიერთობებზე დამყარებული ჯგუფები, რომლებიც ზედმეტ საჯაროობას ერიდებიან, განიცდიან მდგრადი ფუნქციონირებისთვის აუცილებელი "თამაშის წესების" ინსტიტუციონალიზაციის პროცესების გაურკვევლობა პირველ რიგში ეხება ორი რესურსის გადანაწილებას: გადაწყვეტილებების მიღებაში თანამონაწილეობა და მოგების გადანაწილება.

ნორმატიულად, ამგვარი ეკონომიკური კოოპერირებისთვის საჭირო სამართლიანობის პრინციპი სოფლებში გაცნობიერებულია. მაშინ, როცა საერთო სიკეთის ფორმირებას შეესაბამებოდა აგრეგირება, პრინციპით "ვის რამდენი შეუძლია", ხოლო ინდივიდუალური ეკონომიკური ინტერესები ექვემდებარებოდა გაცვლას, სითანაბრის პრინციპზე დაყრდნობით (რასაც გავცემ იმდენივე დამიბრუნდება), ეკონომიკურ კოოპერირებას სჭირდება წარმოებული დამატებული ღირებულების პროპორციული გადანაწილება (მოგების წილი უნდა შეესაბამებოდას შენატანის ოდენობას). ეს პრინციპი აღიარებულია, როგორც სამართლიანი, მაგრამ მისი პრაქტიკული განხორციელება ეკონომიკურ ჯგუფებში ბევრ სირთულეს აწყდება.

მოგების გადანაწილების საჭიროება, რომელიც იმავდროულად ჯგუფის "ექსპლუზიურობის" მახასიათებელს ქმნის, მკეთრად განასხვავებს ამგვარ კოოპერაციას ნდობაზე დაფუძნებული პორიზონტალური თანამშრომლობისგან, რომელიც არ გულისხმობს მოგების მიღებას და მხოლოდ თანასოფლელთა რესურსების აკუმულირებაზეა მიმართული (რისკების დაზღვევა).

ამგვარი თანამშრომლობის შემთხვევაში "თამაში" იმდენად მარტივია, რომ პროცედურაც თავისთვად იგულისხმება (მაგ. ლატარიის თამაში), ხოლო კოოპერირების პროცესში სირთულეები არ ჩნდება. გამოკითხულ რესპონდენტთა 37.4% ადასტურებს, რომ მათ სოფელში დატარიის თამაში ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა. ამ რიგის "ამოცანას" მიეკუთვნება, აგრეთვე, ნახირის კოლექტიური მოვლა, რომელიც თემის მასშტაბით ეკონომიკური კოოპერირების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პრაქტიკაა. სამართლიანი თამაშის წესი ეყრდნობა პროპორციულობის მარტივ პრინციპს: საქონლის პატრონის მიერ მენახირისთვის გადასახდელი თანხა პროპორციულია ნახირში მისი ძროხე-

ბის რაოდენობისა. ამ პრიციპზე დაყრდნობით, აგრეთვე, ადვილია ოპორტუნისტული ქცევის გაკონტროლებაც. წესების დამრღვევთა (ე.წ. free rider) ანონიმურად დარჩენა და სხვების ხარჯზე გამოძრომა, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

განსხვავებით ამ მარტივი წესებისგან, მოგებაზე ორიენტირებული კოოპერირება უფრო კომპლექსური გადაწყვეტილებების მიღებასა (მაგ. პროდუქტის ერთობლივი წარმოება და გასაღება), და უფრო რთულად შესაფასებელ და განსხვავებულ ქონებრივ შენატანს (ტექნიკა, მიწა, ფული, შრომა, ცოდნა)საჭიროებს. ექსპლიციტური წესების გარეშე, წილობრივი თანაფარდობის დადგენა ამ მრავალფეროვან რესურსებს შორის მეტად რთულია. ეს არ აძლევს მათ მკაფიო შეთანხმების მიღწევისა და ოპორტუნისტების დასჯის შესაძლებლობას. უთანხმოების შემთხვევაში ხშირია კოოპერატივის დაშლა და თანამშრომლობის შეწყვეტა.

ძირითადი სირთულე, რომელიც წილობრივ შენატანებს ეხება, მდგომარეობს რესურსების ორმაგ ხასიათში. ზოგიერთი რესურსი (პირველ რიგში შრომა) სოფლისთვის "შიდაა", ხოლო სხვა - მაგალითად, ცონდა ან კრედიტი - გარე. შესაბამისად, ეს რესურსები სხვადასხვა წესით ფუნქციონირებს: შრომა სითანაბრის, ხოლო ცოდნა - წარმატების (დამატებული ღირებულების) პრიციპით. თუკი მოგება გადახანტილდა გაწეული შრომის შესაბამისად, უკმაყოფილო რჩება ის, ვინც მეტი ცოდნა ან კრედიტი უზრუნველყო; თუკი მოგების მეტი წილი ხვდება იმათ, ვინც მიიჩნევს რომ წარმატებისთვის საჭირო ცოდნა ან კრედიტი მოზიდა, განაწყენდება ის, ვინც მეტი იმუშავა.

წესების ორაზროვანი ბუნება ხელს უშლის, ასევე, გადაწყვეტილებების მიღების პროცესს. შიდა წესებზე დაფუძნებული პროცედურა მიმართულია მსჯელობაზე, ყველა აზრის გათვალისწინებაზე და კონსენსუალურ მმართველობაზე. ის, ფაქტობრივად, პირდაპირი დემოკრატიის ფორმაა. გარე წარმატებაზე მიმართული, ინსტრუმენტული აქტივობა კი მოითხოვს პირველ რიგში კვალიფიკაციის გათვალისწინებას და ეფუძნება რეპუტაციის ფაქტორს, რომელიც, ნაწილობრივ მაინც, გარე სამყაროს მიერ იქმნება და ხოგჯერ საერთო აზრის საპირისპიროდაც მოქმედებს. წარმატებისთვის საჭირო კვალიფიკა-

ციის შესახებ ერთიანი წარმოდგენების არარსებობა ქმნის ვიწრო ყელს შიდა და გარე წესებს შორის.

თამაშის წესების გაურკვევლობისა და კოოპერაციის არამდგრადობის გამო გლეხები უფრო ხშირად, ორიენტაციას იღებენ მოკლევადიან პროექტებზე. მათ ყველასთვის მისადები “თამაშის წესების” შემუშავების იმედი არ აქვთ მაშინაც კი, როდესაც კოოპერირება რაციონალურად მიაჩნიათ: “ზოგს მიწა არ ყოფნის, ზოგს ტრაქტორი აქვს, ზოგს ნაკლები რესურსი აქვს, მაგრამ მეტი ცოდნა აქვს” (კახეთის სოფლის მცხოვრები).

მოკლევადიანი პროექტებთან დაკავშირებული რისკების მართვა გაცილებით მარტივია:

“გვირჩევნია ერთწლიანი მემცენარეობის დარგში ვითანამშრომლოთ. თუ თანამშრომლობა არ გამოვა, დაშლა ადვილია. ერთად რომ ჩაყარო ვენახი, დიდი რისკია. მერე დიდი ხანი უნდა იყოთ ერთად. ზოგს ძვირიანი სასუქი მოუნდება, ზოგს იაფიანი. ზოგს ადრე შეწამვლა მიაჩნია სწორად, ზოგს უფრო გვიან”. (კახეთის სოფლის მცხოვრები).

რაოდენობრივი კვლევის შედეგებიც გარკვეულწილად ადასტურებს თვისებრივი კვლევის ეტაპზე მიღებულ დაკვირვებებს.

რესპონდენტთა დიდი ნაწილი (28.8%) მიიჩნევს, რომ მდგრად კოოპერირებას ხელს უშლის სწორედ “თამაშის წესებთან” დაკავშირებული სირთულეები. მათი აზრით ადამიანებს გაუჭირდებათ ისეთი სისტემის შემუშავება, რომელშიც შესაძლებელია ერთობლივი და სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღება. ადამიანებს შორის უნდობლობას კოოპერირებისთვის ხელისშემშლელ მიზეზად მხოლოდ 3.3% მიიჩნევს. რაც შეეხება, კოლმეურნეობებთან დაკავშირებულ უარყოფით ისტორიულ მესხიერებას, კვლევა უწევებს, რომ ამ ფაქტორს ხშირად გაზიადებულ მნიშვნელობას ანიჭებუნ. კოოპერირებისთვის ხელისშემშლელ მიზეზად მას რესპონდენტების მხოლოდ 8.4% მოხსენიებს.

რესპონდენტების ყველაზე დიდი ნაწილი საერთოდ ვერ ასახელებს სპეციფიურ მიზეზს, რომელიც ხელს უშლის უფრო ინტენსიურ კოოპერირებას სოფლად: “ყველას თავისთვის ურჩევნია” (39.1%).

გადაწყვეტილებების მიღებისა და მოგების გადანაწილების წესების არარსებობა, და, შესაბამისად, თანამშრომლო-

ბის მოკლევადიანი ორიენტაცია, მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს ჯგუფური საკუთრების ინსტიტუციური ჩამოყალიბების უწინარობა.

5.2. უორმალური გაერთიანებები

როდესაც სოფლად იქმნება შედარებით ფართო გაერთიანება, რომელსაც უნდა ჰქონდეს არტიკულირებული თამაშის წესები და სტრუქტურა, ეს, როგორც წესი, ხდება გარე აქტორების ზემოქმედებით. ამგვარი გაერთიანება შესაძლოა წაახალისოს ან დააფინანსოს კიდეც საერთაშორისო დონორმა ორგანიზაციამ (მაგ. რძის მწარმოებელთა ასოციაცია), მმართველობის ორგანოებმა (მშობელთა გაერთიანება), გრანტების გამცემმა (არასამთავრობო ორგანიზაცია), პარტიამ (პარტიის ადგილობრივი განყოფილება).

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ქვემოთ განხილული იქნება სამი ტიპის ფორმალიზებული ორგანიზაცია, რომელებიც საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერაა მხარდაჭერილი საქართველოს სოფლებში. ესენია: სათემო ორგანიზაციები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მწარმოებელთა ასოციაციები და პროდუქტის მწარმოებელთა კოოპერატივები.

სათემო ორგანიზაციების განვითარების პროგრამების მიზანია თემის გაძლიერება კოლექტიური ქცევის წარმატებული, გრძელვადიანი მოდელების ჩამოყალიბების გზით. თუ კვლევის თეორიულ მოდელს მოვიხმობთ, სათემო ორგანიზაციების მიზანია სოფლისთვის საერთო სიკეთის, საერთო საკუთრების წარმოება.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მწარმოებელთა ასოციაციების მიზანია წევრთა რესურსების აკუმულირების გზით მოხდებს ისეთი სერვისების ან საქონლის შეძენა, რომელთა მოპოვება ცალკეული წევრების რესურსებით შეუძლებელია და, შესაბამისად, ტრანსაქციული ფასების შემცირება. ძირითადად, ასოციაციები მოქმედებენ არასამთავრობო, მოგებაზე არაორიენტირებული ორგანიზაციის პრინციპით. ისევ კვლევისთვის შემუშავებული თეორიული მოდელის შესაბამისად, ასოციაცია შეიძლება მოვიაზროთ, როგორც ჯგუფური საკუთრების ფორმა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიზანია რესურსების აგრეგირება პროდუქციის წარმოების პროცესში. კოოპერატივები ფუნქციონირებენ, როგორც მოგებაზე ორიგენტირებული ორგანიზაციები. კვლევის თეორიულ მოდელში კოოპერატივების ფუნქციას წარმოადგენს კერძო რესურსების ზრდა. მათი საქმიანობის ციკლის ბოლო ეტაპია მოგების განაწილება წევრებს შორის.

როგორც საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტების ანალიზი უზვენებს, ამგვარი ორგანიზაციებისთვის დამახასიათებელი ზოგადი პრობლემაა მათი არამდგრადობა. ორგანიზაციების უმრავლესობა მეტ-ნაკლები წარმატებით ახორციელებს პროექტს, რომელიც გრანტითა უზრუნველყოფილი. ამ რესურსის ამოწურვის შემდეგ კი წყვეტს ფუნქციონირებას.

როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების ადგილობრივი კოორდინატორები მიუთითებენ, ამ ტიპის ორგანიზაციებში ხდება მიზნის ჩანაცვლება საშუალებით. გრანტი, რომელიც ჩაფიქრებულია, როგორც “პირველი ბიძგი” ორგანიზაციის შემდგომი მუშაობისთვის, ხდება ორგანიზაციის მიზანი.

“ამ ტიპის ორგანიზაციები გადაიქცა გრანტის გადამუშავებელ საწარმოებად” (საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის ადგილობრივი კოორდინატორი).

ორგანიზაციები სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილის ინტერესის მიღმა რჩება. ისინი ვერ ავსებს სახელმწიფო და კერძო სფეროს შორის არსებულ ცარიელ სივრცეს. მოსახლეობის ჩართულობა, როგორც მიზანი, მიუღდვებული რჩება.

მოსახლეობის დამოკიდებულება საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილი ორგანიზაციების მიმართ დადებითია (91.7%), მაგრამ ეს არ გულისხმობს ამგვარ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის და მათ საქმიანობაში მონაწილეობის სურვილს. გამოკითხული რესპონდენტების 18.2%-მა მიუთითა, რომ მათ სოფელში არსებობს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის ხელშეწყობით დაფუძნებული ორგანიზაცია, თუმცა ორგანიზაციებში წევრობის მაჩვენებელი ძალზე დაბალია. იმ სოფლებში, სადაც საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების აქტიობაზე მიუთითებენ, გამოკითხულთა მხოლოდ 4.6%-ია სათემო ორგანიზაციების ან ასოციაციების წევრი. ხშირად, იმ სოფლებში, სა-

დაც ასეთი ორგანიზაციები არის, რესპონდენტებმა არ იციან მისი არსებობის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები, როგორც წესი, ზრუნავებ მოგანიზაციის "ქვეყნიდან ზევით" შექმნაზე, მის დაფუძნებაზე სოფლის თვითონიციატივაზე, დაინტერესებაზე და მდგრადობის უზრუნველყოფაზე, მათ მიერ მხარდაჭერილი ორგანიზაციების ფუნქციონირების ლოგიკა, ნაწილობრივ მაინც, სოფლის სოციალური კაბიტალის საპირისპირო მიმართულებით მოქმედებს. ეს გამოწვეულია იმით, რომ ამგვარი ჯგუფები მიმართულია სოფლის გარეთ არსებული რესურსების მოპოვებაზე, და, ამდენად, ჩართულია იმ ურთიერთობებში, რომლებიც სოფლის გავლენის მიღმა მდებარეობს. ქვიშის საათის მოდელის მოშველიებით, შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი ორგანიზაციები ქვიშის საათის ვიწრო ყელის ხაფანგში ხვდება. ამის გამო, მათ უწევს ქვიშის საათის ორივე ნაწილისთვის დამახასიათებელი სტანდარტების გათვალისწინება. ეს სტანდარტები კი ხშირად არ ემთხვევა, ზოგ შემთხვევაში - კი ეწინააღმდეგება კიდევ ერთმანეთს.

ფორმალური ორგანიზაციების ინიცირება ხდება სოფელში არსებული სოციალური კაბიტალის საფუძველზე. შემდეგ კი ეს ხერხდება ისეთი ექსპლიციტური თამაშის წესების ჩამოყალიბება, რომლებიც მისაღები იქნებოდა ქვიშის საათის ორივე ნაწილისთვის. თუ ინსტიტუციურ მიღვმას მოვიშველიებთ, თამაშების წარმატებული პატერნები გრძელვადიან პერსპექტივაში გარდაიქმნება ინსტიტუციურად (ინსტიტუტები გაგებული, როგორც თამაშის ექსპლიციტური წესები). ჩატარებული კვლევა გვიჩვენებს, რომ საქართველოს სოფლებში შედარებით მდგრადი და გრძელვადიანი თამაშების წარმატებული პატერნები ფორმალური ორგანიზაციების შემთხვევებაში თითქმის არ დაიკვირვება²⁸.

არსებობს რამდენიმე გარე ფაქტორი, რომელიც ფორმალური გაერთიანებების ფუნქციონირებას აფერხებს. ესენია: გარეპენტული ასიმეტრია გარე აქტორების მიერ მხარდაჭერილი ორგანიზაციების ფორმალური წესებსა და სოფლად მოქმედ

²⁸ წარმატებულს ვუწოდებთ თამაშს, რომლის დროს ხდება ქვიშის საათის ზედა და ქვედა ნაწილში არსებული ვექტორების შესაბამისობაში, რეზონირების მდგრადარებაში მოყვანა

არაფორმალურ ნორმებს შორის; გარე რესურსის ექსკლუზიური ხასიათი; ინსტიტუციური გარემოს არასტაბილურობა.

ამ ფაქტორთაგან თითოეული სხვადასხვა “წონით” მონაწილეობს ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილი სამი ტიპის ფორმალური გაერთიანებების წარუმატებლობაში. ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ როგორ აისახება ამ ფაქტორების მოქმედება სათემო ორგანიზაციების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მწარმოებელთა ასოციაციებისა და კოოპერატივების ფუნქციონირებაზე.

ა. სათემო ორგანიზაციები

სოფლად ქვემოდან წამოსული ინიციატივით ფორმალური სათემო ორგანიზაციების (ასოციაციების) შექმნის პროცესი არ დაიკვირვება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოფლის შიგნით არსებული რესურსების მობილიზაციას გაჭირვებაში ჩავარდნილი თანასოფლელის მიმართ სოლიდარობის გამოსახატად ან სოფლის საერთო სიკეთის შესაქმნელად სოფელი არაფორმალური წესების მეშვეობით ახერხებს.

ფორმალური ორგანიზაციების ჩამოყალიბება ხდება საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით.

როგორც წესი, საერთაშორისო დონორი ორგანიზაცია შედის სოფელში საგრანტო წინადაღებით, რომლის მიზანია სოფლის საერთო სიკეთის (მაგ. გზა, ხილი, და ა.შ) შესაქმნელად დაფინანსების დიდი ნაწილის (დაახლოებით, 60-80%) მიღება. პროექტი გულისხმობს სოფლის ფინანსურ ან შრომით მონაწილეობას.

სოფლის კრება იდებს გადაწყვეტილებას სოფლის პრიორიტეტული პროექტის შესახებ და ირჩევს აქტივს, რომელსაც აქვს ურთიერთობა გარე დამფინანსებელთან. სწორედ ეს აქტივი შეიძლება წარმოვიდგინოთ იმ მექანიზმად, რომელიც ამ შემთხვევაში ქვიშის საათის ზედა და ქვედა ნაწილს უნდა აკავშირებდეს. თვისებრივი კვლევის ეტაპზე გამოვლინდა, რომ ამგვარი სცენარი ხშირ შემთხვევაში სოფლის შეკრულობის საწინააღმდეგოდ მოქმედებს: იმის გამო, რომ წვდომა და კონტაქტი გარე რესურსთან აქვს ე.წ. აქტივს, ჩნდება ხოლმე უნდობლობა მის მიმართ. მაგ. სოფლის მცხოვრებლებს არ სჯერათ, რომ პროექტი ითხოვს უფასო შრომას; ჩნდება ეჭვი, რომ აქტივი “მალავს” გარე რესურსის ნაწილს.

როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები მიუთითებენ, თუ პროცესს თეორიულად წარმოვიდგენთ ორ ფაზად: 1. ურთიერთობა დონორ ორგანიზაციასა და სოფლის აქტივს შორის; 2. ურთიერთობა სოფლის აქტივსა და სოფელს შორის, აღმოჩნდება, რომ უნდობლობასთან დაკავშირებული პრობლემები, ძირითადად, მეორე ფაზაზე ჩნდება.

ღრმავდება სოფლის იმ მაცხოვრებელთა მიმართ გაუცხოების პროცესი, რომლებიც საერთაშორისო დონორ ორგანიზაციასთან უფრო აქტიურად თანამშრომლობენ. ეს პროცესი განსაკუთრებით მწვავედ მიმდინარეობს, თუ არიან ადამიანები, რომლებიც თავისი საქმიანობისთვის ფულად ანაზღაურებას იღებენ. ამ შემთხვევაში, სოფლის საერთო სიკეთის შექმნაზე მიმართული რესურსის ქვემოდან აგრეგირების "თამაშის" წესი (ფისაც რამდენი შეუძლია) წინააღმდეგობაში მოდის იმ "თამაშის" წესთან, რომელიც საერთო საქმის კეთებისთვის ხელფასის აღებას გულისხმობს.

"როდესაც სოფელში ფულით შედიხარ, გინდა თუ არ გინდა, ახალ პრივილიგირებულ ფენას ქმნი, რომელსაც სოფელი იუცხოებს. მაგ. ჩვენმა ორგანიზაციამ დააფინანსა სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის სხვადასხვა მიმართულების წრეები. სოფელში ვატარებთ ხოლმე ბუნების დაცვის დღეს. მოსახლეობა ნაგავს აგროვებს. ასეთ დონისიძებებზე მოდიან ის ბავშვები, მშობლები და მასწავლებლები, რომლებიც ჩვენს მიერ დაფინანსებულ წრეებში არიან დასაქმებულები. დანარჩენები დგანან, უყურებენ, ქირქილებენ და თვლიან, რომ ეს მათი საქმე არ არის." (დონორი ორგანიზაციის წარმომადგენელი)

სოფელი ვერ ახერხებს გამჭირვალეობის და ლიდგრების როტაციის წარმატებული სქემების შემუშავებას. დემოკრატიის წესი: კენჭისეყრა უმრავლესობის გამოსავლენად ქართული სოფლისთვის დამახასიათებელი არ არის. როგორც თვისებრივი კვლევის ეტაპზე გამოვლინდა, ქართულ სოფელში ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღების წესი უფრო მეტად წააგავს კონსენსუსის და არა უმრავლესობის პრინციპით მოქმედებას. თუმცა, კონსენსუსის გზით გადაწყვეტილების მიღების წესების არტიკულირებისა და კოდიფიცირების მეტ-ნაკლებად თანამედროვე მექანიზმები სოფლად არ დაიკვირვება.

არის შემთხვევები, როდესაც სოფელი ახერხებს ტრადიციული ნორმების გამოყენებას უნდობლობის გადასალახავად. სვანეთიდან ჩამოსახლებული ეკომიგრანტებით დასახლებულ სოფელში კვლევითი ჯგუფი წააწერდა სიტუაციას, რომელიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენს ზემოთ აღწერილ ფაქტორს – ასიმეტრიას სოფლად მოქმედ არაფორმალურ წესებსა და დონორ ორგანიზაციებში არსებულ ფორმალურ წესებს შორის. სოფლის აქტივის წევრი იძულებული გახდა « ხატზე დაეფიცა » იმისთვის, რომ თანასოფლელთა ნდობა აღდგინა. ეს მექანიზმი სოფლისთვის უფრო სანდო აღმოჩნდა, ვიდრე დოკუმენტური მასალის წარმოდგენა.

ამგვარად, როდესაც რესურსი სოფლის საერთო სიკეთის შესაქმნელად მოდის გარედან, ეს ქმნის გარკვეულ დაძაბულობას სოფლის შეკრულობის ფაქტორთან მიმართებაში. სოფელს ამგვარი დაძაბულობის მართვის ფორმალური, კოდიფიცირებული წესები არ აქვს.

გარდა ამისა, საქართველოში არსებული ინსტიტუციური გარემო ისეთია, რომ ფორმალური სათემო ორგანიზაციების შექმნას რაციონალური საფუძველი არ აქვს. კერძოდ, კარგად არ ჩანს, რა შეიძლება იყოს ფორმალური სათემო ორგანიზაციის დანიშნულება და ფუნქცია. თუ სათემო ორგანიზაციის ერთ-ერთ ფუნქციად ქვიშის საათის ქვედა და ზედა ნაწილის დაკავშირებას წარმოვიდგენო²⁹, შეიძლება ითქვას, რომ ინსტიტუციური მექანიზმები, რომელთა მეშვეობით ფორმალური სათემო ორგანიზაციები შეძლებდნენ ამ ფუნქციის შესრულებას, არ არსებობს. ფაქტორივად, სათემო ორგანიზაციები ქვიშის ზედა ნაწილში არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებთან პარალელურ სამყაროში არსებობს: ზეცენტრალიზებული პოლიტიკური სისტემის გამო, ლოკალური პოლიტიკური პროცესი არ არსებობს. შესაბამისად, სათემო ორგანიზაციებს ამ სფეროსთან მიმართებაში სოციალური ფუნქცია ეკარგება. რაც შეეხება გარედან ეკონომიკური რესურსების მოზიდვას სოფლის საერთო სიკეთის შესაქმნელად, ამგვარი პროცესები არაფორმალურ ხასიათს ატარებს. სოფლის მიმდებარე ტერიტორიებზე მოქმედი ბიზნეს-სტრუქტურები, ხშირად, სოფელს ერთჯერად,

²⁹ ორგორც ცნობილია, ბევრ ქვეყნაში ადგილობრივ სათემო ორგანიზაციებზე ფუნქციების დელეგირების პროცესი ძლიერდება

მცირებასშტაბიან დახმარებას (მაგ. სამშენებლო მასალებით) არაფორმალურად უწევენ ხოლმე. ამ ტიპის ურთიერთობას ფორმალური სათემო ორგანიზაციების დაფუძნება და მონაწილეობა არ სჭირდება. ბიზნესთან ურთიერთობისას ფორმალურ სათემო ორგანიზაციის ფუნქცია, შესაძლოა, გაიზარდოს, თუ იარსებებს ბიზნესსა და არასამთავრობო სექტორს შორის ფორმალური ურთიერთობის წამახალისებელი გარემო (მაგ. საგადასახადო შედავათები).

ბ. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მწარმოებელთა ასოციაციები.

როგორც უკვე აღინიშნა, ასოციაციის მიზანია ტრანსაქციული ხარჯების შემცირება რესურსების აკუმულირებისა და ჯგუფური საკუთრების შექმნის გზით. თავისი არსიდან გამომდინარე, სასოფლო-სამეურნეო ასოციაციების წარმატებული ფუნქციონირება შესაძლებელია მოვიაზროვ მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში.

მაგალითად, ასოციაციის მნიშვნელოვანი ჯგუფური საკუთრება: ასოციაციის სიმბოლური კაპიტალი ანუ ასოციაციის რეპუტაცია შეიძლება ჩამოყალიბდეს მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში; რესურსების აკუმულირება წევრებისთვის შედარებით ძვირადირებული სერვისების გაწევის მიზნითაც გრძელვადიან პერსპექტივას გულისხმობს.

ინსტიტუციური გარემო, როგორც მოქმედება უხდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მწარმოებელ ასოციაციებს, გრძელვადიანი მოქმედებისთვის ხელსაყრელ პირობებს ვერ ქმნის. კერძოდ, სოფლის მეურნეობაში რისკების დაზღვევის სისტემა არ მუშაობს. ამის გამო, ეკონომიკური აქტორები თრიენტირებული არიან მოკლევადიან რაციონალობაზე. მაგ. გლეხისთვის უფრო რაციონალურია რძისგან დამზადოს კერძო და ბაზარზე გაყიდოს, ვიდრე თრიენტაცია აიღოს რძის პროდუქტის მწარმოებელთა ასოციაციასთან თანამშრომლობაზე, სადაც თანამშრომლობის სარგებელი შედარებით გრძელვადიანია და ასოციაციის სტაბილურობას გულისხმობს.

მოკლევადიან, ერთჯერად ტრანსაქციებზე ორიენტირებულ ბიზნეს გარემოში ასოციაციის სიმბოლური კაპიტალი - რეპუტაციის სახით, ფასეულობას ვერ იძენს. მისი

ქონვერტაცია მნიშვნელოვან ეკონომიკურ წარმატებაში არ ხდება.

უფრო ხელსაყრელ ვითარებაში კი, სწორედ, ჯგუფური საკუთრება - ასოციაციის სიმბოლური კაპიტალის სახით არის ერთ-ერთი მექანიზმი, რომლის მეშვეობით ჯგუფის შიგნით არსებული სოციალური კაპიტალი დამატებულ დირებულებას აწარმოებს. ამ ტიპის ფასეული ჯგუფური საკუთრების არსებობა, ჯგუფის შიგნით ექსპლიციტური თამაშის წესების განერირების სტიმულატორიც კი შეიძლება გახდეს.

თვისებრივი ანალიზი საშუალებას გვაძლევს დაკვირვების ემპირიული მონაცემები განვიხილოთ ზემოთ აღნიშვნილი ჩარჩოში.

სანამ უშუალოდ კვლევის მონაცემებს წარმოვადგენთ, შემოვიტანო საკონტრაქტო ურთიერთობების ფაქტორს. საკონტრაქტო ურთიერთობების სფეროში არსებული ვითარება არის ერთ-ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ უშლის ხელს ინსტიტუციურ გარემოში არსებული არაპროგნოზირებადობა ასოციაციების ფუნქციონირებას.

მეტ-ნაკლებად იდეალურ სიტუაციაში საკონტრაქტო ურთიერთობები არის სწორედ ისეთი ფაქტორი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ჯგუფურ საკუთრებას - სიმბოლურ კაპიტალსა და ეკონომიკურ წარმატებას, როგორც ამ ტიპის კაპიტალის დივიდენტს.³⁰ თეორიულ დიტერატურაში კარგადაა აღწერილი მექანიზმი, რომელიც ამცირებს ეკონომიკური ტრანსაქციის ხარჯებს, თუ ტრანსაქცია დამყარებულია ბიზნეს-პარტნიორებს შორის ნდობასა და მათ რეკუტაციაზე.

კერძოდ, თუ მხარეებს შეუძლიათ გააფორმონ სრულყოფილი კონტრაქტი, მაშინ მათ შორის ნდობის ანუ სოციალური კაპიტალისთვის ადგილი აღარ რჩება. ეს კატეგორიები ფუნქციას კარგავს, რადგან კონტრაქტში თანამშრომლობის ყველა შესაძლო პრობლემა დეტალურადაა გაწერილი, თითოეულ მხარეს შეუძლია მონიტორინგი გაუწიოს მეორე მხარის ყოველ ქმედებას, მესამე მხარეს შეუძლია ჩაერიოს საჭიროების შემთხვევაში და დაადოს დამრღვევს გარე სანქცია.

³⁰ საკონტრაქტო ურთიერთობა განიხილება, როგორც სიმბოლური კაპიტალისა და ეკონომიკური დივიდენტის დამაკავშირებელი ერთ-ერთი და არა ერთადერთი ფაქტორი.

რაც უფრო სრულყოფილია კონტრაქტი, მით ნაკლებია ეკონომიკური არჩევანის რისკი; უფრო ადვილია პარტნიორის შესაძლო ოპორტუნისტული ქცევის გაკონტროლება, მაგრამ ამავე დროს ოპორტუნისტული ქცევის მონიტორინგი და ადგენერაციით ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამიტომ, რეალური კონტრაქტების უმრავლესობა არ არის სრულყოფილი და ოპორტუნისტული ქცევის რისკის შემცირება ხდება სანდო ბიზნეს-პარტნიორების არჩევის გზით.

- ამდენად, ინვესტიცია ჯგუფის სიმბოლურ კაპიტალში - რეპუტაციაში რაციონალურია, რადგან კონტრაქტის მოპოვების აღბათობას ზრდის.

არის თუ არა ეს მექანიზმი რელევანტური იმ ინსტიტუციური გარემოსთვის, რომლის მონაწილეა მოცემული კვლევის აქტორი - სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მწარმოებელი ასოციაცია?

როგორც კვლევის მონაცემები უჩვენებს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მწარმობელთა ასოციაციების სამოქმედო არეალში მათი პოტენციური ბიზნეს-პარტნიორები მოკლევადიან რაციონალობაზე არიან ორიენტირებულნი.

ეკონომიკური აქტორების პოლიტიკა ორიენტირებულია ბაზარზე არსებულ მოკლევადიან ტრენდებზე და არა ერთმანეთთან გრძელვადიანი ბიზნეს-პარტნიორობის აწყობაზე. ორიენტაცია რეპუტაციულ ფაქტორზე არ ხდება. მაგ. რძის მწარმოებელი ასოციაციის წარმომადგენლები მიუთითებენ, რომ თუ ბაზარზე რძის ფხვნილი იაფდება, რძის პროდუქტების მწარმოებელი ქარხნები არდევნებს მათთან წინასწარ დადებულ შეთანხმებებს და პროდუქტს რძის ფხვნილისგან ამზადებენ.

როგორც ირკვევა, ამგვარი ურთიერთობები ძირითადად ზეპირი შეთანხმებების ხასიათს ატარებს და ძალზე იშვიათად ფორმდება, როგორც ფორმალური ბიზნეს კონტრაქტი, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა სასამართლო დაგ. ხშირად, ამგვარ შეთანხმებებში მონაწილეობენ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენელები, რომლებიც ცდილობენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი ასოციაციების დაკავშირებას ბიზნეს-პარტნიორებთან. საინტერესოა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელებიც არ ითხოვენ მკაცრად საკონტრაქტო ურთიერთობების ფორმალურად გაფორმებას:

“მათოვის რომ კონტრაქტების ფორმალურად გაფორმება მოგვეთხოვა, საერთოდ უარს იტყოდნენ ჩვენთან თანამშრომლობაზე, ისედაც ძლიერს დავითანხმეთ” (ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი).³¹

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მწარმოებელი ასოციაციის მიერ ჯგუფურ საბუთოებაში - სიმბოლურ კაპიტალში ინვესტირება ახრს კარგავს იმ გარემოში, სადაც საკონტრაქტო ურთიერთობები და გრძელვადიანი ბიზნეს-პარტნიორობა სერიოზულად არ განიხილება. ამდენად, ვერ იქმნება ჯგუფური საკუთრების მნიშვნელოვანი ფორმა – სიმბოლური კაპიტალი, რომელსაც შეუძლია ჯგუფის წევრების-თვის დამატებული ღირებულება აწარმოოს.³²

გ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები

როგორც უკვე აღინიშნა, ფორმალური სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შექმნის იდეა და თავდაპირველი რესურსები მოდის გარედან – საერთაშორისო დონორი ორგანიზაციისგან.

იმის გამო, რომ ეკონომიკური კაპიტალის, ეკონომიკური რესურსების კრიტიკული მოცულობაა საჭირო იმისთვის, რომ კოოპერაცია ადამიანებს შორის რაციონალური იყოს, კოოპერატივებში ერთიანდებიან სოფლის ისეთი ოჯახები, რომლებსაც ეს რესურსები გააჩნიათ.

“ერთი პექტარი მიწით და ერთი ძროხით გასაყიდ პროდუქტს ვერ აწარმოობ” (ერთ-ერთი კოოპერატივის ორგანიზაციი).

გარდა ამისა, სოფელში სიღარიბე გარკვეული “რეპუტაციული ფაქტორია”:

³¹ თავის მხრივ, დიდი კომპანიების ხელმძღვანელებიც მიუთითებენ წვრილი გლეხური მუშაობების მხრიდან კონტრაქტების შეუსრულებლობაზე. პროდუქციის წვრილი მწარმოებლები ორიგინირებული არიან მოკლევადიან რაციონალობაზე და გრძელვადიანი, სტაბილური ბიზნეს-ურთიერთობების სარგებლიანობას ვერ აცნობიყრებენ. პროდუქციის წვრილ მწარმოებლებთან გაფორმებული ფიუნქრსული კონტრაქტები ცუდად მუშაობს. სშირია შემთხვევები, როდესაც ბაზარზე არსებული უფრო ხელსაყრელი ფასების გამო კონტრაქტის ირდევას და კონტრაქტით გათვალისწინებულ ფასში კომპანია პროდუქციის შეყიდვას ვერ ახრებს.

³² ჯგუფის სიმბოლური კაპიტალი შეიძლება შემდგომ პრენდის ფორმირების კარგი წინაპირობა გახდეს.

“თავის ნაკვეთს ვერ უვლის და კოოპერატივში რა უნდა გააკეთოს?” (კოოპერატივის წევრი)

როგორც წესი, კოოპერატივებში ერთიანდება მაქსიმუმ 8-12 ოჯახი. უფრო დიდ ერთობების კოორდინირება უჭირთ და მაღლე იშლებიან. კოოპერატივებად გაერთიანების ძირითადი მოტივაცია, დონორი თრგანზიაციისგან მატერიალური დახმარების მიღების სურვილია.

კოოპერატივის წევრებმა შეიძლება აიღონ იჯარით მიწა და დაიწყონ პროდუქტის ერთობლივი წარმოება.

როგორც წესი, კოოპერატივის წევრები აგრძელებენ კერძო მეურნეობის წარმოებასაც. მაგ. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში კარტოფილის ახალი ჯიშის სათეხლე მასალის ნაწილს თესავენ კოოპერატივის მიერ იჯარით აღებულ მიწებზე, ნაწილს კი – საკუთარ მიწის ნაკვეთებზე. როგორც ჩანს, ამგვარი დივერსიფიკაცია რისკების დაზღვევის თავისებური ფორმაა.

საკუთრებითი ურთიერთობები კოოპერატივებში საკმაოდ გაურკვეველია. შესწავლილ შემთხვევებში კოოპერატივებს საერთო საკუთრება არ გააჩნდათ. საწესდებო ფონდები გამოყენებული იყო ერთჯერადი შენაძენებისთვის (მაგ. კარტოფილის თესლის შესყიდვა). ექსპერტთა ნაწილის აზრით, ის ფაქტი, რომ კოოპერატივებს საერთო საკუთრება არ აქვთ, ხელს უშლის ჯგუფშიდა ფუნქციური ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

ჩამოყალიბებული კოოპერატივების მდგრადობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია არ არსებობს. საერთაშორისო ორგანიზაციების პროგრამები საკმაოდ ხანმოკლეა და ისინი ვერ ახორციელებენ ეფექტურ გრძელვადიან მონიტორინგს მდგრადობის მაჩვენებლების გამოსავლენად. ექსპერტთა ნაწილის აზრით, ლაპარაკი იმაზე, წარმატებულია თუ არა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების პრაქტიკა საქართველოში, საერთოდ აზრს მოკლებულია: კოოპერატივები, როგორც სამართლებრივი სუბიექტები, ფაქტობრივად, არ ფუნქციონირებენ. არახელსაყრელი საგადასახადო რეჟიმის გამო, ეკონომიკურ ტრანსაქციებში მონაწილეობად კოოპერატივის ნაცვლად მისი ცალკეული წევრები გამოდიან. კოოპერატივი, როგორც სამართლებრივი სუბიექტი მხოლოდ ქაღალდზე არსებობს.

როგორც თვისებრივმა კვლევამ უჩვენა, კოოპერატივების დაშლის მაჩვენებელი ფუნქციონირების პირველ ეტაპზე ასკმაოდ მაღალია.

კოოპერატივის ფუნქციონირება, გადაწყვეტილებების მიღება და მოგების განაწილება დაფუძნებულია პროპორციულობის პრინციპზე. თუმცა, სირთულე ჩნდება იქ, სადაც საჭიროა თავისი ბუნებით მრავალფეროვან რესურსებს შორის თანაფარდობის დადგენა. კოოპერატივის წევრები გაერთიანების მომენტში ფლობენ განსხვავებულ რესურსებს (მატერიალური რესურსი, ცოდნა, და ა.შ). ამ რესურსების დირებულებით თანაფარდობის შესახებ შეთანხმება ვერ ხერხდება. შესაბამისად, კოოპერატივებში ვერ მუშაობს პროპორციულობა, როგორც ძალაუფლებისა და ეკონომიკური რესურსების სამართლიანი განაწილების პრინციპი. როგორც უკვე აღინიშნა, ამ პრიობლემას აწყდება როგორც ფორმალიზებული, ასევე არაფორმალური გაერთიანებები.

ჩვენს მიერ შესწავლილი კოოპერირების შემთხვევებიდან, შედარებით მდგრადი აღმოჩნდა კოოპერატივი, რომელშიც წევრები დაახლოებით ერთნაირი მოცულობის რესურსებს ფლობდნენ (იგულისხმება, როგორც მატერიალური რესურსები, ასევე ცოდნა).

ხდება თუ არა შედარებით უფრო მდგრად კოოპერატივებში ინსტიტუტების – ექსპლიციტურად არტიკულირებული თამაშის წესების ფორმირება? კვლევა უჩვენებს, რომ კოოპერატივის წევრების ურთიერთობის მარეგულირებელი ფორმალური წესები არსებობს მხოლოდ დოკუმენტებში. რეალურად, ურთიერთობა კოოპერატივის წევრებს შორის რეგულირდება არაფორმალური წესებით. ყველაზე მდგრად კოოპერატივებშიც კი არ დაიკვირვება თამაშის წესების ექსპლიციტურად არტიკულირების მცდელობა. ჩვენს მიერ მითითებულ წარმატებულ პატერნში ურთიერთნდობის, „ურთიერთგაგების“ ხარისხი მაღალია, მაგრამ არ ხდება ურთიერთობის თავისთავად ნაგულისხმევი (Taken for granted) კონტექსტის უფრო გასაგებ ნორმებად ჩამოყალიბება. ასეთ ვითარებას აქვს ერთი უარყოფითი შედეგი: ამგვარი ერთობა სოფელში დახურულ სისტემად ყალიბდება და მას არ აქვს გაფართოების, სოფლის მაცხოვრებელთაგან ახალი წევრების მიღების პროცედურა. ახალი წევრების მიღება საფრთხეს შეუქმნის «თავისთავად ნაგულისხმევი» ნორმების მყიფე გარემოს.

კოოპერატივის ამგვარი ჩაკეტილობა, გარკვეულწილად, იწვევს კოოპერატივის წევრების დისტანცირებას დანარჩენი სოფლისგან.

ახერხებენ თუ არა მეტ-ნაკლებად მდგრადი კოოპერატივები ეკონომიკური ეფექტის მიღწევას? როგორც კვლევის შედეგები უჩვენებს, კოოპერატივების ეკონომიკური ზრდის მასშტაბები საკმაოდ შეზღუდულია. რესურსების აგრეგირების გზით ისინი ახერხებენ გადაწყვიტონ მცირემასშტაბიანი ტექნიკური ამოცანები (მაგ. მინისარწყავი სისტემა), შემოიტანონ ახალი იდეები მარკეტინგის მიმართულებით (მაგ. კარტოფილის შეფუთვა).

ფართომასშტაბიან ეკონომიკაში ჩასართავად, კოოპერატივებს ესაჭიროებათ ქვიშის საათის ზედა ნაწილში არსებულ რესურსებზე (საკრედიტო რესურსი, Know-How და ა.შ) ხელმისაწვდომობა. კოოპერატივის წევრები სიფრთხილით და გარკვეული უნდობლობით ეკიშის საათის ზედა ნაწილთან ურთიერთობას. ასეთ დამოკიდებულებას განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ სოფლის მეურნეობაში დაზღვევის არანაირი სისტემა არ მუშაობს. გარდა ამისა, დამოკიდებულება მაკროდონის ინსტიტუტების მიმართ პრობლემატურია: მათ უფრო ხშირად პოტენციურ საფრთხედ აღიქვამენ, ვიდრე პოტენციურ მოკავშირეებად. ასეთი დამოკიდებულება თავის მხრივ, ხელს უწყობს იმას, რომ კოოპერატივები « ჩრდილში » ყოფნას ანიჭებენ უპირატყუსობას, რაც თავის მხრივ, თამაშის ექსპლიციტური წესების ფორმირების პროცესისთვის წამახალისებელი არ არის.

საქართველოს სოფლებში, ეკონომიკის მიკრო და მაკრო დონეებს შორის არსებული სივრცე ფაქტობრივად ცარიელია. მეზოდონის სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები, რომლებსაც კოოპერატივი ან სოფლის მეურნეობაში მოქმედი სხვა აქტორი პოტენციურ მოკავშირედ აღიქვამდა მაკროდონის ინსტიტუტებთან ურთიერთობისას, მხოლოდ გამონაკლისის სახით არსებობს. ამგვარი ორგანიზაციების არსებობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის შექმნიდა ქვიშის საათის ზედა ნაწილთან დამაკავშირებელ ინსტიტუციურ მექანიზმებს. როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების ადგილობრივი წარმომადგენლები მიუთითებენ, იქ სადაც საერთაშორისო ორგანიზაციაში შექმნა სერვისის მიმწოდებელი ადგილობრივი

ცენტრი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები მდგრადობის და განვითარების უკეთეს მაჩვენებლებს აჩვენებს.

მოცემული ქვეთავის შეჯამების სახით შევეცდებით ვუპასუხოთ კითხვას: რის გამო ვერ ქმნის სოფელი მდგრადი ტიპის გაერთიანებებს, რომლებიც მის კეთილდღეობას შეუწყობდა ხელს? ეს სოფლის სოციალური კაპიტალის სისუსტის შედეგია ოუ გარე ფაქტორების გავლენა?

როგორც კვლევამ აჩვენა, სოფლის სოციალური კაპიტალი ქმნის შესაძლებლობას საკონტრაქტო ურთიერთობების შესაქმნელად, ვინაიდან ის მკაფიოდ აკავშირებს ერთმანეთთან რესურსების გარკვეულ ტიპს, რესურსის შესაქმნელად საჭირო თანამშრომლობის ფორმასა და განწყობას. ყველაზე პრობლემატურია ის თანამშრომლობა, რომელიც მიზნად ისახავს გარე რესურსების მოზიდვას, გარე ნორმების გამოყენებასა და გარე სანქციებზე დაფუძნებას თანამშრომლობის გასამყარებლად. სოფელი "სუსტი მხარეა" ამ გარე ურთიერთობების კონტუქტში და მისი სოციალური კაპიტალი, ხშირად უძლეურია, მის საწინააღმდეგოდ მოქმედი გავლენების გადალახვისას.

გამოვლინდა ამგვარი გარე გავლენების სამი ტიპი: ა. რესურსი, რომელიც სოფელმა შეიძლება საერთო სიკეთის შესაქმნელად გარედან მოზიდოს, მას ერგება არა როგორც უფლება, არამედ როგორც პრივილეგია (გრანტი ან საჩუქარი). ეს ფაქტორი ასუსტებს სოფლის შეკრულობის გავლენას და ზრდის პრივილეგიების ფაქტორს მასთან მიმართებაში. ბ. რეპუტაცია, სიმბოლური კაპიტალი, რომელიც სოფლის გაერთიანებამ შესაძლოა მოიპოვოს, საცმარისად არ ფასობს, ვინაიდან გარემო არასტაბილურია, რისკები არ არის დაზღვეული და სტაბილური საკონტრაქტო ურთიერთობები არ არის დამკვიდრებული; სხვა სიტყვებით, ბაზარი არ "ბაზრობს". გ. აგრარული ეპონომიკა "ორდონიანია", მისი ფორმალიზებული ზედა დონე ნაკლებად ხელსაყრელია ქვედა დონეზე თამაშის წესების დასალაგებლად. საგადასახადო ინსპექცია, სასამართლო, ბანკი და სხვა დაწესებულებები, რომლებთანაც აგრარულ კოოპერატივს შესაძლოა პქონდეს ურთიერთობა, ვერ ასრულებს "მესამე მხარის" ფუნქციას კოოპერატივის შიდა უთანხმოების შემთხვევაში, საკონტრაქტო ურთიერთობების დაცვაში. ისინი უფრო განიხილება როგორც მხარე, რომელმაც საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლოა, კოოპერატივს სირთულეები შეუქმნას. ამდენად, ურთიერთობების ფორმალიზება

ქორპერატივისთვის უფრო მეტად რისკის გაზრდის ფაქტორად აღიქმება, ვიდრე საკონტრაქტო ურთიერთობების დაზღვევად.


თავი 6. დასპენები და რეკომენდაციები შემდგომი რეზორმებისთვის

6.1. პლანის შედეგების მოპლა შეჯამება

სოციალური კაპიტალი, მოცემულ კვლევაში, მოდელირებული იყო, როგორც სამი განწყობის: სოლიდარობის, ნდობისა და ლიიალობის ერთობა - ანუ ვითარება, როდესაც საზოგადოებაში ეს სამი ელემენტი ძლიერია და ერთმანეთთან "რეზონირებს". სოციალური კაპიტალით მდიდარი საზოგადოება ახერხებს სტაბილურ ინსტიტუციურ ფუნქციონირებას და განვითარებას გარედან გადამეტებული დაძლების გარეშე. თუკი სოციალური კაპიტალის ელემენტები სუსტია ან გარე ინსტიტუციური ზეგავლენები მასში საპირისპირო ტენდენციებს აჩენს, საზოგადოება კარგავს ეფექტურობას ან იძენს "ჭიშის საათის" ფორმას, რომლის ზედა და ქვედა ნაწილს შორის ჩნდება რესურსების იერარქია, და არა მათი გაცვლა.

მოცემული მოდელის ინსტრუმენტალიზაციამ სოფლად არსებული ეკონომიკური ურთიერთობების, თანამშროლობის ფორმებისა და განწყობების საკვლევად გამოავლინა სოციალური კაპიტალის ამ სამი კომპონენტის შესატყვისი განწყობები, რომლებსაც შეკრულობა, ნდობა და რეპუტაცია ეწოდა.

კვლევით გამოვლენილი ურთიერთობები და სოციალური კაპიტალის შემადგენელი ელემენტები შეიძლება გრაფიკულად შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:



ამ სქემის გერტიკალური განზომილება შეესაბამება სოფლის უნარს შექმნას საერთო სიკეთე, გამოიმუშავოს საერთო აზრი, მიიღოს გადაწყვეტილებები და განახორციელოს თვითმმართველობა. რაც უფრო მაღლა მდებარეობს სოფელი ამ განზომილებაში, მით უფრო მეტადაა ის შეკრული.

სქემის მარცხენა პორიზონტალური განზომილება შეესაბამება თანასოფლელთა უნარს ითანამშრომლონ კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, აწარმოონ დამატებული ღირებულება შრომის, ინფორმაციისა და სხვა, მათ განკარგვაში არსებული რესურსების გაცვლის გზით. რაც უფრო მაღალია სოფელში განზოგადებული ნდობა და რაც უფრო მკაცრად ისჯებიან ისინი, ვინც სოფლის დაუწერელ წესებს პატივს არ სცემს, მით უფრო წარმატებით თანამშრომლობენ ადამიანები ერთმანეთთან.

სქემის მარჯვენა ნაწილში განთავსებული წრე უჩვენებს სოფელში ისეთი თანამშრომლობის შესაძლებლობას, რომლის მონაწილეებს აქვთ საერთო, გარე რესურსების მოპოვებაზე მიმართული ინტერესები; ამ ინტერესების დაქმაყოფილება დამოკიდებულია პარტნიორთა მიერ ვალდებულებების შესრულებაზე, და ამ ვალდებულებებისადმი ღორიალობაზე. რაც უფრო მაღალია გარე რესურსების მოპოვებისაქნ სწრაფვა, მით უფრო მეტ უურადღებას აქცევენ სოფელში კარგი რეპუტაციის, და, შესაბამისად, სანდო პარტნიორის იმიჯს.

მოცემული სქემა სასარგებლოა იმისთვის რათა თავი მოვუყაროთ კალების ძირითად მიგნებებს და გავცეთ პასუხი კითხვებს: როგორია სოფლის სოციალური ურთიერთობები? რამდენად ძლიერია სოფელში სოციალური კაპიტალი და რა აფერხებს სოფლად უფრო ინტენსიურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ კოოპერირებას?

1. სოფელები ერთმანეთისგან განსხვავდებიან შეკრულობის მაჩვენებლებით და ერთობლივი ჯგუფური მოქმედების უნარით;

2. რაც უფრო მეტად სჯერათ სოფლის მცხოვრებლებს, რომ ეკონომიკური რესურსებისთვის კონკურენცია სამართლიანია და ოჯახების კეთილდღეობა მათივე შრომის და უნარების შედეგია, და არა დაუმსახურებელი პრივილე-

გიების, მით უფრო მაღალია სოფლის შეკრულობის მაჩვენებელი;

3. სოფლის შეკრულობა და ინდივიდუალის კეთილდღეობა ერთმანეთს წრფივად უკავშირდება მესამე ფაქტორის – ხდობის მაღალი მაჩვენებლის არსებობის შემთხვევაში; თუ სოფელში ხდობის მაღალი მაჩვენებელია, სოფლის შეკრულობა პირდაპირ აისახება მისი მოსახლეობის კეთილდღეობაზე;

4. ადამიანების მიმართ ხდობა გაცილებით მაღალია იქ, სადაც სოფელს გააჩნია საერთო საძოვარი და სოფლის ნახირის ერთობლივად გამოძოვების დამკვიდრებული პრაქტიკა. საერთო საკუთრების არსებობა და მისი ერთობლივად განკარგვის ტრადიცია ხელს უწყობს ონასოფლელთა შორის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობასა და უცხო ადამიანების მიმართ ხდობით განწყობას;

5. შეკრული სოფლები გაცილებით მეტად არიან დაინტერესებულნი თვითმმართველობის განხორციელებით, ვიდრე ის სოფელები, რომლებიც საკუთარი პრობლემების გადაჭრასა და საერთო აზრის გამომუშავებას ვერ ახერხებენ;

6. სოფლად არსებობს ეკონომიკური უთანასწორობა, მაგრამ ეს ფაქტორი ხელს არ უშლის სოფლის შეკრულობას და არ იწვევს სოფლის ანტაგონისტურ სტრატიგიკაციას. სოფელი სოციალურად საკმაოდ ინტეგრირებულია, მასში არ დაიკვირვება ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც სოფლის შიგნით მყარ, მაფიის ან სოციალური კლასის მხავს დაჯგუფებებს შექმნიდა;

7. თუ სოფლის მცხოვრებელებს სჯერათ, რომ კარგი რეპუტაცია წარმატების მიღწევის აუცილებელი პირობაა, მათ აქთ მეტი სტიმული შექმნან საჯარო/ფორმალიზებული ასოციაციები რომლებიც სოფელს აკავშირებს მის გარეთ არსებულ რესურსებთან;

8. სოფლის ქსელურ ურთიერთობებს გააჩნია "განძები" -უ.წ. "სამძაპაცო" - შედარებით მჭიდრო ურთიერთობების მქონე ვიწრო ჯგუფები; ამ ჯგუფების საფუძველზე სოფლად დაიკვირვება ეკონომიკური კოოპერაციის მცდელობები, რომლებიც, როგორც წესი, დროებითი და არასტაბილურია. ზოგადად, ჯგუფური შეკავშირების გრძელვადიანი მექანიზმები

სოფლად სუსტია; იგრძნობა კერძო ინტერესების პრიმატი ჯგუფური ინტერესების შექმნის მცდელობებზე.

9. სოფლად არსებობს ფორმალიზებული გაერთიანებების შექმნის არაერთი მაგალითი, ამგვარი გაერთიანებების ინიცირება, ძირითადად, ხდება გარე აქტორების ზეგავლენით და ზოგჯერ მათი უშეალო მედიაციითა და წახალისებით; ამგვარი გაერთიანებების მდგრადობის მაჩვენებელი მაღალი არ არის; არსებულ ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სამართლებრივი ინსტიტუციურ სივრცეში ამგვარ გაერთიანებებს სტაბილური ფუნქცია და ეკონომიკური რაციონალობა არ ამჟარებს.

6.2. ოპორატორის შემდგომი რეზორმებისთვის

დღესდღეობით, სოფელი დგას ახალი რეფორმების გატარების აუცილებლობის წინაშე. ეს რეფორმები მით უფრო ეფექტური იქნება, რაც უფრო კარგად მოერგება სოფლად არსებულ ვითარებას, დაეფუძნება სოფლის სოციალურ კაპიტალს და სოფლის სოციალურ სტრუქტურას.

უმთავრესი გასატარებელი რეფორმები შეეხება თვითმმართველობის დანერგვას სოფლის დონეზე, მეურნეობების გამსხვილებისკენ მიმართულ ზომებს და სასოფლო წარმოებისთვის მყარი და ხელსაყრელი გარემოს შექმნას, რეგულირების ახალი წესების დანერგვას.

რეფორმების ეფექტურობა და მდგრადობა დამოკიდებული იქნება ახალი ინსტიტუტების მიმართებაზე სოფლის სოციალური კაპიტალის სტრუქტურასთან. იქ, სადაც დაიკვირვება პოზიტიური მიმართება სოციალურ კაპიტალსა, "თამაშის წესებსა" და მათ მიერ წარმოებულ რესურსებს შორის, საჭიროა ამ რესურსებისა და თამაშის წესების გამყარება და დაცვა. ხოლო იქ, სადაც ჩნდება "ვიწრო ყელი", რომელიც ასახავს წინააღმდეგობებს თამაშის წესებში და ართულებს სოფლისთვის საჭირო რესურსის თავსებადობას მის სოციალურ კაპიტალთან, აუცილებელია რეგულირება, რომელიც ამ რესურსს სოფლის მოთხოვნილებებს მიუსადაგებს.

1. თვითმმართველობა

როგორც კვლევაშ აჩვენა, ყველა სოფელი თანაბრად არ არის მზად თვითმმართველობისთვის. უფრო მეტად შექრული და სოციალურად წარმატებული სოფლები შეძლებენ საკუთარი პრობლემების დამოუკიდებლად მოგვარებას, დანარჩენ სოფლებს კი აკლია საერთო პრობლემების მოგვარუბის არაფორმალური პრაქტიკა და შიდა თანხმობა. ამდენად, მათ ურჩევნიათ საკუთარ თავზე ნაკლები პასუხისმგებლობა აიღონ. ისინი სახელმწიფოს იმედზე უფრო არიან. შესაბამისად, სოფლის მართვის მოდელების შერჩევისას, უკათესი იქნება, თუ სოფლებს მიეცემათ არჩევანი თვითმმართველობის ორ მოდელს – შესაბამისად, მაღალი და დაბალი პასუხისმგებლობით.

იმისათვის, რომ თვითმმართველმა ინსტიტუტებმა უკეთ იმუშაოს, აუცილებელია, რომ ამგვარმა ინსტიტუტებმა არ შექმნას სოფლად პრივილეგიების მოპოვების ახალი გზები. რაც უფრო მეტი პრივილეგიებული ინდივიდი იქნება სოფლად, მით უფრო რთული იქნება სოფლის სოციალური კაპიტალის ჩართვა თვითმმართველობის განხორციელებაში. სოციალური კაპიტალის ჩართვას ხელს შეუწყობს თვითმმართველობის შიგნით პასუხისმგებლობების ხშირი როტაცია და აუცილებელი კომპეტენციების მინიმუმამდე დაყვანა.

სოფლის თვითმმართველობას უნდა ჰქონდეს კომპეტენცია მოახდინოს იმ არაფორმალური ნორმებისა და წესების ფორმალიზება, რომლებიც სოფლად საკუთრებით დავებთან არსებულ ნორმებს ეხება. საკუთრებითი ურთიერთობების რეგულირება, რომელიც არსებობს ცენტრალურ დონეზე, უნდა ითვალისწინებდეს სოფლების და, შესაძლოა, მუნიციპალიტეტებისთვის ამგვარი პრეროგატივების მინიჭების შესაძლებლობას.

2. საერთო საკუთრება, მეურნეობების გამსხვილება

როგორც კვლევაშ აჩვენა, მიწის საერთო რესურსის არსებობა (საძოვარი) და ამ რესურსით ერთობლივი სარგებლობის პრაქტიკა პოზიტიურად აისახება სოფლის სოციალურ ცხოვრებაზე, ზრდის სოციალურ კაპიტალს და ხელს

უწყობს თანასოფლელთა შორის ურთიერთმომგებიან თანამ-შრომლობას. სადაც ეს შესაძლებელია, სოფელს უნდა გა-დაეცეს განკარგვაში ან საკუთრებაში მიწა, რომელიც სოფ-ლის საძოვრის ფუნქციას შეასრულებს.

საძოვრისგან განსხვავებით, ტყის მოვლა რესპონდენ-ტების აზრით, სახელმწიფოს ვალდებულებას შეადგენს. შე-საძლებელია, ტყისა და წყლის რესურსების მოვლა-პატრო-ნობა მუნიციპალიტეტის დონეზე იყოს ყველაზე ეფექტური.

საერთო საკუთრება და კოოპერაციული, ჯგუფური საკუთრება სრულიად განსხვავებულად აღიქმება სოფლად და ერთის მეორეთი ჩანაცვლება არაეფექტური იქნებოდა. საერთო საკუთრებისგან განსხვავებით, კოოპერაციული სა-კუთრება არ არის კარგად დამკვიდრებული სოფლად. სა-კუთრების ამ ფორმასთან მიმართებაში თანამშრომლობის ფორმები იშვიათია და სუსტი.

კოოპერაციის წახალისება, რომელიც მიწების გამ-სხვილებას შეუწყობს ხელს, თანამშრომლობის ექსპლიცი-ტური წესების დანერგვის აუცილებლობასთანაა დაკავში-რებული. ამგვარი წესები შესაბამისობაში უნდა იყოს სოფ-ლად არსებულ არაფორმალურ ნორმებთან და მათი ადსრუ-ლების გარანტიები მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული ახალი კანონმდებლობით, იმის გათვალისწინებით, რომ სოფლის მოსახლეობა, ზოგადად, ნეგატიურადაა განწყობი-ლი კოოპერირების მიმართ.

შესაძლოა, სერვისების მიღებასა და პროდუქციის გასაღებაზე ორიენტირებული კოოპერირებაუფრო წარმატე-ბული აღმოჩნდეს, პროდუქციის წარმოების პროცესზე ორი-ენტირებულ კოოპერირებასთან შედარებით.

3. სასოფლო წარმოებისთვის მფარი და ხელ-საყრელი გარემოს შექმნა, რეგულირების ახალი წე-სების დანერგვა

იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს სოფლად არსე-ბული მიწისა და შრომითი რესურსის პროდუქტიულობის ზრდა, საჭიროა სტაბილური გარემოს შექმნა, სახელმწი-ფოს მიერ რესურსების აკუმულირებასთან დაპავშირებული რისკების დაზღვევაზე მიმართული პოლიტიკის გატარება. ეს მუშაობა არ იყარგლება საკანონმდებლო და ეკონომიკუ-რი ზომებით. მისი ერთ-ერთი კომპონენტია სიმბოლური კა-

პიტალი, ბრენდირება, რომელიც სოფლის მოსახლეობაში სტაბილურობის განცდას გააჩენს და ახალი წესებით თამაშის მეტ სტიმულს მისცემს.

ორი ათწლეულის განმავლობაში დამკვიდრებული საბაზრო სტერეოტიპები ნეგატიურად აისახა თანამშრომლობის შესაძლებლობისა და მისი პერსპექტივების აღქმაზე სოფლის მოსახლოების მიერ. მოსახლეობას არ აქვს მოლოდინი, რომ სახელმწიფომ, შესაძლოა, ჯგუფური საკუთრების რისკების დაზღვევაზე ორინტირებული პოლიტიკა გაატაროს. მიზანმიმართული მუშაობა, რომელიც ახალი ნორმებისა და რეალობების პოპულარიზებას ხელს შეუწყობს, რეფორმების აუცილებელი კომპონენტი უნდა იყოს. თამაშის ახალი წესების დროითი პორიზონტი უნდა იყოს გრძელვადიანი და ინსტიტუციურად მკაფიოდ განსახლევრული.

სოფლის დონეზე არსებულ მიკრო დონისა, და ქვეყნის მასშტაბით არსებულ მაკრო ინსტიტუტებს შორის ცარიელი ინსტიტუციური სივრცის შევსების ერთ-ერთი გზაა მეზო დონის ინსტიტუტების შექმნა და განვითარება. ამგვარმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ "ვიწრო კლიენტის" გაფართოება და დააკავშირონ სოფელი მის გარეთ არსებულ სამყაროსთან. როგორიც არ უნდა იყოს ეს ორგანიზაციები - ქვევიდან შექმნილი გაერთიანებები თუ ზევიდან ინიცირებული სერვისების მიმწოდებლები, სახლმწიფო უნდა გახდეს მათი სტაბილური ფუნქციონირების და, შესაბამისად, რეპუტაციის მდგრადობის გარანტი.

ბიბლიოგრაფია

1. Anderson, Lisa R., Jennifer M. Mellor and Jeffrey Milyo. 2004. Social Capital and Contributions in a Public-Goods Experiment. *The American Economic Review*, Vol. 94, No. 2, Papers and Proceedings of the One Hundred Sixteenth Annual Meeting of the American Economic Association San Diego, CA, January 3-5, (May, 2004), pp. 373-376.
2. Arrow K. J. 1951. Social Choice and Individual Values. New York: John Wiley and Sons.
3. Babajanian, Babken V. 2008. 'Social Capital and Community Participation in Post-Soviet Armenia: Implications for Policy and Practice', *Europe-Asia Studies*, 60: 8, 1299 — 1319.
4. Banfield, Edward. C. 1958. "The Moral Basis of a Backward Society", Free Press.
5. Berggren, Niclas, Henrik Jordahl. 2005. Free to Trust? Economic Freedom and Social Capital. Working paper 2005:2. Department of Economics Uppsala University.
6. Bezemer, Dirk , Junior Davis. 2002. Rural Non-Farm Economy Project The Rural Non-Farm Economy in Georgia: Overvie of Findings NRI Report No: 2729
7. Bradbury, Helen. 2009. A Lessons Learned. Review of Different Approaches to the Group Organisation of Agricultural Service Providers and Producers in Samtskhe-Javakheti , Akhalkalaki, Georgia, CARE, DfID.
8. Brondizio, Eduardo S., Ostrom, Elinor. Oran R. Young . 2009. Connectivity and the Governance of Multilevel Social-Ecological Systems: The Role of Social Capital. *Annu. Rev. Environ. Resour.* 34: 253-278.
9. Coase, Ronald H. 1937. The Nature of the Firm. In: *Economica*, New Series, Volume 4, Issue 16 (Nov.), 386-405 .
10. Coleman, James S. 1988. Social Capital in the Creation of Human Capital. *The American Journal of Sociology*, Vol. 94, Supplement: Organizations and Institutions: Sociological and Economic Approaches to the Analysis of Social Structure. pp. S95-S120.
11. Cordonnier, Christophe. 2010. EU Export Market Conditions for the Realisation of the Competitive Advantages of Georgian Agricultural Products. Policy paper. GEPLAC

- <http://www.geplac.ge/newfiles/GeorgianEconomicTrends/Cordonnier%202010.pdf>.
12. Dragadze, Tamara. 1988. Rural Families in Soviet Georgia : A Case Study in Ratcha Province. Taylor & Francis
 13. Dudwick, Nora, Elizabeth Gomart, and Alexandre Marc (Ed.). 2003. When Things Fall Apart. Qualitative Studies of Poverty in the Former Soviet Union, The International Bank for Reconstruction and Development / The World Bank.
 14. Ebanoidze,J. 2003. Current land policy issues in Georgia. Land reform, land settlement and cooperatives. Special edition. FAO. 2003/3.
 15. Farrell Henry, Jack Knight.2003. Trust, Institutions, and Institutional Change: Industrial Districts and the Social Capital Hypothesis Politics & Society, Vol. 31 No. 4, December, 537-566.
 16. Gardner, Bruce, Zvi Lerman. 2006. Agricultural Cooperative Enterprise in the Transition from Socialist Collective Farming. Journal Of Rural Cooperation, 34(1):1-18.
 17. Georgia. Reform in the food and agriculture sector. A World Bank Country Study. WB 1996
 18. Gogodze Joseph, Iddo Kan Ayal Kimhi. 2008. Development of Individual Farming in Georgia: Descriptive Analysis and Comparisons. MPRA Paper No. 11721, posted 23. November
 19. Gogodze, Joseph, Iddo Kan, Ayal Kimhi. Land Reform and Rural Well Beingin the Republic of Georgia: 1996-2003. The Hebrew University of Jerusalem Discussion Paper No. 1.07
 20. Gogodze. Joseph. 2002. Individual farming in transition economies. In: Individual farms in Eastern Europe and the Commonwealth of Independent States. Ed. David Sedik. FAO Rome.
 21. Descriptive Analysis and Comparisons MPRA Paper No. 11721, posted 23. November 2008
 22. Habermas, Jurgen. 1985. The Theory of Communicative Action. V 2. Lifeworld and System: A Critique of Functionalist Reason , Beacon Press.
 23. Hagedorn, Konrad.(2004). Property rights reform on agricultural land in Central and Eastern Europe. Quarterly Journal of International Agriculture 43 No. 4: 409-438.
 24. Hardin, Russell. 2004. *Trust and Trustworthiness*. New York: Russell Sage Foundation.

25. Howard, Marc Morjy. 2003. The Weakness of Civil Society in Post-Communist Europe Cambridge University Press.
26. Inkeles, A. (2000). ‘Measuring Social Capital and its Consequences’, *Policy Sciences*, 33: 245–68.
27. Kan Iddo, Ayal Kimhi . Farm output, non-farm income and commercialization in rural Georgia. *Electronic Journal of Agricultural and Development Economics*. Agricultural and Development Economics Division (ESA) FAO Vol. 3, No. 2, 2006, pp. 276–286,
28. Khan, Shahrukh Rafi ; Zeb Rifaqat, and Sajid Kazmi, 2007. Harnessing And Guiding Social Capital For Rural Development, Palgrave Macmillan.
29. Kumlin, Staffan, Bo Rothstein. 2005. Making and Breaking Social Capital: The Impact of Welfare State Institutions. *Comparative Political Studies* 38: 339 SAGE.
30. Lee, Cheol-Sung, 2012. Welfare States and Social Trust, *Comparative Political Studies* XX(X) 1–28 SAGE.
31. Letki, Natalia, Evans, Geoffrey. 2005. Endogenizing Social Trust: Democratization in East-Central Europe. *British Journal of Political Science*. 35, 515–529.
32. Lin Nan. 2004. Social Capital A Theory of Social Structure and Action Cambridge University Press .
33. Losaberidze, David, David Melua, David Narmaina. 2008. Development of local democracy in Georgia. Annual report. OSGF.
34. Mercy Corps Georgia. July 2004. Understanding the Legacy of Community Mobilization. Georgia Field Study
35. Muskhelishvili, Marina. 2007. “The Reform of Self Government”. In: Neighborhood policy of EU and Georgia. FES/OSGF/CORDAID, Tbilisi
36. Muskhelishvili, Marina (2011): Institutional change and social stability in Georgia, *Southeast European and Black Sea Studies*, 11:3, 317-332
37. Muskhelishvili, Marina. 2011. Social Dialogue in Georgia. Tbilisi: Friedrich-Ebert-Stiftung.
38. Narayan, Deepa.1999. Bonds and Bridges: Social Capital And Poverty , Poverty Group, Prem World Bank July.
39. North, Douglass C., et al, 2009. Violence and Social Order. Cambridge: Cambridge University Press.

40. North, Douglass C. 2005. Understanding the Process of Economic Change. Princeton University Press.
41. North, Douglass C. 1990. Institutions, Institutional Change and Economic Performance (Political Economy of Institutions and Decisions). Cambridge University Press.
42. Olson, Mancur. 1971. The Logics of Collective Action: Public Goods and the Theory of Groups. Harvard University Press.
43. Ostrom, Elinor and Hess, Charlotte, (2007). "Private and Common Property Rights". Library. Paper 24. <http://surface.syr.edu/sul/24>
44. Ostrom, Elinor. 2000. Collective action and the evolution of social norms. *The journal of Economic Perspectives*, V 14 N 3, pp. 137-158.
45. Ostrom, Elinor, Joanna Burger, Christopher B. Field, Richard B. Norgaard, David Policansky. 1999. Revisiting the Commons: Local Lessons, Global Challenges. *Science* 284, 278.
46. Ostrom, Elinor. 1990. Governing the Commons: The Evolution of Institutions for Collective Action. Cambridge University Press.
47. Paldam, Martin. 2002. Social capital: one or many? Definition and measurement. In Sayer, Stuart. *Issues in New Political Economy (Surveys of Recent Research in Economics)* Wiley-Blackwell
48. Putnam, Robert D. 1994. *Making Democracy Work, Civic Traditions in Modern Italy*, Princeton University Press
49. Rawls, John, 2005. A Theory of Justice. Original Edition. Belknap Press of Harvard University Press.
50. Revishvili Zurab, Henry W. Kinnucan. 2004. Agricultural Problems In Georgia And Strategic Policy Responses. In: The Role of Agriculture in Central and Eastern European Rural Development: Engine of Change or Social Buffer? Martin Petrick, Peter Weingarten (eds.) *Studies on the Agricultural and Food Sector in Central and Eastern Europe*, Vol. 25, Halle (Saale), IAMO, pp. 52-64.
51. Rose, Richard. 1994. Postcommunism and the Problem of Trust, *Journal of Democracy*, V.5, N.3,
52. Rozelle Scott and Johan F. M. Swinnen. 2004. Success and Failure of Reform: Insights from the Transition of Agriculture. *Journal of Economic Literature*, Vol. 42, No. 2 (Jun.), pp. 404-456.
53. Seligman, Adam. 1997. The Problem of Trust. Princeton University Press,
54. Serageldin, Ismail (Editor), Partha Dasgupta (Editor). 2001. *Social*

- Capital: A Multifaceted Perspective.* World Bank Publications.
55. De Soto, Hernando. 2000. *The Mystery of Capital: Why Capitalism Triumphs in the West and Fails Everywhere Else.* Basic Books.
 56. Tilly, Charles. 2005. Trust and Rule. Cambridge University Press
 57. Warren, E. Mark. 2008. The nature and logic of bad social capital. In: Castiglione Dario Jan W. Van Deth And Guglielmo Wolleb (Ed.). *The Handbook Of Social Capital.* Oxford University Press. pp. 122-149.
 58. Williamson, Oliver E: 1985. *The economic institutions of capitalism,* New York.
 59. WORLD BANK, 2009. — *Georgia Poverty Assessment,* Washington D.C., World Bank, Human Development Sector Unit, April, 178 p.[Report n° 44400-GE].
 60. არჩვაძე, იოსებ, მექვაბიშვილი ელგუჯა. 2010. საქართველოს სოფლის მეურნეობის თანამდეროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო პრაქტიკული ქურნალი, ნომერი 6, ნოემბერი-დეკემბერი, გვ. 107-115.
 61. გოგოხია, რევაზ. 2012. აგროსასურსათო სექტორის პრიორიტეტები განვითარება — საქართველოში სისტემური ეკონომიკური კრიზისის დაძლევის საწინდარი. სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები და განვითარების გზები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შრომების კრებული, გვ. 119-125.
 62. დიდებულიძე, ალექსანდრე. 1997. სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები. გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა, სადისკუსიო წერილების სერია, 5, თბილისი.
 63. ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი, 2009. დეცენტრალიზაცია საქართველოში, არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები "არადანი",
 64. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი. საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა, 2011.http://www.osgf.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=8

65. ქოლუაშვილი, პაატა. 1998. ოგრარული რეფორმა: შედეგები და პერსპექტივები. თბილისი.
66. ლოსაბერიძე, დავით, დავით ნარმანია, ვახტანგ ხმალაძე. 2011 (რედ). საქართველოში ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების წლიური ანგარიში (2009-2010 წლები), დია საზოგადოება - საქართველო, თბილისი.
67. მელუა, დავით. 2000. ქართული სოფელი გარდამავალ პერიოდში, დია საზოგადოების ინსტიტუტის მეცნიერული კვლევების ხელშეწყობის პროგრამა, თბილისი.
68. ნაცვლიშვილი, ბექა. 2012. სამეცნიერო კოოპერირების ჩამოყალიბების თავისებურებაზე ქართულ სოფელში. სოფლის მეცნიერობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები და განვითარების გზები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შრომების კრებული, გვ. 377-384.
69. რევოშვილი, ზურაბ. 2012. საქართველოს სასოფლო შინაგაურნეობები: ფორმირება, პრობლემები. სოფლის მეცნიერების მდგრადი განვითარების პრიორიტეტები და განვითარების გზები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შრომების კრებული, გვ. 398-404.
<http://www.aplr.org/?lang=geo&id=376>
http://www.messenger.com.ge/issues/2227_november_3_2010/2227_eklund.html
www.geostat.ge
http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2010-11.pdf
<http://unctad.org>

დანართი 1.

20 სოფლის გამოპითხება,
ანალიზის დროს გამოყენებული მონაცემები
(სისტემური განაწილება)

A1. თუ თქვენი სოფლის ეკონომიკურ მდგომარეობას შევადარებოთ თქვენი რეგიონის სხვა სოფლებს, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ კატეგორიას მიაკუთვნებდით მას?

1. მდიდარი სოფელი -1%
2. მეტ-ნაკლებად მდიდარი სოფელი – 7.2%
3. საშუალო შეძლების სოფელი – 63%
4. ღარიბი სოფელი – 27.8
5. უკიდურესად ღარიბი სოფელი – 1%
99. მიჰირს პასუხის გაცემა (არ წაუკითხოთ)

A2. ჩვენი ქვეყანა ბოლო ოცი წლის განმავლობაში სერიოზულ ცვლილებებს განიცდიდა. როგორ შეაფასებდით, ამ მხრივ, მდგომარეობას თქვენს სოფელში ქვეყანაში არსებულ მდგომარეობასთან მიმართებაში? (მიუციოთ ბარათი)

1. ბოლო წლებში ქვეყანა და ჩემი სოფელი მეტი-ლად სწორი მიმართულებით ვითარდებოდა 42.5%
2. ბოლო წლებში ქვეყანა სწორი მიმართულებით ვითარდებოდა, თუმცა ჩემს სოფელს ეს არ დაეტყო – 42.8%
3. ბოლო წლებში ქვეყანა სწორი მიმართულებით არ მიდიოდა, თუმცა ჩემი სოფლის ცხოვრება ლაგდებოდა – 9.7%
4. ბოლო წლებში როგორც მთლიანად ქვეყანა, ასევე ჩემი სოფელი, არასწორი მიმართულებით მიდიოდა – 2.8%
99. მიჰირს პასუხის გაცემა - 2.2%

A4. ქვემოთ ჩამოთვლილი ორი დებულებიდან, რომელი უფრო კარგად აღწერს თქვენი სოფლის მდგომარეობას?

1. ოჯახები ჩვენს სოფელში მეტ-ნაკლებად ერთნაირი ეკონომიკური მდგომარეობის არიან – 65.8%

2. განსხვავება შეძლებულებსა და ღარიბებს შორის
საგრძნობია – 32.7%

99. მიჭირს პასუხის გაცემა – 1.5%

ზოგიერთ სოფელში არის შემთხვევები, როდესაც
განსხვავებულ ჯგუფებს ნაკლებად გამოსდით ერთმა-
ნეთთან ურთიერთობა და ერთმანეთისგან შორს დგო-
მას ამჯობინებენ. ახლა მე ჩამოგითვლით ჯგუფებს
და გოხვეთ მიპასუხეთ, თქვენს სოფელში ამ ჯგუ-
ფებს შორის ურთიერთობა ჰარმონიული და უპრობ-
ლემოა, ისინი ერთმანეთისგან შორს დგომას ამჯობი-
ნებენ თუ მათ შორის კონფლიქტებიც ხდება?

	აგენტები	ურთიერთობები უ- რობლენი მობი (%)	შორის უსტყოფა მობინარები თავი	ინტენსიურ უსტყოფა მობინარები თავი	კონფლიქტები უსტყოფა მობინარები (რა წაუდითხოვ)	მიაღწია პასუხისმიერობა მობინარები თავი
A5.1	სხვადასხვა ეროვნების ადამიანები	52.2	0.2	0.5	47.2	
A5.2	სხვადასხვა რელიგიის მიმდევარი ადამიანები	66.5	1.5	0.7	31.2	
A5.3	ხელისუფლე- ბასთან დაახ- ლობიული ადამიანები და დანარჩენი სოფელი	92.8	3.7	0.3	2.7	0.5
A5.4	შეძლებულები და ღარიბები	92.5	2.8		4.5	0.2
A5.5	ახლოგაზრდე- ბი და უფრო- სი თაობა	97.3	1.5	0.2	1	
A5.6	სხვადასხვა	79.5	8.8	2.3	7.5	1.8

	პარტიის მხარდამჭერე- ბი					
A5.7	სოფლის ქვე- ლი მკვიდრი მოსახლეობა და ახლად დასახლებუ- ლები	88.7	0.5		10.8	
A5.8	სხვადასხვა საბათოებაოს წარმომად- გენლ.	95.8	0.2	0.8	3.2	
A5.9	სხვადასხვა უბის წარმო- მადგენ- ლები	99	0.3	0.7		

**A6. სოფლები ერთმანეთისგან განსხვავდებიან სხვადასხვა თვალსაზრისით. ზოგიერთ სოფელში უფრო მეტი თანასწორობა და შეკრულობაა. ზოგი-
ერთ სოფელში კი არიან ჯგუფები ან ადამიანები,
რომლებსაც უფრო მეტი ძალაუფლება და მეტი გაგ-
ლენა აქვთ სოფლის ცხოვრებაზე.**

**როგორ აღწერდით თქვენი სოფლის მგომარეო-
ბას ამ თვალსაზრისით?**

1. სოფელში ძირითადად თანასწორობაა - 97.8%
თუ
2. არსებობენ მეტი ძალაუფლების მქონე ადამიანები
(ჯგუფები) – 1.2%

99. მიჰირს პასუხის გაცემა- 1 %

**A7. ქვემოთ მოცემული ორი დებულებიდან რო-
მელი უფრო მიესადაგება თქვენი სოფლის სიტუაცი-
ას?**

1. სოფლის მაცხოვრებელთა უმრავლესობა ძალის-
ხმევას არ იშურებს, როდესაც სოფლის საერთო საქმეა მო-
საგვარებელი – 68.2%

თუ

2. მაცხოვრებელთა უმრავლესობა უფრო მეტად საკუთარ ოჯახებშია ჩაკეტილი და უფრო მეტად საკუთარი ოჯახების კეთილდღეობაზე ზრუნავს – 29.5%

99. მიჭირს პასუხის გაცემა – 2.3%

A8. ქვემოთ მოცემული სამი სიტუაციიდან რომელი უფრო ხშირად ხდება თქვენს სოფელში თუ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა საერთო ინტერესებთან/ საქმესთან დაკავშირებული პრობლემის ირგვლივ?

1. თანასოფლელები ახერხებენ სხვადასხვა აზრის შეჯერებას და ერთსულოვნად მოქმედებას – 55.7%

2. ბევრი თანასოფლელი თავისი აზრის გატანას ცდილობს და ერთსულოვნად მოქმედებას ვერ ახერხებენ – 30.5%

3. თანასოფლელები ცდილობენ გადაწყვეტილების მიღება უფრო ავტორიტეტულ ადამიანებს ან ხელისუფების წარმომადგენლებს მიანდონ – 11.7%

99. მიჭირს პასუხის გაცემა – 2.2%

A9. ქვემოთ მოცემული ორი დებულებიდან, თქვენ რომელ დებულებას უფრო ეთანხმებით?

1. სოფელში ბევრია ისეთი პრობლემა, რომელთა მოგვარებას თვითონ სოფლის მაცხოვრებლები შეძლებდნენ, უფრო მეტი თვითმმართველობა რომ იყოს – 28.3%

თუ

2. სოფლის პრობლემების მოგვარებას სოფელი ვერ შეძლებს, ხელისუფლებამ უფრო მეტი რამ უნდა აიღოს თავის თავზე – 70.5%

99. მიჭირს პასუხის გაცემა – 1.2%

A10. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი უფრო მეტად მიესადაგება თქვენი სოფლის სიტუაციას?

1. სოფლის საერთო აზრს დიდი ძალა აქვს, თუ ადამიანი სოფლის აზრის საწინააღმდეგოდ იქცევა, მას გაუჭირდება სოფელში ცხოვრება – 60.8%

თუ

2. ადამიანები ნაკლებად უწევენ ანგარიშს სოფლის აზრს, ყველას შეუძლია ისე მოქცეს, როგორც თვითონ თვლის საჭიროდ. ამის გამო მათი სოფელში ცხოვრება არ რთულდება – 36.5%

99. მიჭირს პასუხის გაცემა 2.7%

A11. როგორ ახსნით იმ ფაქტს, რომ დღესდღეობით ზოგიერთი ადამიანი ან ოჯახი უფრო შეძლებულია, ზოგი კი უფრო გაჭირვებული?

1. შედარებით შეძლებულები უფრო მეტს შრომობენ და უკეთესად უდებენ ალლოს ცხოვრებას, დარიბები კი უფრო ზარმაცები არიან – 55.5%

თუ

2. შრომა და უნარი ნაკლებად განსაზღვრავს ეკონომიკურ წარმატებას, ის ადამიანები უფრო შეძლებულია, რომლებმაც სხვადასხვა გზებით პრივილეგიების მოპოვება შეძლეს – 41%

99. მიჭირს პასუხის გაცემა – 3.5%

A12. დაგუშვათ, სოფელში დაზიანდა რაიმე ობიექტი (მაგ. ელექტროგადამცემი ბოძი, სარწყავი არხი, გზა, ხიდი) და შესაძლებელია სოფლის მცხოვრებელთა საერთო ბალისხმევით მისი შეპეტება, თქვენი აზრით, თქვენი სოფლის მოსახლეობის რა ნაწილი გამოვა დაზიანებული ობიექტის შესაკეთებლად?

1. გამოვა სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა – 66%

2. გამოვა მოსახლეობის მხოლოდ ერთი ნაწილი, ბევრი ეცდება სხვების ხარჯზე გამომვრეს – 32.3%

99. მიჭირს პასუხის გაცემა – 1.7%

A13. თუ დაზიანებული ობიექტის შესაკეთებლად საჭირო იქნება ფულის შეგროვება, თქვენი აზრით, როგორ მოიქცევა სოფლის მოსახლეობა?

1. უმრავლესობა პატიოსნად დადებს იმდენს, რამდენიც შეუძლია – 65.8%

2. ბევრი ეცდება თავი აარიდოს ფულის დადგბას და სხვების ხარჯზე გამოძვრეს – 29%
99. მიჭირს პასუხის გაცემა – 5.2%

A14. მუშაობს თუ არა (ან უმუშავია თუ არა) თუ არა თქვენს სოფელში არასამთავრობო ორგანიზაცია (ან ასოციაცია), რომელსაც უცხოელები ეხმარებიან (ან დაეხმარნენ)?

1. დიახ – 18.2%
2. არა - 62.8%
99. არ ვიცი – 19%

A16. ხართ თუ არა თქვენ ამ ორგანიზაციის წევრი?

1. დიახ – 4.6%
2. არა – 95.4%
99. პასუხი არ არის

(მონაცემები დათვლილია იმ რესპონდენტთაგან, რომელიც ამბობენ, რომ ასეთი ორგანიზაცია მათ სოფელში არის).

A17. ქვემოთ მოცემული ორი დებულებიდან რომელი უფრო კარგად გამოხატავს თქვენი სოფლის მოსახლეობის უმრავლესობის დამოკიდებულებას ამ ორგანიზაციის მიმართ?

1. არასამთავრობო ორგანიზაცია (ასოციაცია) სასარგებლო საქმეს აკეთებს და სოფლის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი დადგებითადაა განწყობილი მის მიმართ – 91.7%
 2. არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერები ძირითადად საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებას ცდილობენ, ამიტომ სოფელში მათი ავტორიტეტი მაღალი არ არის – 8.3%
 99. მიჭირს პასუხის გაცემა – 0
- (მონაცემები დათვლილია იმ რესპონდენტთაგან, რომელიც ამბობენ, რომ ასეთი ორგანიზაცია მათ სოფელში არის).

B1. ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელი უფრო გარგად ასახავს თქვენი სოფელში არსებულ კითარებას: (მიეცით ბარათი)

1. სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი დროდადრო ერთად იკრიბება სოფლის საერთო პრობლემებზე სამსჯელოდ და მათ მოსაგარებლად – 24%

2. სოფლის მოსახლეობა უფრო მეტად პატარა ჯგუფებად იკრიბება და მსჯელობს სოფლის საერთო პრობლემებზე თავშეურის ადგილებში - ბირჟაზე, სახლებში, ერთმანეთთან შეხვედრისას – 70.5%

3. სოფლის მოსახლეობა ნაკლებად არის ჩართული სოფლის პრობლემების შესახებ მსჯელობაში - 4.8%

99. მიჭირს პასუხის გაცემა – 0.7%

B2. რამდენად ხშირად მოჰყება ხოლმე ამგვარ მსჯელობას საერთო ხელვის გამომუშავება ამა თუ იმ პრობლემის მოგვარების გზის თაობაზე?

1. თითქმის ყოველთვის – 7.4%

2. ხშირად – 49.7%

3. იშვიათად – 34.8%

4. არასოდეს – 2.3%

99. მიჭირს პასუხის გაცემა – 3.5%

B3. შეგიძლიათ თუ არა გაიხსენოთ შემთხვევა, როდესაც სოფლის მოსახლეობა არ ეთანხმებოდა ხელისუფლების რაიმე გადაწყვეტილებას და ერთობლივად გამოხატა პროტესტი? (შესაძლებელია ერთზე მეტი პასუხი)

1. დიახ, ვარდების რევოლუციის შემდეგ – 9.5%

2. დიახ, შევარდნაძის მმართველობის პერიოდში – 9.9%

3. დიახ, უფრო ადრე – 2.3%

4. ასეთი შემთხვევები არ მახსენდება – 78.3%

B5. შეგიძლიათ თუ არა გაიხსენოთ შემთხვევა, როდესაც სოფლის მოსახლეობამ ერთობლივად მიმართა ხელისუფლებას რამე თხოვნით, პეტიციით ან წინადაღებით? (შესაძლებელია ერთზე მეტი პასუხი)

- დიახ, ვარდების რევოლუციის შემდეგ – 21.8%
- დიახ, შევარდნაძის მმართველობის პერიოდში – 2.7%
- დიახ, უფრო ადრე – 0.3%
- ასეთი შემთხვევები არ მახსენდება – 75.2%

B7. სად იკრიბება ხოლმე სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი უფრო ხშირად?

(გთხოვთ შემოხაზოთ მხოლოდ ორი პასუხი)

- სოფლის კლუბი – 4.6%
- ეკლესია – 5.4%
- სოფლის ე.წ. “ბირჟა” – 59.7%
- სტადიონი – 2.6%
- სოფლის სკოლა – 9.5%
- სოფლის რესტორანი, დუქანი და ა.შ. – 5.1%
- სხვა – 13%

B8. არსებობს თუ არა თქვენს სოფელში ტრადიციული დღესასწაულები (რელიგიური ან საერო), რომელებში მონაწილეობს სოფლის მაცხოვრებელთა უდიდესი ნაწილი?

- დიახ – 90.8%
- არა – 9%
- მიჭირს პასუხის გაცემა – 0.2

B9. არსებობს თუ არა თქვენს სოფელში შემდგრი “დაუწერელი წესი”?

თუ ვინმე სახლს ან მიწას ჰყიდის, მან პირველ რიგში მეზობლებს უნდა შესთავაზოს

- დიახ – 57.2%
- არა – 32%
- მიჭირს პასუხის გაცემა – 10.8%

სოფელში ბევრი საქმე საერთოა და რამდენიმე ან ბევრი ოჯახის ინტერესებს ეხება. ზოგიერთ სოფელში ამგვარ საქმეებს არეგულირებს ე.წ. დაუწერელი განონები, ადათ-წესები, ჩვეულებები და სოფლის მაცხოვრებლები ცდილობენ მისდიონ ამ

წესებს. ახლა მე ჩამოგითვლით გარკვეულ შემთხვევებსა და საქმიანობებს და გთხოვთ მიპასუხეთ, არსებობს თუ არა ოქენეს სოფელში ამგვარი დაუწერელი წესები და რამდენად მისდევს მათ სოფელი?

							მიზანის პასუხისმგებელი
B10.1	ნახირის რიგ-რიგობით მწყემსვა	70.3	0	8.8	20.3	0.3	ქართველი და წევნის სოფელის არეალი
B10.2	სოფლის საძოვარით სარგებლობის წესი (ოჯახზე ძროხების რაოდენობა, გადასახადის გადახდა)	41.8	1.8	21.5	32.5	2.3	ქართველი წევნის და წევნის სოფელის არეალი
B10.3	მდინარეები, ტბები თუმ-ზერა	4.3	0.7	52.	11.3	17	ქართველი წევნის და წევნის სოფელის არეალი
B10.4	ტყით სარგებლობა, შეშის მომარაგება	6.2	2.7	45.3	41.8	20	ქართველი წევნის და წევნის სოფელის არეალი
B10.5	სარწყავი (საღრენაშვი) არხების მოვლა-პატრონობა	3.3	3.7	43.8	48	1.2	ქართველი წევნის და წევნის სოფელის არეალი

B10.6	ფულის შეგროვება გაჭირვებაში ჩავარდნილობის	49.2	26.5	14.8	8.2	1.3
B10.7	სოფლის საერთო საქმის-თვის უფასო ფიზიკური მრომა (მაგ. გზის, ხილის შეგეთყვა)	52.5	23.5	15.5	7.5	1
B10.8	სოფლის საერთო საქმის-თვის თანხის შეგროვება	61.5	15.2	15.8	6	1.5
B10.9	სამძიმარში მისევლისას ფულის მიტანა	76.5	9.7	6.8	6.5	0.5
B10.10	სხვადასხვა მეცნაკუთრის მიწის ორ ნაკვეთს შორის დობის/ მიჯნის მოწესრიიგბა	27.3	22.2	23.8	25.7	1
B10.11	საქონლის მიერ დაზიანებული ნარგავების/მოსავლის ზარალის ანაზღაურება	21.2	23.5	25.7	28.2	1.5
B10.12	ნასესხები ფულის დაბრუნებაზე დავა	21.3	17.5	28.2	29.2	3.8
B10.13	პასუხისმგებლების მიზან რომ მიუვდებო მიწაზარალს აყენებს მეზობლებს (მაგ.	18.3	22	26.8	31.3	1.5

	სარეველა გადადის)					
B10.14	ნახირში ძრობის/ცხვრის დაკარგვის შემთხვევები	22.3	18.2	28.2	29.3	2

B12. იმ შემთხვევებში, როდესაც წესები არსებობს, ალბათ, თქვენს სოფელში არიან ადამიანები ან ოჯახები, რომლებიც სოფლის წესებს ანგარიშს არ უწევენ და დაუწერებ კანონებს არღვევენ. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი დებულება უფრო მეტად გამოხატავს თქვენი სოფლის დამოკიდებულებას ასეთი ადამიანების მიმართ ?

1. სოფელი საქმაოდ მკაცრია ასეთი ადამიანების მიმართ – 21.8%

2. სოფელს არა აქვს მკაფიოდ გამოხატული დამოკიდებულება ასეთი ადამიანების მიმართ, ასეთ ქვევას ნაკლებად ექცევა კურადღება – 73%

99. მიჭირს პასუხის გაცემა - 5.2%

B14. დაგუშვათ თქვენმა თანასოფლელმა სხვა თქვენი თანასოფლელის ქონება მოიპარა ან დააზიანა. როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, რომელმაც ეს დაინახა ან გაიგო? (შესაძლებელია მხოლოდ ერთი პასუხი)

1. უთხრას დაზარალებულ თანასოფლელს დამნაშავის ვინაობა – 7.3%

2. უთხრას დამნაშავეს და მოსთხოვოს ზარალის ანაზღაურება – 28.7

3. მიმართოს პოლიციას – 52.3%

4. მიმართოს სოფელში ავტორიტეტის მქონე პირს/პირებს – 5.0

5. საჯაროდ განაცხადოს სოფელში – 1.7

6. განუმდეს, ეს მისი საქმე არ არის – 0.8%

99. მიჭირს პასუხის გაცემა – 4.2%

B15. სოფელი ყოველთვის სარგებლობს რესურსებით (ტყე, საძოვარი, მდინარე, ტბა და ა.შ), რომელთაც არასწორი, ჭარბი მოხმარების შემთხვევაში გამოფიტგა ემუქრება. თქვენი აზრით, ქვემოთ ჩამოთ-

გლილი შესაძლებლობებიდან, რომელი დაიცავს რესურსებს უფრო კარგად?

1. ამ რესურსებით სარგებლობას უნდა არეგულირებდეს და აკონტროლებდეს სახელმწიფო კანონების შესაბამისად – 80%

2. რესურსებით სარგებლობას უნდა აკონტროლებდეს სოფელი თავისივე შემუშავებული წესების შესაბამისად – 13.7%

3. რესურსები უნდა გადაეცეს კერძო საკუთრებაში, კერძო მესაკუთრე უკეთესად დაიცავს მათ გამოფიტვისგან – 2.5%

99. მიჭირს პასუხის გაცემა – 3.8%

B16. რამდენად ეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ სოფელში რამდენიმე ოჯახი რომ გაერთიანდეს და თავისი სამეურნეო საქმიანობა ერთად აწარმოონ ისინი უფრო შეძლებულად იცხოვერებენ?

1. სრულებით ვეთანხმები – 7.7%

2. უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა – 23%

3. უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები – 38.3%

4. სრულებით არ ვეთანხმები - 21.0%

99. მიჭირს პასუხის გაცემა – 10%

B17. ყოფილა თუ არა სოფელში შემთხვევები, როდესაც რამდენიმე ოჯახი გაერთიანდა და ერთობლივად აწარმოა სამეურნეო საქმიანობა ან გააერთიანა ფინანსები რაიმე მიზნისთვის (მაგ. საკრედიტო კავშირი, ლატარიის თამაში და ა.შ.)?

1. დიახ – 25.2%

2. არა – 72.8%

99. არ ვიცი – 2%

B23. თქვენი აზრით, რატომ ხდება ამგვარი გაერთიანებები იშვიათად?

(შესაძლებელია ორი პასუხი)

1. არავის მოსვლია აზრად – 7.2%

2. ხალხს კოლმეურნეობა ახსენდება და თავს იკავებენ – 8.4%

3. ყველას თავისი აზრი აქვს და ადამიანებს არ აქვთ იმედი, რომ ერთობლივ

გადაწყვეტილებებს მიიღებენ – 16.6%

4. ზოგი ზარმაცია, ზოგი მშრომელი. მშრომელები დაიჩაგრებიან – 14.2%

5. ხალხი ერთმანეთს არ ენდობა – 3.3%

6. ეკონომიკურად მომგებიანი არ არის – 7.5%

7. ყველას თავისი საჯუთარი მეურნეობა ურჩევნია – 39.1%

8. სხვა

99. მიჭირს პასუხის გაცემა – 3.5%

T1. თუ ცხოვრებაში ხვდებით ადამიანს, რომელსაც კარგად არ იცნობთ, თქვენი აზრით როგორი დამოკიდებულებაა მის მიმართ უფრო სწორი?

1. მის მიმართ ნდობით უნდა განეწყო, სანამ რაიმე ცედს არ ჩაიდენს – 37.7%

2. მის მიმართ თავიდანვე სიფრთხილე უნდა გამოიჩინო, ვიდრე უკეთესად არ გაიცნობ – 52.5%

3. მას არ უნდა ენდო, შეიძლება მან ნდობა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს – 9.3%

99. მიჭირს პასუხის გაცემა – 0.5%

T2. შეგიძლიათ თუ არა თქვათ, რომ თქვენს სოფელში –

1. ადამიანები უფრო მეტად ენდობიან ერთმანეთს, ვიდრე თქვენთვის ნაცნობ სხვა სოფლებში – 32%

2. ადამიანებს შორის ნდობა ყველგან დაახლოებით ერთნაირია – 65.5%

3. ადამიანები უფრო ნაკლებად ენდობიან ერთმანეთს, ვიდრე სხვა სოფლებში – 0.5%

99. მიჭირს პასუხის გაცემა – 2%

T3. სოფლის სკოლის პრობლემების მიმართ დამოკიდებულება სხვადასხვა სოფელში სხვდასხვანაირია. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი აღწერს თქვენი სოფლის სიტუაციას ყველაზე კარგად?

1. მშობლები დიდი ნაწილი დაინტერესებულია სკოლის პრობლემებით და მონაწილეობენ მათ გადაჭრაში – 37.3%

2. მშობელთა მცირე ნაწილი არის დაინტერესებული სკოლის პრობლემებით და მონაწილეობს მათ გადაჭრაში – 42.3%

3. სკოლის პრობლემები მშობლებს ნაკლებად აინტერესებთ და არ მონაწილეობენ მათ გადაჭრაში – 0.8%

4. სოფელში სკოლა არ არის – 4.8%

5. სხვა

99. მიჭირს პასუხის გაცემა – 14.5%

R1. შეგიძლიათ თუ არა თქვათ, რომ თქვენს სხვა თანასოფლელებთან შედარებით

1. აქტიურად ხართ ჩართული სოფლის საერთო ცხოვრებაში – 13.3%

2. მეტ-ნაკლებად აქტიურად ხართ ჩართული სოფლის საერთო ცხოვრებაში – 44.2%

3. ნაკლებად ხართ ჩართული სოფლის საერთო ცხოვრებაში – 31.7%

4. საერთოდ არ ხართ ჩართული სოფლის საერთო ცხოვრებაში – 9.8%

99. მიჭირს პასუხის გაცემა (არ წაუკითხოთ) -1%

R2. გთხოვთ, მიპასუხეთ არსებობს თუ არა თქვენს სოფელში ქვემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაცია-თაგან რომელიმე

	ორგანიზაციები	დიახ (%)		
R2.1	საქალამოქმედო ორგანიზაცია	0.3		
R2.2	უცხოური ორგანიზაციის მხარდაჭერით შექმნილი ასოციაცია	4.5		
R2.3	მშობელთა გაერთიანება	33.8		
R2.4	სპორტული სამოყვარულო გუნდი	25.8		
R2.5	სახელსაქმი ან რაიმე სხვა ინტერესით გაერთიანებულ ადამიანთა კავშირი	0.2		
R2.6	პროფკაფშირი	0.8		
R2.7	პოლიტიკური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაცია	2.7		
R2.8	ბუნების დამცველი/ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაცია	1.7		
R2.9	მრევლი	93.8		
R2.10	სხვა, გთხოვთ დაასახელეთ			

R5. რამდენად ხშირად მსჯელობთ თქვენს თანასოფლელებთან პოლიტიკურ საკითხებზე ?

1. ყოველთვის – 13.8%
2. ძალზე ხშირად – 37.5%
3. არც ისე ხშირად – 24.2%
4. იშვიათად – 15.2%
5. არასოდეს – 8.8%
99. მიჰირს პასუხის გაცემა – 0.5%

V3. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელ დებულებას ეთანხმებით უფრო მეტად?

1. წარმატების მისაღწევად დღევანდელ სიტუაციაში წესიერი ადამიანის სახელი და კარგი რეპუტაცია აუცილებელია – 67.7%
2. წარმატების მისაღწევად კარგი რეპუტაცია არ არის საჭირო, წარმატების მიღწევას ცუდი რეპუტაციის ადამიანებიც ახერხებენ – 29%
99. მიჰირს პასუხის გაცემა (არ წაუკითხოთ) 3.2%

V5. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელ დებულებას ეთანხმებით უფრო მეტად?

1. დაუღალავი შრომითა და ძალისხმევით სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ოჯახს შეუძლია თანდათანობით დოვლათის დაგროვება და კეთილდღეობის ამაღლება – 55.7%
2. თუ ოჯახი შემოსავლის სხვა წყაროსაც არ გამოქვინის, სოფლის მეურნეობით ვერ მოიპოვებ კეთილდღეობას, თუნდაც დაუღალავად იშრომოს – 44.3%
99. მიჰირს პაუხის გაცემა - 0

V7. არჩევანის შესაბამებლობა რომ გქონდეთ, შემდეგი ორი ვარიანტიდან რომელს მიანიჭებდით უპირატესობას?

1. მირჩევნია ვიცხოვოთ ჩემს სოფელში, თუკი მექნება არსებობისთვის საკმარისი თანხა – 81.7%
2. მირჩევნია საცხოვრებლად გადავიდე ქალაქში ან წავიდე საზღვარგარეთ, თუკი იქ არსებობისთვის საკმარისი თანხა მექნება – 16.2%
99. მიჰირს პასუხის გაცემა – 2.2%

**D8. საერთო ჯამში, შეგიძლიათ თუ არა
თქვათ, რომ ხართ .**

1. ძალიან ბედნიერი – 3.3%
2. საკმაოდ ბედნიერი – 67.2%
3. არც ისე ბედნიერი – 27.2%
4. საერთოდ არ ხართ ბედნიერი – 2%
99. მიჭირს პასუხის გაცემა – 0.3%

დანართი 2.

გამოპირზული სოფლები

N	სოფელი	რეგიონი	რაიონი	ეთნიკური შემადგენლობა
1.	აღაიანი	შიდა ქართლი	ქასპი	ქართული
2.	ვაყა	შიდა ქართლი	ხაშური	ქართული
3.	ლემშვენიერა	ქვემო ქართლი	გარდაბანი	ქართული (სვანი ეტომიგრანტები)
4.	თამარისი	ქვემო ქართლი	გარდაბანი	ქართული
5.	აღთაძლია	ქვემო ქართლი	გარდაბანი	აზერული
6.	ბირლიკი	ქვემო ქართლი	გარდაბანი	აზერული
7.	ქესალო	ქვემო ქართლი	გარდაბანი	აზერული
8.	ქოდალო	განეთი	გურჯაანი	ქართული
9.	კარდენახი	განეთი	გურჯაანი	ქართული
10.	შილდა	განეთი	გვარელი	ქართული
11.	გავაზა	განეთი	გვარელი	ქართული
12.	ყარაჯალა	განეთი	ოელავი	აზერული
13.	ზოდი	გურია	ჩოხატაური	ქართული (აჭარელი ეპომიგრანტები)
14.	შორის უბანი	გურია	ლანჩხუტი	ქართული
15.	ნასაკირალი	გურია	ოზურგეთი	ქართული
16.	ყულიშვარი	სამეგრელო	ზუგდიდი	ქართული
17.	ახალსოფელი	სამეგრელო	ხობი	ქართული
18.	გურიფული	სამეგრელო	ხობი	ქართული
19.	კაბალი	განეთი	ლაგოდეხი	აზერული
20.	ქორეთი	იმერეთი	საჩხერე	ქართული



დაიგენდა გამომცემლობა „შეინდუსტრია“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ჟ: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ბოლო ოცი წლის ინსტიტუციურმა რეფორმებმა ვერ შექმნეს სოფლის განვითარებისთვის ხელსაყრელი ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო. გარდაქმნების წარუმატებლობამ გააჩინა მოსაზრება, რომ პრობლემის საწყისი არა ინსტიტუციურ გარემოში, არამედ თავად საზოგადოებაშია. ამ ხედვის მიხედვით, სოფლის მცხოვრებლები ვერ ახერხებენ თანამშრომლობას, რადგან სოფელს აკლია სოციალური კაპიტალი: ურთიერთნდობა, შეკრულობა და ინიციატივა, რაც ადგილობრივ ცხოვრებას გამოაცოცხებდა.

მოცემული კვლევა სწავლობს სოფლად არსებულ სოციალურ კაპიტალს. ახალ მეთოდურ და მეთოდოლოგიურ მიღვიმებზე დაყრდნობით ის აჩვენებს, რომ სოფელი არ არის ატომიზირებული. სოფლად არსებული სოციალური კაპიტალი მოქცეულია "ქვიშის საათის" ქვედა ნაწილში, და მას ასუსტებს არახელსაყრელი გარე ზეგავლენები. სოფლის გაძლიერება მოითხოვს მისი მოსახლეობისა და სოფლის საკუთრების დაცვას, "ქვიშის საათის" ვიწრო ყელში არსებული ურთიერთობების რეგულირებას.

კვლევა ჩატარდა 2010-2012 წლებში.

კვლევა შესრულებულია შვეიცარულ - კავკასიური აკადემიური ქსელის (ACSN) დაფინანსებით.

საზოგადოების კვლევის ცენტრი არის არასამთავრობო, დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელსაც სოციალური მეცნიერების სხვადასხვა დარგში, ძირითადად პოლიტიკურ მეცნიერებაში, გამოქვეყნებული აქვს მრავალი აკადემიური და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომი.

ცენტრის ვებსაიტის მისამართი: www.cssge.ge/site/